# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 26 სექტემბერი 2005 №220 (2543) ფასი 50 თეთრი

# ბორჯომით მოწამლული დინამო

## ზესტაფონმა ზესტაფონში მთელი ზესტაფონი შეჰყარა

რაც უნდა მოხდეს, „დინამო“ მაინც ჩემპიონი გახდებაო, თქვა „ბორჯომის“ თავკაცმა სოსო ფრუიძემ და, თანაც, როდის... ამ ორი გუნდის ნამატჩევს, რომელშიც ქართლელებმა „ეროვნულზე“ 2:1 მოუგეს ქვეყნის თორმეტგზის ჩემპიონს.

მომავალში რა მოხდება, კაცმა არ იცის, მაგრამ „დინამო“ ახლა საშინელ დღეშია — კახა ცხადაძის გუნდი ბოლო ხუთი თამაშიდან სამში დამარცხდა.

ცხადაძე ფერწასული იდგა „ბორჯომთან“ ნამარცხევს და მაშინვე ექიმთან წაიყვანეს — გუშინდელი ცნობით, ის უკვე კარგად გრძნობს თავს.

ლიდერი კი სწორედ „ბორჯომია“, თუმცა, ვინძლო, დღეს ისევ მეორე ადგილზე ჩაიწიოს — პოტენციური ლიდერი ბოლნისის „სიონი“ აუტსაიდერ „თბილისთან“ მატჩში ჩაამთავრებს მეშვიდე ტურს, რომელშიც სხვა საინტერესო თამაშებიც გამოერია, მათ შორის ზესტაფონურიც: იმერლებმა 6000 ქომაგის წინაშე სტადიონის გახსნა სამი ქულით აღნიშნეს.





# ხუთი ჯვარი ევროპის თავზე

კარგა ხანია ჩვენს მოჭადრაკეებს ასე არ გავუხარებივართ. სერბულ ჰერცეგ-ნოვიში დასრულებულ ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე ქართველმა მოზარდებმა შვიდი მედალი მოიგეს და აქედან სამი ოქროსია. სამივე ჩემპიონმა კვარცხლბეკზე ხუთჯვრიანი დროშა აიტანა და მთელი ევროპის თავზე აფრიალა.

ახალგაზრდებს არც დიდები ჩამორჩნენ, იტალიურ სანტ-ვისენტში დასრულებულ ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე ჩვენმა ქალთა გუნდმა ნტნ-მ ოქრო მოიგო.

*მეცამეტე გვერდი*

# ამას ელოდა ელადა

საბერძნეთი კვლავ ევროპის ჩემპიონია, ოღონდ ამჯერად კალათბურთში. ისევე როგორც შარშანდელი საფეხბურთო ევროპირველობისას, თავად ბერძენთა გარდა არავინ ელოდა ტრიუმფს კალათბურთშიც. თუმც ბერძნული მითი რეალობად იქცა და წუხელ გერმანელების ძლევით საბერძნეთი ევროპის ჩემპიონი გახდა. დირკ ნოვიცკიმ მხრებით ათრია გერმანიის ნაკრები ფინალამდე, მაგრამ ბოლო საფეხურზე ფეხი დაუცდა და... საბერძნეთში კი ალბათ ახლათ ზეიმია, კალათბურთის დიდი ზეიმი. აქამდე ელინები ერთადერთხელ, 1987-ში გამხდარან ევროპაში საუკეთესონი...




AFP



გიო ახვლედიანის

## სვეტი

# 16 და 2

სწორედ ორი დღის წინ „პირველი არხის“ ერთ-ერთ მესვეურს შევხვდი სრულიად შემთხვევით. რა თქმა უნდა, ფეხბურთზეც ვილაპარაკეთ. უფრო სწორად, ძირითადად ფეხბურთზე ვილაპარაკეთ. ასეთი გეგმა ჰქონია, რომ კვირაობით თბილისის „დინამოს“ ძველი თამაშები გაეშვა ტელევიზიაში. ეს ხალხსაც მოეწონებოდა და ფეხბურთის უფროსებსაც წაადგებოდათ კეთილი განწყობის შემნაში.

გამოუთხოვია ამ მესვეურს სია, აბა, რა თამაშებია შენახული არქივშიო.

16 თამაშის სია მიუწოდებიათ.

ოღონდაც, შენახული ყოფილა ამ თექვსმეტიდანაც ორადორი თამაში: „ვესტ ჰემი“ — „დინამო“ და „დინამო“ — „კარლ ცაისი“. დანარჩენები გამქრალაო. ვის სად წაუღია, რა მოგახსენოთ, ანდა, ვის როდის წაუღიაო.

ჯერ ეს 16 რა არის და მერე იქიდან რომ ორი დაგრჩება.

მე დავებლაუჭე, ორიოდ წლის წინათ „ლივერპულთან“ თამაში აჩვენეს-მეთქი.

აღარც ის ყოფილა.

მოკლედ, ვართ ყველაფრის გარეშე. ანუ, ისტორიის გარეშეც.

ოთხმოც წელში, კიევთან შინ 2:1 მოგებული თასის ნახევარფინალი არ უნდა გვქონდეს?

სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

სასაცილო შეკითხვაა, არა?

შეხვალ მაღაზიაში, ვთქვათ, ინგლისში და აირჩიე სული და გული. აქ კი ტელევიზიის საცავებშიც არ არის.

ძველი ტელევიზიის ბრალი კი არ არის, ადამიანების ბრალია. ვიღაცამ საყურებლად წაიღო, ვიღაცამ თავისად ჩათვალა, ვიღაცამ სხვა რამე ჩაწერა ზედ.

სულ იმას მოთქვამენ ხოლმე, პაიჭაძე და მესხი არა გვაქვს, ეს რა მოგვივიდაო, მხოლოდ თითო-ოროლა კადრი გვაქვსო. პაიჭაძე და მესხი კი არა, არაფერი გვქონია.

ეს ადრეც გამეგონა, მაგრამ ახლა ციფრებმა გამაკვირვა.

საერთოდ კიდევ, ჩვენ ნამდვილი ისტორია არ გვიყვარს, სადღეგრძელოები გვირჩევნია. ჩვენს ბავშვობაში რომ კინოს მოყოლა იყო, ისე. მოყოლილში დამატებაც შეგეძლო.

ახლა მიდი და უყარე კაკალი.

კაცს გაშვება ნდომებია და ყველას გვეამებოდა.

თანაც, ამას სხვანაირად საგანძური ჰქვია.

ჩვენთან კიდევ, არც ვიცი. არ ვიცი, რას ეძახიან.

კოკა-კოლა
გენერალური სპონსორი
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · პირველი წრე · 7 ტური

# ბოლო წამის დრამა



გადრი კოთოლაძე ბათუმიდან

ამერელ ვახტანგ ხვადაგიანს (№24) გოლამდე სანტიმეტრები დააკლდა

ბათუმი. 25 სექტემბერი. 16 საათი. დინამო. 500 (ტევადობა 5 000)

### ბათუმი 1:0 ამერი

1:0 მანჯავა (64)

| | |
|---|---|
| ბათუმი: თოთლაძე, ბეგლარ თედორაძე, სიდამონიძე, გუშარაშვილი, ი. მახარაძე, გ. ჯელაძე, გ. მანჯავა, ექონია (ქაცარავა 80), მ. ბურნაძე, კაკალაძე (ფირცხალაიშვილი 75), ზირაქიშვილი (მიქაძე 36) | ამერი: ლ. ნადირაშვილი, დავითნიძე, კედელაშვილი, ხვადაგიანი, გ. კვახაძე, დობროვოლსკი, კოშკაძე, კაიდარაშვილი (დარსანია 64), ს. დავითაშვილი (ტატანაშვილი 70), სევასტოპულო, წინამძღვრიშვილი (დ. მჭედლიშვილი 56) |
| სათადარიგონი: ბალაძე; ცანავა, გილოგრე, ბესიკ თედორაძე | სათადარიგონი: ნიკურაძე; ელბაქიძე, სილაგავა, ბერიანიძე |
| მწვრთნელი: ოთარ გაბელია | მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: კედელაშვილი (48, 50), მანჯავა (79)

გაძევება: კედელაშვილი (50)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); გ. ცირდავა (გულრიფში), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

ინსპექტორი: ს. კვარაცხელია

კობა ინასარიძე ბათუმიდან

**...ვერ გეტყვით,** ნამატჩევს „ბათუმის“ გასახდელში რა ხდებოდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც მასპინძელთა მეკარე ირაკლი თოთლაძემ შეხვედრის ბოლო წუთზე გააკეთა, თანაგუნდელებს მისთვის სამადლობელი არ უნდა დაეკლოთ: არბიტრმა ზურაბ ანიაშვილმა ძირითად დროს სამი წუთი რომ დაამატა და სასტვენიც მოამზადა, ამერელი დავით სევასტოპულო სწორედ მაშინ დარჩა თოთლაძესთან პირისპირ. გოლი გარდაუვალი ჩანდა, „ამერის“ სათადარიგოთა სკამი და ქომაგობა ანგარიშის გათანაბრების მოლოდინში გაირინდა, მაგრამ წამსვე ამოიოხრა — ფორვარდს მეკარემ აჯობა, დამატებაზე კი გიორგი დავითნიძემ ბურთი თოთლაძის კარს ააცილა. არადა, სევასტოპულოს დარტყმამდე იმხელა სივრცე ჰქონდა, მეკარის ჩამოტოვება და გოლის მშვიდად გატანა თავისუფლად შეეძლო.

ეს ამბავი, როგორც ვთქვით, მატჩის ბოლო წამებზე მოხდა. იქამდე კი მეტოქეებს ორი განსხვავებული ტაიმი ჰქონდათ მოლეული. შესვენებამდე „ამერის“ უპირატესობა თვალსაჩინო თუ იყო, მერე უკვე ბათუმელები გააქტიურდნენ და ისინი მძლავრობდნენ. ზედიზედ ორი ყვითელი ბარათის გამო მცველ ამირან კედელაშვილს გაძევების შემდეგ კი „ბათუმი“ მთლიანად დაეპატრონა მინდორს და ცოტა ხანში გოლიც ვნახეთ: მარჯვნიდან, საიდანაც გააძევეს კიდეც კედელაშვილი, ჯერ გიზო ჯელაძემ იაქტიურა, მერე მიხეილ კაკალაძემ, რომელიც ფინტების კასკადით გამოირჩა და ბოლოს გიორგი მანჯავამ, ვინც შორეულ ძელთან კაკალაძის ჩაწოდებულ ბურთს დაჰკრა თავური — 1:0.

აღსანიშნია ისიც, რომ მეორე ტაიმში „ამერს“ პრობლემები მეტწილად სწორედ ფლანგებიდან ექმნებოდა — იქით ზურაბ ექონიამ მოუმატა ტემპს, აქეთ ჯელაძემ.

ისე კი, „ამერს“, რომელსაც პირველ ტაიმშიც რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა, „ბათუმისთვის“ ანგარიშის გათანაბრება გოლიდან 10 წუთშიც შეეძლო, მაგრამ მასპინძლები ისევ თოთლაძემ იხსნა — კუთხურიდან ჩაწოდებული ბათუმელთა საჯარიმოში აიბლანდა, კარიდან ორ მეტრში მყოფმა ვახტანგ ხვადაგიანმა ბურთს ჭვინტი ჰკრა, თუმცა გატანა მეკარემ აღარ დაანება.

მალე „ბათუმს“ მეორედაც უნდა ეხეირა, მაგრამ კაპიტანმა ივანე მახარაძემ დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ბურთს ფეხი ააცილა — მარჯვნიდან ექონია შეიჭრა „ამერის“ საჯარიმოში, მცველები ჩამოიშორა, მეკარის მიახლოებისთანავე კი ბურთი უკან მახარაძეს დაუგორა, რომლის წინაც ცარიელი კარი იყო, მაგრამ რად გინდა...

მატჩის ბოლოს „ამერმა“, როგორც კედელაშვილის გაძევებამდე, ისევ ორი თავდამსხმელით შეუტია, სევასტოპულოს სულიკო დავითაშვილის შემცვლელი დიმიტრი ტატანაშვილი შეეწყვილა, თუმცა აღარაფერი შეცვლილა.

აი, სევასტოპულოს რომ შეეგდო, სხვა საქმე იქნებოდა და ანგარიშსაც, ალბათ, უფრო ლოგიკური სახე მიეცემოდა.




გადრი კოთოლაძე ბათუმიდან

გიზო ჯელაძის „ბათუმმა“ დავით სევასტოპულოს „ამერს“ სარმა გამოსდო

## პრესკონფერენცია

*გიორგი ჩიხრაძე:* რთულ მატჩს ველოდით და ასეც იყო. თავიდან მეტოქის დაზვერვით დავიწყეთ, მერე კი ნელ-ნელა შევუტიეთ. აგრესია დაგვაკლდა და ბოლო, ზუსტმა დარტყმებმაც დაგვალალატა. მთელი მეორე ტაიმი, ფაქტობრივად, ათი კაცით ვითამაშეთ და გაგვიჭირდა.

*ოთარ გაბელია:* „ამერი“ ფიზიკურად კარგად მომზადებული, მოძრავი გუნდია. რაც გუნდში მოვედი, სავარჯიშო პროცესი შევცვალეთ, გარკვეული კორექტივები შევიტანეთ, რათა უფრო ხარისხიანად გვეთამაშა. დღეს რთულ მატჩს ველოდი და მიხარია, რომ სამი ქულა ავიღეთ.

# ლადო ახალაია ციურიხს ეთხოვება



**ლადო ახალაიას** ციურიხული დღეები დათვლილია, 22 წლის ქართველი თავდამსხმელი ორმხრივი შეთანხმების შედეგად დატოვებს შვეიცარიულ კლუბსო — იუწყება „ციურიხის“ ვებგვერდი.

როგორც იცით, ლადო იანვარში გადავიდა ლუსიენ ფავრის გუნდში, დებიუტიც კარგი ჰქონდა, თუმც მერე და მერე, ძირითად შემადგენლობას ვეღარ გაეკარა. მიმდინარე სეზონში ახალაია სულ შეცვლებზე შედიოდა, ისიც ბოლო წუთებზე და ერთხელ გოლის გატანაც მოახერხა.

გეხსომებათ, ყაზახეთთან მატჩისთვის საქართველოს ნაკრების ახალდანიშნულმა მწვრთნელმა გაიოზ დარსაძემ ახალაია გამოიძახა, თუმც ფეხბურთელი ნაკრებში არ (ან ვერ) ჩამოვიდა.

„ციურიხმა“ ლადოს შემცვლელად შვეიცარიული ჩელენჯლიგის „შო დე ფონის“ ფორვარდი ალფონსი შეიგულა, ხოლო ჩვენიანს ახალი კლუბის მოძებნა მოუწევს — ახალაია და „ციურიხი“ უახლოეს დღეებში გაწყვეტენ კონტრაქტს.

**ლუკა თალაქვაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 7 ტური



### ვაიმე, დინამო, სადამდე...

# ისევ აგებს და მაინც ჩემპიონია?

**ილია ნანობაშვილი**

**თამაშის** დასრულებისას კახა ცხადაძის ადგილზე ყოფნას მტერს არ ვუსურვებდით. „დინამოს" თავკაცი ფერწასული გაეშურა გასახდელისკენ, ნერვიულად ელაპარაკებოდა საკუთარ თავს და ვინ იცის, ნანობდა, თავის დროზე გუნდი რომ ჩაიბარა.

რაც მართალია, მართალია: ცხადაძემ „დინამო" ალმართის გზაზე ვერ დააყენა, დაღმართი კი, დაგვეთანხმებით, ბორჯომელი რევაზ გეწაძის გოლით არ დაწყებულა — კარგა ხანია, „დინამო" თავის თავს აღარ ჰგავს...

ჩემპიონების შემადგენლობას გუშინ ვერც ვიცნობდით: კარგა ხნის ტრავმირებულ შოთა კაშიასა და გია ნერგაძეს რომ თავი დავანებოთ, დინამოელებს დისკვალიფიცირებული კახა ალადაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი და დავით ოდიკაძე აკლდნენ. ამასთან, ცხადაძემ სათადარიგოთა სკამზე დატოვა სანდრო იაშვილი, ლევან მელქაძე და მეკარე ზვიად სტურუა. იაშვილი-მელქაძე გასაგებია, კონკურენციას „შეეწირნენ", მაგრამ სტურუას ნაცვლად სოსო გრიშიკაშვილის დაყენება კი უცნაურად გვეჩვენა...

მოკლედ, „დინამო" ძალიან, ძალიან შესუსტებული შემადგენლობით დაუდგა ამბიციურ „ბორჯომს", რომელმაც დისკვალიფიცირებული მიხეილ მესხი ვერ ათამაშა.

მიმზიდველი მატჩი ვერ გამოდგა, ბევრი იყო ტექნიკური წუნი და გუნდებს დამამთავრებელ ფაზამდე საქმე ვერ მიჰყავდათ.

პირველივე მომენტი გოლით დამთავრდა, თუმცა მომენტსაც ვერ დავარქმევთ... 34-ე წუთზე ბორჯომელთა მეგოლე გიორგი ქორიძემ საჯარიმოს მისადგომებთან მკერდზე მიიღო ბურთი, მუხლზე ჩამოიგდო და მერე ისეთი დააქუხა, ნახვად მართლაც ღირდა — ასეთი გოლები საქართველოს ჩემპიონატში კი არა, ბობოლათა ჯახშიც იშვიათობაა. გრიშიკაშვილს უკეთესად გარჯა მართებდა, მაგრამ, მოდით, ქორიძეს სუპერგოლს ნუ დავუკნინებთ.

„დინამო" მეტოქის საჯარიმოში შეჭუჩდაო, ვერ ვიტყვით, მაგრამ გათანაბრება მალევე მოახერხა. 44-ე წუთზე ირაკლი ჩირიკაშვილის დარტყმულს მიხეილ ბობოხიძემ სასურველი მიმართულება მისცა — 1:1.

მეორე 45 წუთი პირველის იდენტური იყო. გრიშიკაშვილსა და მამალაძეს საქმე თითქმის არ ჰქონიათ. ეგაა, ცხადაძემ გიორგი ჭელიძის გამოყვანით სცადა მარჯვენა ფლანგზე პარპაში, თუმცა დინამოელთაგან ყველაზე აქტიური მაინც 18 წლის გიორგი მერებაშვილი გახლდათ — ართმევაზეც კარგი იყო და ერთი-ორი გამჭოლი პასიც დაარიგა, თუმც ამაოდ.

დინამოელებს 78-ე წუთზე შეეძლოთ გატანა, როცა შეცვლაზე მადიანად შესული სანდრო იაშვილის დარტყმული მამალაძეს ხელიდან გაუვარდა და ბობოხიძემ მახვილი კუთხიდან კარგად ვერ დაამატა. ამ დროს ბორჯომელთა ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი ქორიძე უკვე შეცვლილი იყო და სტუმრები აშკარად ქულაზეც ხელს მოაწერდნენ, მაგრამ...

მატჩის დამთავრებას სამი წუთი აკლდა. დინამოელებმა ცენტრში დაკარგეს ბურთი და ფეხმარდმა მოდრიბლინგემ, რევაზ გეწაძემ გასაკეთებელი ხუთიანზე გააკეთა: სისწრაფეში გასცდა რევაზ ქემოკლიძეს და გრიშიკაშვილი გემრიელი დარტყმით დახვრიტა — 1:2.

დარჩენილ დროში „დინამომ" ველარაფერი მოასწრო, მსაჯმა ალექსანდრე მეშკოვმა კი ყვითელ-წითელი ბარათები არიგა, სამივე ქართლელებს „მიუძღვნა", თუმცა დიდი სიხარული მათ ვერ გაუნელა — „ბორჯომმა" მიჯრით მეექვსე თამაში მოიგო, „დინამომ" კი...



ბორჯომელთა კაპიტანი იური გაბისკირია ორ დინამოელს შორის

თბილისი. 24 სექტემბერი. 16 საათი. ეროვნული. 2 000 (ტევადობა 70 900)

## დინამო 1:2 ბორჯომი

0:1 ქორიძე (34), 1:1 ბობოხიძე (44), 1:2 გეწაძე (87)

**დინამო:** გრიშიკაშვილი, გიგაური, ქემოკლიძე, ამისულაშვილი, გ. თომაშვილი (გ. ჭელიძე 46), გ. მერებაშვილი, ლ. ნოზაძე, გრიგალაშვილი (გ. მახარაძე 29), ჩირიკაშვილი, ბობოხიძე, მეგრელაძე (ს. იაშვილი 73)
*სათადარიგონი:* სტურუა; აკობია, მელქაძე, დვალიშვილი
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**ბორჯომი:** მამალაძე, ა. ბურნაძე (გ. გოჩაშვილი 53), ლ. ჭელიძე, მიქიაშვილი, მემარნიშვილი, გაბისკირია, გვირჯიშვილი, ბაქრაძე, გეწაძე, აფციაური, გ. ქორიძე (შ. ჯიქია 66)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მაჭავარიანი, ნასყიდაშვილი, გოგიჩაიშვილი, რ. ჯიქია
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**გაფრთხილება:** გეწაძე (87), გოჩაშვილი (89)

**გაძევება:** გვირჯიშვილი (90)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)

**ინსპექტორი:** ნ. კაკულია

## პრესკონფერენცია

*სოსო ფრუიძე:* „დინამოს" დღეს ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ მათ კარგი ახალგაზრდები ჰყავთ და მოხარული ვარ, რომ ძლიერ გუნდს მოვუგეთ.

...ჩემმა არჩეულმა ტაქტიკამ გაამართლა: მონახაზი ისეთი მქონდა, რომ თორნიკე აფციაურსა და რევაზ გეწაძეს თან უნდა შეეტიათ, თან ზონები უნდა გადაეკეტათ ფლანგებზე.

...ვინ იქნებიან ჩვენი კონკურენტები ჩემპიონობისთვის ბრძოლაში? ვფიქრობ, რაც უნდა მოხდეს, „დინამო" ჩემპიონი გახდება.

და სად იყო *კახა ცხადაძე*?

იგი შეუძლოდ გახდა, ნერვიულობას აჰყვა და ნამატჩევს მანქანით წაიყვანეს ექიმთან...

## თქვენი ინტერვიუ
## ალექსანდრე იაშვილთან
### «ფრაიბურგი» გერმანია

***ხომ გაინტერესებთ, რა ხდება დღეს ნაკრებში და რას ფიქრობს გუნდიდან წასული ალექსანდრე იაშვილი? ჰოდა, მცირე შესვენების შემდეგ ჩვენი რუბრიკა ისევ „ფორმაშია": გერმანული „ფრაიბურგის" კაპიტანი უკვე ელის თქვენთვის საინტერესო კითხვებს, რომლებიც 30 სექტემბრამდე უნდა მოგვაწოდოთ.***
***ასე რომ, იაქტიურეთ...***

მოგვმართეთ *ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა:* **Starmail@Caucasus.net**



საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 7 ტური

# ალავერდაშვილი ალავერდს იუბილართან გადავიდა



გიორგი ალავერდაშვილის (მარჯვნივ) სამქულიანი გოლი

თბილისი. 25 სექტემბერი. 16 საათი. მიხეილ მესხი. 150 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:0 სოხუმი

1:0 ალავერდაშვილი (86)

ლოკომოტივი: გ. ჭანტურია, საჯაია, მახვილაძე, გ. ონიანი, დ. ფოფხაძე (სირბილაძე 62), ინოზოვი, ლ. ქებაძე, რ. ონიანი, სირაძე, ხარაძე (რამონი 46), კახელიშვილი (ალავერდაშვილი 83)
სათადარიგონი: ლ. ლომიძე; პანოვი, თავბერიძე, გ. ჩივაძე
მწვრთნელი: ნოდარ აკობია

სოხუმი: ავ. ლაბაძე, თ. უგრეხელიძე, წერეთელი, ზ. ჯულაძე, ძვანია, მოლოდინი, გ. ხაჩიძე, გ. ჩხაიძე, შ. ჩომახიძე (ი. ჭანტურია 24), გაგუა (მამფორია 88), რუსია
სათადარიგონი: სეფიაშვილი; ლ. ჩხაიძე, ეგაძე, ჭყოიძე, ფარჯიანი
მწვრთნელი: გოჩა ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: გ. ჩხაიძე (28), ფოფხაძე (55), გაგუა (84)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (სამივე ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი)

ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

გიორგი ვაშაკიძე

...**რომ შეატყო,** თამაშს ვერ იგებდა, „ლოკომოტივის" მწვრთნელმა ნოდარ აკობიამ 83-ე წუთზე მესამე თავდამსხმელი, გიორგი ალავერდაშვილი შეუშვა მინდორზე. ალავერდაშვილმა სეხნია კახელიშვილი შეცვალა და, ფაქტობრივად, პირველივე შეხებისთანავე გამარჯვებისა გაიტანა. ათიანში მოვარტყიო, აკობიამ უნდა თქვას: რამონი-სირბილაძე-ალავერდაშვილის მშვენიერი სამსვლიანი კომბინაცია ამ გიორგის მაღალ კუთხეში დარტყმულით დასრულდა, სტუმართა მეკარე ავთანდილ ლაბაძე უძლური იყო — ეს ყველაფერი თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე მოხდა.

არადა, თავგანწირვით მოთამაშე სოხუმელებზე ფრე ნაღდად ალალი იყო. თქვა კიდეც პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა გოჩა ჟორჟოლიანმა, დაცვაში ერთადერთი შეცდომა დავუშვით, რაც წაგებად დაგვიჯდაო.

მატჩის პირველ ტაიმზე არაფერია სათქმელი — დუნე, მონოტონურ თამაშში კაცი გამოძინებასაც მოასწრებდა. აი, მეორე ნახევარში კი... ნოდარ აკობიამ ახალგაზრდა ხარაძის ნაცვლად ბრაზილიელ რამონს „აუნთო მწვანე" და იმიჯშეცვლილმა, თავგადაპარსულმა, სამხრეთამერიკელმა ერთობ გამოაცოცხლა მასპინძელთა იერიშები. „ლოკომოტივი" სრულად დაეპატრონა მოედანს, მაგრამ რად გინდა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, რკინიგზელებმა კარის ჩარჩოში ერთხელაც ვერ მოარტყეს.

„მიხეილ მესხის" ტრიბუნაზე მჯდომი ქომაგი ბუზღუნებდა, რა არის ეს, მთელი თამაშის მანძილზე მეკარეს ერთხელაც რომ ვერ გადაახტუნებ, ის ფეხბურთიაო? ის კაცი ორივე გუნდის მეკარეებს გულისხმობდა და, მართლაც: არც გრიგოლ ჭანტურიას და არც ავთანდილ ლაბაძეს საქმე, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ.

მატჩში პირველი, ასე თუ ისე, რეალური საგოლე მომენტი 56-ე წუთზე ჩავინიშნე, როცა დაჩი ფოფხაძის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს რამონი გამოეხმაურა მძლავრი თავურით — ლაბაძე ადგილზე გაშეშდა, ბურთი კი, რკინიგზელთა სამწუხაროდ, მცირედით ასცდა „სოხუმის" კარს.

ერთხელაც სოხუმელ რუსიას შეეძლო თავისიანების გახარება, მაგრამ კარის წინ მარტო დარჩენილ თენგიზ უგრეხელიძეს პასი არ გადააწოდა, თავად მოინდომა გოლის გატანა და... მომენტიც ჩაიფუშა.

მერე კი ის გოლი იყო, რომელზედაც უკვე მოგახსენეთ.

დაბოლოს, „ლოკომოტივიდან" გუშინ ნამატჩევს ყველაზე გახარებული მეკარე გრიგოლ ჭანტურია გახლდათ — მას დაბადების დღე ჰქონდა, 32 წლის გახდა...

### პრესკონფერენცია

*გოჩა ჟორჟოლიანი:* ვულოცავ მეტოქეს გამარჯვებას. სამწუხაროდ, წავაგეთ, არადა, ფრე უფრო ლოგიკური შედეგი იქნებოდა. ერთადერთი დაცვაში შეცდომა ძვირად დაგვიჯდა.

*ნოდარ აკობია:* ჰაერივით გვჭირდებოდა სამი ქულა და სამწუხარო ის იქნებოდა, ვერ მოგვეგო. ვერ ვითამაშეთ კარგად, ბევრი წუნი გვქონდა გადაცემებისას, მაგრამ მიხარია, რომ მძიმე ბრძოლაში მაინც მოვიგეთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორჯომი | 7 | 6 | 0 | 1 | 14:4 | 18 |
| ლოკომოტივი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:2 | 17 |
| სიონი | 6 | 5 | 1 | 0 | 12:3 | 16 |
| ვიტ ჯორჯია | 6 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 |
| ამერი | 7 | 4 | 1 | 2 | 6:5 | 13 |
| ზესტაფონი | 6 | 4 | 0 | 2 | 5:3 | 12 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 5:6 | 12 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 7:6 | 10 |
| ბათუმი | 7 | 3 | 1 | 3 | 3:4 | 10 |
| დილა | 7 | 3 | 0 | 4 | 7:7 | 9 |
| კახეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 6:10 | 9 |
| ცხინვალი | 7 | 2 | 0 | 5 | 4:8 | 6 |
| ტორპედო | 7 | 1 | 1 | 5 | 4:8 | 4 |
| სპარტაკი | 7 | 1 | 1 | 5 | 1:5 | 4 |
| სოხუმი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:14 | 4 |
| თბილისი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:12 | 0 |

# ტრადიციით დამარცხებული ტრადიცია
## კოლხური გოლების საავტორო უფლება ქუთათელაძემ იყიდა

ფოთი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ფაზისი. 200 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 2:1 დილა

0:1 ხანიშვილი (45), 1:1, 2:1 ქუთათელაძე (48, 54)

კოლხეთი: ბათიაშვილი, გ. კილასონია, ჯ. შალამბერიძე, ქუტიძე, ყურაშვილი, კრასოვსკი (ცეცვაშვილი 35; სამსეიშვილი 46), ფარულავა, ვართაგავა, მარგალიტაძე, ქუთათელაძე, ზ. ჯანაშია (ლოლუა 83)
სათადარიგონი: ლატარია; გოგენია, ნარსია, წიქარიშვილი
მწვრთნელი: სოსო ფილია

დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი (დ. ნადირაძე 80), ძარქუზაშვილი, სატაბურიძე, ი. კობახიძე (ალ. ლაბაძე 67), ლ. გოჩაშვილი, კ. ხანიშვილი, შატაკიშვილი, ტლაშაძე (მძინარიშვილი 82), სულთანიშვილი, მ. თაყაძე
სათადარიგონი: ნასყიდაშვილი; ი. თომაშვილი, მასურაშვილი
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

გაფრთხილება: შატაკიშვილი (50), მარგალიტაძე (58), სამსეიშვილი (77), ვართაგავა (82), სულთანიშვილი (89)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი), ზ. ფიფია (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი)

ინსპექტორი: უ. ფურცელაძე

გოჩა ჯანაშია ფოთიდან

**გუშინდლამდე** „კოლხეთი" წმინდა „საშინაო გუნდი" იყო, შინ სამივე თამაში მოეგო და თანაც გოლგაუშვებლად. გორის „დილამ" კი ამ ტრადიციას სანახევროდ მოუღო ბოლო.

ორივე გუნდს რატომღაც ლურჯწითელი ფორმა ეცვა და შეხვედრაც რთული საცქერი გამოდგა, თამაშის მხრივ კი პირველი ტაიმი ძალიან უხარისხო გამოდგა. შესვენებამდე ორადორი მომენტი იყო: მე-14 წუთზე ზამირ ჯანაშიას ჩაწოდებულს ზვიად ქუთათელაძემ თავური დაუხვედრა და თამაზ ილურიძე შორეულ კუთხეში დაუხვდა ბურთს; სამიოდ წუთში კი გორელებმა პასუხი არ დაახანეს და მიხეილ თაყაძემ სახიფათოდ, ოღონდ, ცოტა უზუსტოდ დაარტყა.

ამის შემდეგ უინტერესო თამაში გაგრძელდა, ბურთი ფუჭად ტრიალებდა ცენტრში. სოსო ფილიამ, ტრადიციას არ უღალატა და შეცვლა პირველივე ტაიმში გააკეთა — სამსეიშვილი მხოლოდ 10 წუთი ათამაშა და ალბათ ამის მიზეზი ის იყო, რომ „კოლხეთი" შესვენებაზე წაგებული გავიდა: იმ დროს, როცა მეოთხე მსაჯმა ორი წუთის დამატების მანიშნებელი აბრა ალმართა, კობა ხანიშვილმა ჯონი შალამბერიძესთან ჭიდილში ივარგა, ბურთი შეინარჩუნა და აულებელი დარტყმით „ფაზისი" ამ სეზონში პირველად დაალონა.

მეორე ტაიმი კოლხებმა ჩინებულად დაიწყეს და მეორე ტრადიციის ჯერიც დადგა: ზვიად ქუთათელაძემ შვიდ წუთში ორჯერ გაიხარა.

ჯერ იყო და, შალამბერიძის შორეულ ძელთან ჩაწოდებულს ყურაშვილმა თავური დაჰკრა, ილურიძეს ხელიდან გავარდნილი ბურთი კი კოლხთა მეგოლემ კარში შეიტანა — 1:1.

ამ გოლმა უფრო გააქტიურა „კოლხეთი" და „დილას" კართან მაგრად დაცხა. განსაკუთრებით კი, ჯანაშიას მაკრატელათი დარტყმული დაგვამახსოვრდა, რომელიც პირდაპირ ილურიძეს მიუვიდა ხელში. 54-ე წუთზე კი ქუთათელაძემ დუბლი შეასრულა — იმავ ყურაშვილის ჩინებული პასი აქცია გოლად.

მატჩის დასრულებამდე დიდი დრო რჩებოდა, ოღონდ ვინ როგორ გამოიყენებდა ამას, ესღა იყო საკითხავი. გორელებს მონდომება არ აკლდათ, მაგრამ რეალური საგოლე შანსი ერთხელაც არ მისცემიათ.

საბოლოო ჯამში ფოთელებმა მიჯრით მეოთხე საშინაო მატჩი მოიგეს.

### პრესკონფერენცია

*ვლადიმერ ხაჩიძე:* ძნელია, ავტობუსით ექვსსაათიანი მგზავრობის შემდეგ გახვიდე მინდორზე და კარგად ითამაშო. ვფიქრობ, ფოთელებს უფრო გაუმართლათ და ამიტომაც მოიგეს.

*სოსო ფილია:* ცნობისთვის: წინა ტურში პრესკონფერენციაზე მისვლა დამაგვიანდა და უკვე დამთავრებული დამიხვდა, რაც აქამდე არასოდეს მომსვლია.

ძალიან მეშინოდა ამ თამაშის. „დილა" ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო ჩვენთვის, რაც დღესაც დადასტურდა. თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ „დილას" დაღლა დაეტყო და ჩვენც მთელი ძალებით შევუტიეთ.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — პირველი წრე — 7 ტური

# ექსპრეს-ჯორჯია

გორი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ქართლი. 100 (ტევადობა 200)

## ცხინვალი 0:3 ვიტ ჯორჯია

0:1 იმედაშვილი (40), 0:2 სახოკია (72), 0:3 მარცვალაძე (90)

**ცხინვალი:** სოლოლაშვილი (გიზო შენგელია 76), დ. მაისურაძე, ფერსაევი, ქობესაშვილი, გ. ლომიძე, ბ. ჩიტაია (დ. ხანიშვილი 68), მოსიაშვილი, გამცემლიძე, ბაკარაძე, დათვაძე, ჩილვინაძე
*სათადარიგონი:* გ. მაისურაძე, თაყაძე, ბოლოთაშვილი, გაბლაია, ნ. ნოზაძე
**მწვრთნელი:** ივანე თაყაძე

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ა. დათუნაიშვილი (რაზმაძე 59), დ. ლომაია, აბშილავა, ქუხილავა, დილმელაშვილი, იმედაშვილი, გ. დათუნაიშვილი (ბველესიანი 80), ნ. გელაშვილი (სახოკია 71), მარცვალაძე, ფიქრიშვილი
*სათადარიგონი:* მუჯირიშვილი, ჯაფარიძე, ლ. მაჩაკავა, ლ. კვარაცხელია
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**გაფრთხილება:** ლომიძე (27), ა. დათუნაიშვილი (35), რაზმაძე (84)

**გაძევება:** თაყაძე („ცხინვალის" მწვრთნელი, 45)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); გ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**ინსპექტორი:** გ. ქორიძე

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**სტუმრებმა** თავიდანვე აქტიური თამაში დაიწყეს, მათ ნახევარდაცვა-თავდასხმას შებოჭილი ჰყავდათ „ცხინვალის" დაცვა.

მე-16 წუთზე საჯარიმოდან ჩაწოდებულს დავით დილმელაშვილმა პენალტის ნიშნულიდან დაარტყა და რამაზ სოლოლაშვილმა ნახტომში მოიგერია ბურთი. ტაიმის შუაწელიდან ცხინვალელებმა ოდნავ გამოასწორეს თამაში, თუმც მომენტი ერთხელაც ვერ შექმნეს. 26-ე წუთზე დავით დათვაძე თითქმის პირისპირ გადიოდა ვიტელთა მეკარესთან, მაგრამ შეყოვნდა და იერიშსაც სიმწვავე მოაკლდა.

ტაიმის ბოლოს „ვიტ ჯორჯიამ" თავისი მაინც გაიტანა: ჯერ დილმელაშვილმა ძელს მოარტყა ბურთი, ორიოდ წუთში კი გიორგი ფეიქრიშვილის პასით ნიკა გელაშვილმა დაარტყა, მეკარემ მოიგერია, თუმცა დავით იმედაშვილის დამატებულს ვეღარ გაუმკლავდა — 0:1.

ტაიმის დამთავრებამდე დილმელაშვილს ორჯერ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ...

„ცხინვალი" მეორე ტაიმშიც დათვაძის გარღვევების იმედად იყო, ერთხელ მისი საჯარიმოდან გასროლილი აილო ბედიაშვილმა.

და მაინც, ისევ ნესტორ მუმლაძის ბიჭებმა იძალეს — სოლოლაშვილი გამოსვლაზე ქობესაშვილს შეეჯახა, ბურთი კი მოედანზე იმ წუთის შესულ ზაზა სახოკიას მიუვიდა და მანაც ცარიელ კარში გაიტანა — 0:2. ეს ამბავი 72-ე წუთზე მოხდა.

„ცხინვალს" იქვე შეეძლო ანგარიშის „შელამაზება", მაგრამ ვიტელთა მცველებმა დროულად ჩაშალეს მასპინძელთა, ერთი შეხედვით, მწვავე შეტევა.

მატჩის წერტილი კი ისევ ქობესაშვილის შეცდომის შედეგად დაისვა. მან ბურთი უხერხულად მოიგერია და ოთარ მარცვალაძემ ახლოდან ზუსტად დაარტყა — 0:3.

# სხვანაირი ჟრიამული

## ზესტაფონში სტადიონი დაასველეს

ზესტაფონი. 25 სექტემბერი. 16 საათი. ცენტრალური. 6 000 (ტევადობა 10 000)

## ზესტაფონი 1:0 სპარტაკი

1:0 ხიდეშელი (39)

**ზესტაფონი:** ქვარიანი, ძამსაშვილი, შ. ლონლაძე, ხიდეშელი, ს. თოდუა, განუგრავა, ნუდნი (რ. კვერნაძე 57), კ. ჩხეტიანი, გოგი ფიფია (სულაკაძე 87), ბ. გოცირიძე (იონანიძე 68), იმედაძე
*სათადარიგონი:* კვასხვაძე, ბ. ნოზაძე, ლაფერაშვილი, ბესარაშვილი
**მწვრთნელი:** თემურ მახარაძე

**სპარტაკი:** დევაძე, ტაბიძე, ჯანგიძე, იმნაიშვილი, კოტრიკაძე, ხუბუა, ჩანტლაძე (დონდოლაძე 78), თ. მჭედლიშვილი, მალიჩავა (კობალაძე 63), მაღლაფერიძე, ურუშაძე
*სათადარიგონი:* ლალაძე, თ. დემეტრაძე, ბ. ჯანელიძე, დ. ფიფია, რიჟამაძე
**მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე

**გაფრთხილება:** ჩხეტიანი (23), მალიჩავა (41), ნუდნი (42)

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), დ. ხარიტონაშვილი (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

**ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**ლუკა თალაკვაძე**

**სხვანაირი** ჟრიამული იყო ზესტაფონში. არა, „სპარტაკი" ის გუნდი არაა, მის სტუმრობას ანშლაგით რომ დახვედროდნენ, მაგრამ ზესტაფონი პირველ საამსეზონო მატჩს ატარებდა საკუთარ ცენტრალურ სტადიონზე, რომელსაც ახალი მინდორი ამშვენებს — გაზონი ჯერ მთლად იდეალური ვერაა, მაგრამ ნელ-ნელა, ასე ვთქვათ, ფორმაში შევა და მალე საუკეთესოც იქნება საქართველოშიო, ამბობენ.

მატჩის წინ გუნდების კაპიტნებმა საქართველოს დროშა აღმართეს და სახელმწიფო ჰიმნიც აჟღერდა, თამაში კი თავსხმა წვიმაში ჩამთავრდა.

„ზესტაფონს" მცირე უპირატესობა ჰქონდა, ბურთს მეტწილად ფლობდა და კინკილაგოლიანი, მაგრამ სამქულიანი მატჩი კი მიითვალა: 39-ე წუთზე გოგი ფიფიამ საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, სადაც გიორგი განუგრავამ, ლაშა ლონლაძემ და გიორგი ხიდეშელმა „თავბურთი" გამართეს, საგოლე დარტყმა კი ხიდეშელისა იყო — როგორც იცით, ეს 17 წლის მცველი ახლახან საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც გამოიძახეს.

ერთი სიტყვით, ფეროელებმა დაგეგმილი სამი ქულა აიღეს და მომდევნო ტურში საკმაოდ ძნელი ჯახისთვის ილესავენ კბილებს — ბოლნისში, ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ „სიონს" სტუმრობენ...

თელავი. 25 სექტემბერი. 16 საათი. გივი ჩოხელი. 1 500 (ტევადობა 6 000)

## კახეთი 1:0 ტორპედო

1:0 არუდაშვილი (69პ)

**კახეთი:** გ. იაშვილი, ტარუღაშვილი (კველიშვილი 46), ნადირაშვილი, კობაიძე, ბედოიძე, კუბრაშვილი, ბ. ბურნაძე, ნ. დავითაშვილი, სოსელია (არუდაშვილი 65), დ. ბურდული, იმერლიშვილი (ტეტიაშვილი 88)
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, ზ. დვალი, იორდანიშვილი, ბიძინაშვილი
**მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი

**ტორპედო:** რევიშვილი, რატი ბარაბაძე, მაღლაკელიძე, ებრალიძე, ა. ფოფხაძე, ხურცილავა, ზ. ჩხეტიანი (ტეხოვი 70), დოლონაძე (მ. ლონლაძე 46), სვანაძე (ბურჯანაძე 51), ძოძუაშვილი, მდივნიშვილი
*სათადარიგონი:* გიგინეიშვილი; კავთელაძე, გორგოძე, ა. კვერნაძე
**მწვრთნელი:** რევაზ ბურკაძე

**გაფრთხილება:** კობაიძე (49), ბარაბაძე (69), ბურნაძე (71), ებრალიძე (83), ბურდული (83)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ურუშაძე (თბილისი), ხ. გაგნიძე (გორი); ა. მეშკოვი (თბილისი)

**ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

# ქუთაისში ჩამოსვლა ხომ გინდათ?!

**დავით თავართქილაძე** თელავიდან

**კვლავ** ლევან კვარაცხელია! წინა ტურში „ვიტ ჯორჯიამ" თბილისის „დინამოს" რომ მოუგო, კვარაცხელიას მსაჯობას ერთი ამბავი მოჰყვა, გუშინ კი ეს არბიტრი ქუთაისელებმაც გათათხეს — კვარაცხელიას გადაწყვეტილებებმა მნიშვნელოვნად იმოქმედა მატჩის შედეგზე...

თელავის „კახეთის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დებიუტი ჰქონდა ჯემალ მახარაშვილს. „კახეთს" ფურორი არ მოუხდენია, თუმც მახარაშვილმა შეცვლა გამოიცნო და დებიუტიც სამი ქულით აღნიშნა.

პირველი სახიფათო მომენტი კახელებმა შექმნეს — დავით ბურდულის დარტყმულს ერთ-ერთი ტორპედოელი დაუხვდა კართან, შემდეგ მიხეილ სოსელიამ დაარტყა ჯარიმა და ნუკრი რევიშვილმა იყოჩაღა.

ერთი სიტყვით, „კახეთი" უპირატესობას ფლობდა, მეტოქეზე უფრო მეტ ხანს აკონტროლებდა ბურთს, თუმც თამაშის გამწვავება, თუ არ ჩავთვლით ზემოთხსენებულ ეპიზოდებს, უჭირდა.

თუ საგოლე მომენტებზე მიდგა საქმე, არც „ტორპედო" გამოდგა ჯაბანი — ქუთაისელებმა კარგად გაითამაშეს კონტრშეტევა, კახა სვანაძემ მერაბ ძოძუაშვილს უპასა, მაგრამ ქუთაისელთა ფორვარდმა მეკარესთან ბრძოლაში ბურთს ფეხი ვერ მიარტყა.

შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა, გუნდებს დიდი ნიათი არ ეტყობოდათ, თითქოს ყველაფერი ფრისკენ მიდიოდა, მაგრამ მახარაშვილმა მოედანზე ვასილ არუდაშვილი შეუშვა და იღბალმაც „კახეთისკენ" გაიხედა.

თელაველებმა სტუმართა საჯარიმოში ჩააგდეს ბურთი, თითქოს დიდი ხიფათი არ ემუქრებოდა „ტორპედოს", მაგრამ არუდაშვილი რატი ბარაბაძესთან ბრძოლაში მიწდორზე გაიშოტა — ლევან კვარაცხელიამ საეჭვო თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც ოსტატურად შეასრულა იმავ არუდაშვილმა.

„ტორპედო" გაშლეგდა და გასათანაბრებლად გაიქანა, „კახეთი", საკუთარ საჯარიმოს და მის მისადგომებს მიეჯაჭვა. ქუთაისელებმა ორი საგოლე შანსი გაანიავეს და ორივე კუთხურიდან — ავთო ფოფხაძის თავური ოდნავ ასცდა მიზანს, ხოლო მამუკა ლონლაძის დარტყმული თელაველმა მცველმა გამოიტანა კარის ხაზიდან.

ქუთაისელები არბიტრ კვარაცხელიას დანიშნული პენალტის გარდა მათი აზრით დასანიშნ თერთმეტმეტრიანსაც ედავებოდნენ — მატჩის მიწურულს თელაველებმა მიხეილ ტეხოვი მოცელეს, მაგრამ კვარაცხელიამ ჯარიმა დანიშნა, ტეხოვი „კახეთის" საჯარიმოში კი არა, ოდნავ გარეთ წააქციესო.

### პრესკონფერენცია

*რევაზ ბურკაძე:* მეტოქე პირველ ტაიმში ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ უკეთესი საგოლე მომენტი ჩვენ შევქმენით. რაც შეეხება მსაჯობას, კვარაცხელიმ ან არ იცის მსაჯობა, ან არ უნდა, რომ ნორმალურად იმსაჯოს. მასპინძლები ჩვენებს გამეტებით ურტყამდნენ... ხეშებოდნენ, რამდენიმე ტორპედოელი ფეხის მოტეხვას გადაურჩა. ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდათ ქუთაისში ჩამოსვლა...

*ჯემალ მახარაშვილი:* მსაჯობაზე საუბრისგან საერთოდ თავს ვიკავებ. რაც შეეხება ვითომდა უხეშობას, ჩვეულებრივი სათამაშო სიტუაციები იყო.

თბილისი. 26 სექტემბერი. 16 საათი. ოლიმპი

## თბილისი — სიონი

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ა. სამხარაძე (სოხუმი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); გ. ასკაროღლი (ქარელი); **ინსპექტორი:** ვ. ბარქაია

სარბიელელები ვუსამძიმრებთ
ჩვენს კოლეგას, მალხაზ ახვლედიანს
დედის
გარდაცვალების გამო


## განცხადება

„ს.კ. ბარსელონა" (ესპანეთი) ტალანტების მოძიების პროგრამის ფარგლებში
„აბრეშუმის გზის კორპორაცია" ატარებს ახალგაზრდა ფეხბურთელების შერჩევას,
დაბადებულნი 1988, 89/90, 91/92, 93/94, 95/96, 97/98, 99/2000 წლის ჩათვლით.
რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია 26 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.
მსურველებს გთხოვთ, მობრძანდეთ მ. მესხის სახელობის სტადიონზე, ჭავჭავაძის 74-ში
11:00 საათიდან 16:00 საათამდე, ცენტრალური ლოჟის მე-2 სართულზე.
გთხოვთ, თან იქონიოთ მშობლის პირადობის დამადასტურებელი
საბუთი და ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი. დამატებითი ინფორმაციისთვის
დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 23 04 58, მობ.: 899 55 98 55.

## გერმანია

### ბუნდესლიგა. VII ტური

**ჰამბურგი 2:0 ბაიერნი**

1:0 ვან დერ ვაარტი (10), 2:0 ტროხოვსკი (62)
**ჰამბურგი:** ვესტერი, ბულარუზი, ვან ბუიტენი, ატუბა, დემელი (ბ. რეინჰარდტი 71), ბაინლიხი, იაროლიმი, ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი (ციგლერი 82), ლაუტი (მპენზა 68), ბარბარესი
მწვრთნელი: თომას დოლი
**ბაიერნი:** კანი, ლუსიო, სინიოლი, ისმაელი, ლიზარაზუ (შოლი 61), დემიკელისი, სალიჰამიჯიჩი (შვაინშტაიგერი 46), ქარიმი (გერერო 46), ზე რობერტო, ბალაკი, მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: იაროლიმი, ბარბარესი, დემელი, მაკაი, გერერო, ბალაკი
მსაჯი: მეიერი
55 800 მაყურებელი

**შალკე 2:0 ჰანოვერი**

1:0 ლინკოლნი (58), 2:0 კურანი (66)
ლინკოლნმა ვერ გაიტანა პენალტი (60)
**შალკე:** ფ. როსტი, რაფინია, როდრიგესი, ბორდონი, კრსტაიჩი, პაულსენი, კობიაშვილი, ფ. ერნსტი, ლინკოლნი (ლაუმანი 90), ლარსენი, კურანი (ჰამიტ ალტინტოპი 90)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
**ჰანოვერი:** ენკე, მერტერსაკერი, ჩერუნდოლო, ვინისიუსი, ტარნატი (ჰაშემიანი 68), დაბროვსკი, ლალა, ბალიჩი, შტაინერი, ბრდარიჩი (მონტობელი 83), ჰანე (დელურა 68)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: კობიაშვილი, პაულსენი, დაბროვსკი, ბალიჩი
მსაჯი: სიპელი
60 881 მაყურებელი

**ვერდერი 2:1 ლევერკუზენი**

1:0 კლოზე (46), 1:1 როლფსი (54), 2:1 კლასნიჩი (77)
**ვერდერი:** რაინკე, ნალდო, ოვომოიელა, ლ. ანდრეასონი, ვან დამი, ფრინგსი, დ. იენსენი (ჰანტი 68), ბოროვსკი (ვრანიეში 68), მიკუ, კლოზე, კლასნიჩი (შულცი 90)
მწვრთნელი: თომას შაფი
**ლევერკუზენი:** ბუტი, როკე ჟუნიორი, რომელო, მადუნი (ფრიცი 64), კასტრო, ბარნეტა, როლფსი, ბაბიჩი, ატირსონი (კრჟინოვეკი 80), ბერბატოვი, ვორონინი (ლაზოვიჩი 80)
მწვრთნელი: რუდი ფიოლერი
გაფრთხილება: ბერბატოვი, ვან დამი, როლფსი
მსაჯი: მერკი
37 265 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 1:0 აინტრახტი**

1:0 ვიჩი (35)
**ვოლფსბურგი:** იენჩი, კარჰანი, ნეზირი, კიროგა, ჰოფლანდი, ალექსი (სარპეი 66), ტიამი (შნორი 79), ცქიტიშვილი (მენსეგეში 45), დალესანდრო, ჰანკე, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
**აინტრახტი:** ციმერმანი, კრისი, რემერი (ციმენი 46), ვასოსკი, პრეუსი, ოხსი, ჰუგელი (ა. მაიერი 71), ლება (ვან ლენტი 81), ვაისენბერგერი, კიოლერი, ამანატიდისი
მწვრთნელი: ალექსი
მსაჯი: დრესი
17 121 მაყურებელი

**დუისბურგი 1:0 ნიურნბერგი**

1:0 კურტი (28)
**დიუსბურგი:** კოხი, ტიკუზუ (ვოლტერი 46), მიორლე, ბილიშკოვი, ა. მეიერი, ბაელუმი, ვილი, ლოტნერი (რიტპიჩი 72), ბუგერა, კურტი, აჰანფუფი (ვან ჰუდტი 83)
მწვრთნელი: ნორბერტ მაიერი
**ნიურნბერგი:** შეფერი, პაულესი, ლენსე, პინოლა, ნიკლი, ვიტეკი (შროტი 46), კანტალუპი, პოლაკი, ს. მიულერი (საენკო 64), კიესლინგი, დაუნი (ჩედლი 69)
მწვრთნელი: ვოლფნგან ვოლფი
გაფრთხილება: ვილი, ლოტნერი, ბუგერა, აჰანფუფი, კიესლინგი, პინოლა
გაძევება: ნიკლი (81)
მსაჯი: გაგელმანი
19 411 მაყურებელი

**მაინცი 1:1 დორტმუნდი**

1:0 ზიდანი (64), 1:1 მეცელდერი (90)
**მაინცი:** ვახე, მ. ფრიდრიხი, აბელი, ნოვესკი, ვაიგელტი, პეკოვიჩი (ბაბატცი 74), და სილვა, ფ. გერბერი (დემირტასი 85), ტურკი (ადო 79), რუმანი, ზიდანი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
**დორტმუნდი:** ვაიდენფელერი, ვიორნსი, მეცელდერი, დეგენი, კელი, დედე, კრინგე, როსიცკი, რიკენი (ოდონკორი 46), კოლერი (კრუსკა 64), სმოლარეკი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
გაფრთხილება: პეკოვიჩი, ტურკი, როსიცკი, ადო, კრინგე
მსაჯი: ვაინერი
20 300 მაყურებელი

**არმინია 0:2 გლადბახი**

0:1 კლუგე (32), 0:2 ნოივილი (68)
**არმინია:** ჰაინი, ვესტერმანი, კორზინეცი (პორჩელო 46), შულერი (რაუ 66), ბორგესი, ფინკი, კუჩერა, ზუმა, კობილიკი, კრუპნიკოვიჩი (პინტო 46), ბოაკი
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
**გლადბახი:** კელერი, შტრასერი, ფუკალი, იანსენი, ზე ანტონიო, უდე კამპუისი, ელ ფაკირი, კლუგე (დაემსი 60), ბროიხი, კაე (სვერკოში 66), ნოივილი (ლისტეში 82)
მწვრთნელი: ჰორსტ კიოპელი
გაფრთხილება: ბორგესი, ელ ფაკირი
მსაჯი: ბრიხი
21 731 მაყურებელი

**კიოლნი 0:1 ჰერტა**

0:1 მადლუნგი (52)
**კიოლნი:** ვესელსი, შლიკე, სინკიევიჩი, სინკალა, ლელი, შინდიელორსი (ა. შტრაიტი 56), ლურლინგი (ფულნერი 56), რანი, მოხტარი, პ. მადსენი (ჰელმესი 66), პოდოლსკი
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
**ჰერტა:** ფიდლერი, მადლუნგი, სიმუნიჩი, ა. ფრიდრიხი, ფატი, ნ. კოვაჩი, დარდაი, ჟილბერტო, ბაშთურქი (ნოიენდორფი 90), მარსელინიო (სამბა 90), პანტელიჩი (რაფაელი 84)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
გაფრთხილება: პოდოლსკი
მსაჯი: შტარკი
48 000 მაყურებელი

**შტუტგარტი 1:0 ლაუტერნი**

1:0 ტომასონი (10)
**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ფ. მეირა, დელპიერი, შტრანცლი, მანინი, გენტნერი, სოლდო, ტიფერტი, კაკაუ (გრონკიაერი 46), ლიუბოია (გომესი 70), ტომასონი
მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი
**ლაუტერნი:** მახო, ჰერჩი, პლეჩი, მეტომო (ზანდი 83), ბლანკი, ტ. როიტერი, ენგელჰარდტი, გიოკტანი (მიკიჩი 72), სკელა, ზაიცი (ბელინგჰაუზენი 46), ჰალილ ალტინტოპი
მწვრთნელი: მიხაელ ენკე
გაფრთხილება: ტომასონი, მიკიჩი
მსაჯი: კინჰიოფერი
35 000 მაყურებელი

# დაასხით!



AFP ჰამბურგიდან

ჰამბურგელები „ბაიერნზე" გამარჯვებით ხარობენ

**„ბაიერნის"** დამარცხებისთვის დაწესებული 10 ათასი ლიტრი ლუდი პატრონს ჩაბარდა — „ჰამბურგის" ფანებმა მისალები მიიღეს, მიუნხენის „ბაიერნის" თხუთმეტმატჩიანი წაუგებელი სერია შეწყდა, „ჰამბურგმა" კი ბუნდესლიგას ინტრიგა დაუბრუნა და ახლა თვითონაა მიჯრით 16 მატჩში უძლეველი.

რაფაელ ვან დერ ვაარტის გოლი ალი ქარიმის შეცდომას მოჰყვა. ჰოლანდიელმა მარჯვენით დაჰკრა და ოლივერ კანს ბურთი კარიდან გამოატანინა. —„ცაცია ვარ — თქვა ნამატჩევს ვან დერ ვაარტმა — და მით უფრო მიხარია, რომ მარჯვენა ფეხით გავიტანე".

მეორე გოლი პიოტრ ტროხოვსკიმ მიითვალა, რომელიც „ბაიერნმა" „ჰამბურგს" ორი წლის წინ ათხოვა „დიდი გამარჯვებაა — განაცხადა ტროხოვსკიმ — ახლა უკვე აღარ მეეჭვება, რომ „ბაიერნი" ჩემთვის წარსულია, „ჰამბურგი" კი — მომავალი".

მიუნხენელთა მწვრთნელი ფელიქს მაგათი: „მარცხი დავიმსახურეთ. მეტოქემ აშკარად გვაჯობა"

„ჰამბურგის" გარდა წაუგებელი კიდევ ერთი გუნდი, „შალკე" დარჩა, რომელმაც ზედიზედ ოთხი ფრის შემდეგ „ჰანოვერთან" იმარჯვა. კობიაშვილის პასით ლინკოლნმა გაიტანა და ორი წუთის შემდეგ დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ ენკემ პენალტი აუღო. მეორე გოლი კევინ კურანიმ გაიფორმა, რომლის დარტყმული ბურთი მცველის ფეხიდან გეზნაცვალი შევარდა კარში.

დროებით მწვრთნელის, რუდი ფიოლერის თავკაცობით „ლევერკუზენმა" პირველი მარცხი იგემა. „ვერდერმა" მეორე ტაიმის დასაწყისში გახსნა ანგარიში. კარსტენ რამელოვმ ბურთი მეკარეს დაუბრუნა, მაგრამ კლოზემ პასი ჩაჭრა და გაიტანა. ლევერკუზენელებმა მალევე გაათანაბრეს. საიმონ როლფსს ნაკუთხურალი ბურთი მიუვიდა და ცაციით საგოლედ დაჰკრა. შეხვედრის დასრულებამდე ცამეტი წუთით ადრე ივან კლასნიჩმა „ვერდერის" გამარჯვებისა შეაგდო და „მუსიკოსები" „ბაიერნს" ორი ქულითღა ჩამორჩებიან.

დიეგო კლიმოვიჩის ბრწყინვალე გოლით „ვოლფსბურგმა" მისავათებულ „აინტრახტს" აჯობა. არგენტინელმა მარჯვენა ფლანგიდან იარა, საჯარიმოში შეენთო და ბურთი კარში შეაბრძანა.

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" წინა ტურში „ვერდერს" სძლია, ახლა კი ბილეფილდში „არმინიას" მოუგო. პირველ ტაიმში პერ კლუგემ, ხოლო მეორეში ოლივერ ნოივილმა თითო-თითო გოლი მიითვალეს.

სეზონის დასაწყისში ცუდად მოთამაშე „მაინცი" ნელ-ნელა გონს მოდის. სტუმრად „კაიზერსლაუტერნის" ძლევის შემდეგ მაინცელებმა შინ დორტმუნდის „ბორუსიას" დაუზავდნენ. მასპინძლები მოჰამედ ზიდანის პენალტით დაწინაურდნენ და სტუმართაგან საპასუხო გოლი მაშინ გაუშვეს, როცა სამი ქულა უკვე მოყუჩებული ეგონათ. კრისტოფ მეცელდერმა მცველთა შეცდომით ისარგებლა და ბოლოწამს გაათანაბრა.

„დუისბურგმა" პირველი გამარჯვება „ნიურნბერგთან" მოიპოვა, რომელიც ერთადერთილაა ბუნდესლიგაში, მოგების გემო რომ არ გაუსინჯავს.

წუხანდელ მატჩებში კი თითო გოლი გავიდა. „შტუტგარტს" მშვენელად ისევ იონ დალ ტომასონი მოევლინა და ჯოვანი ტრაპატონის გუნდმაც სეზონში მეორე სამი ქულა მიითვალა.

წინა ტურთან შედარებით საგრძნობლად სახეცვლილმა „ჰერტამ" საკმაოდ დაძაბულ მატჩში გამარჯვება მაინც მოახერხა, რისთვისაც ალექსანდრ მადლუნგის მადლიერი უნდა იყოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## მეორე ბუნდესლიგა

### VII ტური

**ფრაიბურგი 3:2 უნტერჰახინგი**

0:1 ნდიაე (13), 1:1 სანუ (32), 1:2 ნდიაე (45), 2:2 იაშვილი (57), 3:2 სანუ (78)
**ფრაიბურგი:** გოლცი, დიარა, ბალტე, ოლაიენგბესი, იბერსტბერგერი, არგო (კუჯუ 46), კულიბალი, ანტარი, ტანკო (კრუპკე 27), იაშვილი, სანუ (კაუფმანი 90)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე

**მიუნხენი 1:0 ბრაუნშვაიგი**

1:0 აგოსტინო (76)

**ოფენბახი 0:0 ბოხუმი**

**ალენი 2:2 ბურგჰაუზენი**

0:1 კნეისლი (14), 1:1 პაჩინსკი (39), 1:2 ბოგავაცი (58), 2:2 რაკანელი (90)

**დინამო დრ 0:2 პადერბორნი**

0:1 ბრინკმანი (27), 0:2 დოგანი (88)

**კოტბუსი 1:0 აუე**

1:0 გომესი (59)

**ფიურტი 1:0 ზიგენი**

1:0 ეილერი (36)

**ზაარბრიუკენი 1:2 კარლსრუე**

1:0 ბენჩიკი (14), 1:1 დანდი (53), 1:2 ფედერიკო (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:8 | 16 |
| ბოხუმი | 7 | 4 | 3 | 0 | 13:5 | 15 |
| მიუნხენი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 13 |
| ბრაუნშვაიგი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:7 | 13 |
| ფრაიბურგი | 7 | 4 | 1 | 2 | 9:7 | 13 |
| ალემანია | 6 | 4 | 0 | 2 | 16:11 | 12 |
| პადერბორნი | 7 | 4 | 0 | 3 | 11:8 | 12 |
| კარლსრუე | 7 | 3 | 2 | 2 | 6:4 | 11 |
| ზიგენი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:8 | 10 |
| დინამო | 7 | 3 | 1 | 3 | 10:9 | 10 |
| ფიურტი | 7 | 3 | 1 | 3 | 10:12 | 10 |
| ოფენბახი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:14 | 10 |
| აუე | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| ბურგჰაუზენი | 7 | 1 | 4 | 2 | 7:8 | 7 |
| უნტერჰახინგი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:12 | 5 |
| ჰანზა | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| ალენი | 7 | 0 | 2 | 5 | 8:17 | 2 |
| ზაარბრიუკენი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:21 | 1 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### XI ტური

კარლ ცაისი — კიოლნი (მ) 2:1; ობერჰაუზენი — ლიუბეკი 0:0; მიუნსტერი — ჰამბურგი (მ) 1:0; კილი — ესენი 3:1; ოსნაბრიუკი — ვატენშტაიდი 2:1; ლევერკუზენი (მ) — ერფურტი 3:2; ვუპერტალი — ემდენი 1:1; ხემნიცი — ზტ-პაული 0:0; ჰერტა (მ) — ვერდერი (მ) 1:0

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### IX ტური

კარლსრუე (მ) — ლაუტერნი (მ) 3:1; კობლენცი — ბაიერნი (მ) 4:0; ელვერსბერგი — კიკერსი 3:0; ეშბორნი — 300ნი 0:2; ბაიროთი — აალენი 2:0; აუგსბურგი — ფულენდორფი 2:0; შტუტგარტი (მ) — ტრირი 3:2; მიუნხენი (მ) — რეგენსბურგი 0:2; დარმშტადტი — ჰოფენჰაიმი 0:1

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ალტინტოპი (ლაუტერნი) | 7 |
| კლოზე (ვერდერი) | 7 |
| მაკაი (ბაიერნი) | 6 |
| კლასნიჩი (ვერდერი) | 6 |

## VIII ტური

1-2 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ნიურნბერგი | : | კიოლნი |
| ჰანოვერი | : | დუისბურგი |
| აინტრახტი | : | შალკე |
| ბაიერნი | : | ვოლფსბურგი |
| ლაუტერნი | : | ჰამბურგი |
| დორტმუნდი | : | შტუტგარტი |
| გლადბახი | : | მაინცი |
| ლევერკუზენი | : | არმინია |
| ჰერტა | : | ვერდერი |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბაიერნი | 7 | 6 | 0 | 1 | 15:5 | 10 | 18 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 8:5 | 3 | 9 |
| 2 ჰამბურგი | 7 | 5 | 2 | 0 | 14:4 | 10 | 17 | 4 | 2 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 8 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 9 |
| 3 ვერდერი | 7 | 5 | 1 | 1 | 19:9 | 10 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 11:6 | 5 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 5 | 6 |
| 4 ჰერტა | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 4 | 14 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 9 | 4 | 1 | 2 | 1 | 3:5 | -2 | 5 |
| 5 შალკე | 7 | 3 | 4 | 0 | 9:5 | 4 | 13 | 4 | 2 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 6 ვოლფსბურგი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:10 | 1 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 7 გლადბახი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 8 ლევერკუზენი | 7 | 3 | 1 | 3 | 14:13 | 1 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | -2 | 4 | 4 | 2 | 0 | 2 | 9:6 | 3 | 6 |
| 9 დორტმუნდი | 7 | 2 | 3 | 2 | 11:10 | 1 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 4 | 0 | 3 | 1 | 6:7 | -1 | 3 |
| 10 შტუტგარტი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:9 | 0 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 11 კიოლნი | 7 | 3 | 0 | 4 | 10:11 | -1 | 9 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 |
| 12 ლაუტერნი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:15 | -5 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:10 | -4 | 3 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 |
| 13 ჰანოვერი | 7 | 1 | 3 | 3 | 8:11 | -3 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 0 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | -3 | 2 |
| 14 დუისბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 10:15 | -5 | 5 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 5 | 3 | 0 | 0 | 3 | 6:10 | -4 | 0 |
| 15 არმინია | 7 | 1 | 2 | 4 | 5:12 | -7 | 5 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | -5 | 1 |
| 16 მაინცი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:11 | -6 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | -1 | 3 |
| 17 აინტრახტი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:11 | -8 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 18 ნიურნბერგი | 7 | 0 | 3 | 4 | 4:10 | -6 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |

# მაურინიუმ იცის: 8:0-ს 2:1 ჯობია

## ინგლისი

### პრემიერლიგა. VII ტური

**მანჩესტერი 1:2 ბლექბერნი**

0:1 პედერსენი (33), 1:1 ვან ნისტელროი (67), 1:2 პედერსენი (81)
**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში (ბრედლი 57), რიჩარდსონი, ფლეტჩერი (რუნი 55), სქოულზი, სმიტი, პარკი (გიგზი 69), რონალდო, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნილსენი, ნილი, ხიზანიშვილი, გრეი, ბენტლი (ემერტონი 75), თუგაი (მოკოენა 46), სევიჯი, პედერსენი, ბელამი, დიკოვი (რიდი 63)
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: რონალდო, ბენტლი, სევიჯი, ბელამი
მსაჯი: დაუდი
67 765 მაყურებელი

**ჩელსი 2:1 ასტონ ვილა**

0:1 მური (44), 1:1, 2:1 ლამპარდი (45, 75პ)
**ჩელსი:** ჩეხი, ტერი, პ. ფერეირა, რ. კარვალიო (შ. რაიტ-ფილიპსი 57), გალასი, მაკელელე, ჯოუ კოული, დაფი, ლამპარდი, რობენი (გუდიონსენი 62), კრესპო (დროგბა 57)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**ასტონ ვილა:** სორენსენი, რიჯველი, მელბერგი, ჰიუზი, ბუმა (ჯლემბა-ჯლემბა 73), მილნერი, დევისი, ბერი (ჰენდრი 85), ბერგერი (სამუელი 67), მური, ანხელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: რობენი, ანხელი
მსაჯი: ნაითი
42 146 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:2 ლივერპული**

0:1 ლუის გარსია (68), 1:1 ვორნოკი (72ს.კ.), 2:1 პანდიანი (75), 2:2 ჯ. სისე (85პ)
**ბირმინგემი:** მ. ტეილორი, კანინგემი, მელხიოტი, აპსონი, კლაპამი, პენანტი, ჯონსონი, კილკენი, გრეი, ფორსელი (პანდიანი 73), ჰესკი (ტებილი 90)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
**ლივერპული:** რეინა, ჰიიპია, ვორნოკი, კარაგერი, ხოსემი, ალონსო, ჰამანი (რიისე 79), ზენდენი (ჯ. სისე 68), ჯერარდი, სინამა პონგოლე (ლუის გარსია 60), კრუჩი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: კლაპამი, კანინგემი, ლუის გარსია, სინამა პონგოლე, ვორნოკი
გაძევება: კილკენი (84)
მსაჯი: ბენეტი
27 733 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 0:0 არსენალი**

**ვესტ ჰემი:** კეროლი, რეპკა, გაბიდონი, ფერდინანდი, კონჩესკი, ბენაიუნი, მულინსი, რეო-კოკერი, ეტერინგტონი (ნიუტონი 84), შერინგემი (ზამორა 81), ჰარვუდი
მწვრთნელი: ალან პერდიუ
**არსენალი:** ლემანი, ტურე, ლორენი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ჟილ ბერტო (ფლამინი 71), ფაბრეგასი, გლები, ვან პერსი (კლიჩი 82), რეიესი (აბუ 73), ლიუნგბერგი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: შერინგემი, რეპკა
მსაჯი: დინი
34 742 მაყურებელი

**ბოლტონი 1:0 პორტსმუთი**

1:0 ნოლანი (25)
**ბოლტონი:** იასკალაინენი, ბენ ჰაიმი, ნგოტი, პედერსენი, ჰანტი (დიუფი 90), სპიდი (ობრაიენი 10), ნოლანი, ოკოჩა (იანაკოპულოსი 75), დევისი, ნაკატა, გარდნერი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
**პორტსმუთი:** ეშდაუნი, ობრაიენი, პრისკე, სტეფანოვიჩი, ვინალი, ჰიუზი, რობერი, ტეილორი (კარადაში 66), ონილი (სონგოო 73), სილვა (ტოდოროვი 85), დიაო
მწვრთნელი: ალან პერინი
გაფრთხილება: ბენ ჰაიმი, იანაკოპულოსი, სტეფანოვიჩი, პრისკე
მსაჯი: პლატენბურგი
23 134 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:2 ჩარლტონი**

0:1, 0:2 დ. მერფი (9პ, 31), 1:2 დევისი (51)
**ვესტ ბრომვიჩი:** კირკლანდი, დევისი, კლემენტი, უოტსონი, რობინსონი, გერა, უოლვორკი, ჯონსონი (კამარა 46), გრინინგი, კემპბელი (ჰორსფილდი 69), ერნშოუ (ელინგტონი 69)
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
**ჩარლტონი:** ანდერსენი, ჰრეიდარსონი, იანგი, პაუელი (სპექტორი 83), პერი, სმერტინი, რომედალი (ბოტროიდი 62), დ. მერფი (ჰიუზი 83), კიშიშევი, ტომასი, დ. ბენტი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: კიშიშევი
მსაჯი: ფოი
23 909 მაყურებელი

**ნიუკასლი 1:0 სიტი**

1:0 ოუენი (18)
**ნიუკასლი:** გივენი, კარი, ბუმსონგი, ბაბაიარო, ბრამბლი, კლარკი, პარკერი, ბოიერი (ფეიე 70), ნზოგბია, შირერი (ამეობი 76), ოუენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
**სიტი:** ჯეიმსი, დისტინი, დანი, ონუოჰა, ტეტჩერი, ბარტონი, ჯაჰაი, რეინა, მუსამპა (ირლანდი 60), სიბერსკი (კროფტი 76), ვასელი
მწვრთნელი: დანი, ბარტონი
მსაჯი: პოლი
52 280 მაყურებელი

**ევერტონი 0:1 უიგანი**

0:1 ფრენსისი (47)
**ევერტონი:** მარტინი, იობი, ვეირი, ნუნო ვალენტე, კილბეინი (მ. ბენტი 58), ფ. ნევილი, ოსმანი, დევისი (ფერგიუსონი 69), არტეტა, ჩეჰილი, მაკფადენი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
**უიგანი:** ფილანი, დე ზეუვი, ჩიმბონდა, ბაინესი, ანშო, ბულარდი, ფრენსისი, კავანაგი, მაკკოლუჩი, რობერტსი, კამარა (კონოლი 85)
მწვრთნელი: პოლ ჯიუელი
გაფრთხილება: დე ზეუვი, დევისი, ფერგიუსონი
მსაჯი: სტაილსი
37 189 მაყურებელი

**მიდლსბრო 0:2 სანდერლენდი**

0:1 მილერი (2), 0:2 არკა (60)
**მიდლსბრო:** ჯონსი, შავიერი, საუთგეიტი, ეჰიოგუ (მაკარონე 37), პოგატეცი, მორისონი (პარლოორი 64), როჩემბაკი, კედრუ, ბოატენგი, იაკუბუ (ჰასელბაინკი 64), ვიდუკა
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
**სანდერლენდი:** დევისი, ბრინი, ნოსუორთი, კოლდველი, ჰოიტი, ელიოტი (ლე ტალეკი 84), ვაითჰედი (ლოურენსი 90), ბასილა, არკა, მილერი, გრეი
მწვრთნელი: მიკ მაკარტი
გაფრთხილება: მაკარონე, კედრუ, საუთგეიტი, ჰოიტი, ვაითჰედი
მსაჯი: ვები
29 583 მაყურებელი




მანჩესტერი — ბლექბერნი 1:2. მატჩის გმირი მორტენ გამსტ პედერსენი (მარცხნივ) და ზურაბ ხიზანიშვილი წარმატებას ზეიმობენ

AFP მანჩესტერიდან

**გაზეთ** „სანის" მიერ დაწესებულმა 10 ათას გირვანქიანმა პრიზმა, „ჩელსის" კარში პირველი გოლის გამტანს რომ უნდა რგებოდა, ზუსტად ერთი დღეს გაძლო: „ასტონ ვილას" ახალბედა, ლუკ მური სამ მცველში დატრიალდა და ბურთი შორეულ კუთხეში გაგზავნა. მეკარე ჩეხმა დარტყმული ვერ შეაჩერა.

„ვილა" პირველი ტაიმის ბოლო წუთამდე იგებდა, მერე კი ფრენკ ლამპარდმა საჯარიმო დაარტყა. ხუან პაბლო ანხელი კედლის კიდიდან გაიწია და ფრენკიც სწორედ იქ გააძვრინა ბურთი.

მეორე ტაიმში „ჩელსიმ" მეტოქის მოგუდვა დაიწყო. ეს ამბავი კი პენალტით გამოიხატა: ოლაფ მელბერგმა ბურთს ფეხი მოუქნია, დიდიე დროგბა კი დასცა. პენალტიც იმავე ლამპარდმა დაარტყა და „ჩელსიმ" კვლავ მოიგო.

„მე თუ მკითხავთ, ასეთი საბრძოლო ანგარიში უკეთესია, ვიდრე 8-0," — შენიშნა ჟოზე მაურინიუმ.

„ჩელსის" შეფის, პიტერ კინიონის ნათქვამი, წლევანდელი პრემიერლიგა ერთი ცხენის დოღიაო, თანდათან იკრებს ძალას. სხვაობა ლიდერსა და „მანჩესტერს" შორის უკვე 10 ქულა შეიქნა. სერ ალექსის გუნდმა „ბლექბერნ როვერსთან" წააგო. თამაში ისე იყო, რომ მორტენ გამსტ პედერსენის დუბლის შუა რუდ ვან ნისტელროიმ ერთი გაიტანა და ამ გოლის შემდეგ ყველას ეგონა, რომ „მანჩესტერი" მოიგებდა. თუმცა, პოლ სქოულზის შეცდომის წყალობით ბურთი მაიკლ გრეის მიუვიდა და იმანაც პედერსენს გადააწოდა. პირველი კი სკანდინაველმა საჯარიმო დარტყმით შეაგდო. „ბლექბერნმა" 43 წელიწადში პირველად მოიგო „ოლდ ტრეფორდზე".

„ჩვენს დაცვაში სუსტი წერტილებია და ამას უნდა ვუმკურნალოთ, — თქვა ფერგიმ — თუმცა ამიტომ არ ვღელავ. მე „ჩელსისთან" სხაობაზე უფრო ვშფოთავ".

დიახაც, საშფოთია. „ჩელსის" იმდენი ქულა აქვს, რამდენიც „მანჩესტერსა" და „არსენალს" ერთად. მეთოფეებმა კვლავ ვერ მოიგეს, უგოლო ქულა წამოიღეს „აპტონ პარკიდან". სამაგიეროდ, მოიგო „ჩარლტონმა", რომელიც ყველაზე ახლოა „ჩელსისთან". დენი მერფის ორ ადრიან გოლს „ვესტ ბრომვიჩმა" ფრე ვეღარ მოუხერხა.

მაგარი თამაში გახურდა ბირმინგემში, სადაც ყველაფერი ბოლო 20 წუთში მოხდა: ლივერპულელმა ლუის გარსიამ „სიტის" გაუტანა (ეს იყო მერსისაიდელთა პირველი გოლი 428 წუთის განმავლობაში), მაგრამ სამიოდ წუთში სტივენ ვორნოკმა თავური ავტოგოლი ჩაიწერა: ბურთმა სტუმართა მეკარე რეინას მხართან გაუფრინა. ამან რეინას გუნება წაუხდინა და ვალტერ პანდიანიმ კიდევ 3 წუთში „სიტი" დააწინაურა.

„ლივერპული" მეტად გამწარდა: მთელი თამაში ხელში ეჭირა და ასე წაგება არ უნდოდა. შანსიც გამოჩნდა: ახალბედა ნილ კილკენიმ ხელით გამოიტანა კარიდან ჯემი კარაგერის თავური. ყრმა ირლანდიელი გააძევეს, ჯიბრილ სისემ კი პენალტით გაათანაბრა.

ამასობაში კი ილუპება „ევერტონი": შარშანდელი გმირი 19-ე ადგილზეა და შინ „უიგან ატლეტიკთანაც" წააგო. ლივერპულელთა მენეჯერმა დევიდ მოიესმა თქვა: „სამი თამაში (11 წუთი) და ისეთ გუნდებთან, რომლებთანაც უნდა მოგვეგო. ძალიან ცუდი სეზონი გვაქვს გოლები გვინდა".

„ბოლტონმა" კევინ ნოლანის ბრწყინვალე მაკრატლით დაამარცხა „პორტსმუთი". „სენტ ჯეიმს პარკზე" კი გმირად იყო მაიკლ ოუენი, რომელსაც ბარე ჰეთ ტრიკი უნდა შეესრულებინა, მაგრამ ერთ გოლს დასჯერდა, რაც ეყო გამარჯვებას და მენეჯერ გრემ სუნესის სკამის გადარჩენასაც. მსხვერპლი „მანჩესტერ სიტი" იყო და 5 მაისის შემდეგ პირველად მოხდა, რომ „ნიუკასლმა" შინ მშრალად შეინახა კარი.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 7 | 7 | 0 | 0 | 14:1 | 13 | 21 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 9 |
| 2 ჩარლტონი | 6 | 5 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 15 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 12 |
| 3 ბოლტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 8:4 | 4 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:1 | 2 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 |
| 4 ვესტ ჰემი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 6 | 11 | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 5 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 5 მანჩესტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 4 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 4 | 7 |
| 6 სიტი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 1 | 11 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 7 |
| 7 არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 5 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 9 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 1 |
| 8 უიგანი | 6 | 3 | 1 | 2 | 5:4 | 1 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 |
| 9 ტოტენჰემი | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 2 | 9 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 5 |
| 10 ნიუკასლი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | -2 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 |
| 11 მიდლსბრო | 7 | 2 | 2 | 3 | 6:9 | -3 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 |
| 12 ბლექბერნი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 8 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 13 ლივერპული | 5 | 1 | 4 | 0 | 3:2 | 1 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 |
| 14 ბირმინგემი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | -4 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 15 ასტონ ვილა | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | -5 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 1 |
| 16 ფულემი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 |
| 17 პორტსმუთი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | -4 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | -2 | 3 |
| 18 ვესტ ბრომვიჩი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | -6 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | -2 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 1:5 | -4 | 2 |
| 19 სანდერლენდი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:10 | -5 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:4 | -2 | 3 |
| 20 ევერტონი | 6 | 1 | 0 | 5 | 1:7 | -6 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | -4 | 0 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დარენ ბენტი (ჩარლტონი) | 5 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 5 |
| ჰორსფილდი (ვესტ ბრომვიჩი) | 4 |
| მარლონ ჰარვუდი (ვესტ ჰემი) | 4 |
| ფრენკ ლამპარდი (ჩელსი) | 4 |

**VIII ტური**

1-2 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ბირმინგემი |
| ასტონ ვილა | : | მიდლსბრო |
| ბლექბერნი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| ჩარლტონი | : | ტოტენჰემი |
| ფულემი | : | მანჩესტერი |
| ლივერპული | : | ჩელსი |
| სიტი | : | ევერტონი |
| პორტსმუთი | : | ნიუკასლი |
| სანდერლენდი | : | ვესტ ჰემი |
| უიგანი | : | ბოლტონი |

## ჩემპიონატი

### დეოაკოვრლოა

**ბარნლი 1:1 ბრაიტონი**
0:1 მაკშეინი (25), 1:1 ოკონორი (34პ)

**ქოვენთრი 0:2 ჰალი**
0:1, 0:2 ველში (17, 74)

**კრ. პალასი 1:1 პრესტონი**
0:1 ლაკეტი (43), 1:1 მორისონი (90)

**ლიდსი 0:2 იფსვიჩი**
0:1, 0:2 პარკინი (29, 70)

**ლესტერი 1:2 ქპრ**
0:1 ნიგაარდი (12), 1:1 ჰამონდი (73), 1:2 ფურლონგი (86)

**ქრიუ 0:0 უოტფორდი**

**მილუოლი 0:0 კარდიფი**

**ნორვიჩი 0:1 რედინგი**
0:1 ჰარპერი (61)

**შეფილდი 2:1 დერბი**
1:0 ანსუორთი (7), 2:0 იფილი (37), 2:1 პეშისოლიდი (53)

**საუთჰემპტონი 0:0 პლიმუთი**

**სტოკი 1:3 ვულვზი**
0:1 კორტი (42), 0:2 მილერი (48), 0:3 ნეილორი (73), 1:3 ბაქსტონი (90)

**ლუტონი 2:2 უენსდი**
1:0 ჰოვარდი (2), 1:1 ლი (14), 1:2 გრაჰამი (64), 2:2 ჰოვარდი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 10 | 9 | 0 | 1 | 22:10 | 27 |
| რედინგი | 10 | 7 | 2 | 1 | 19:6 | 23 |
| უოტფორდი | 10 | 5 | 3 | 2 | 19:12 | 18 |
| ლუთონი | 10 | 5 | 3 | 2 | 14:10 | 18 |
| ვულვზი | 10 | 4 | 4 | 2 | 13:10 | 16 |
| სტოკი | 10 | 5 | 1 | 4 | 11:14 | 16 |
| საუთჰემპტონი | 10 | 3 | 6 | 1 | 12:9 | 15 |
| ქუინზ პარკი | 10 | 4 | 3 | 3 | 9:11 | 15 |
| ლიდსი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:9 | 14 |
| იფსვიჩი | 10 | 4 | 2 | 4 | 10:13 | 14 |
| პრესტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:10 | 13 |
| დერბი | 10 | 2 | 6 | 2 | 14:13 | 12 |
| ჰალი | 10 | 3 | 3 | 4 | 7:7 | 12 |
| კარდიფი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | 12 |
| კრ. პალასი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:10 | 11 |
| ლესტერი | 10 | 2 | 4 | 4 | 11:14 | 10 |
| ბრაიტონი | 10 | 1 | 6 | 3 | 11:14 | 9 |
| ნორვიჩი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:11 | 9 |
| ქოვენთრი | 10 | 1 | 6 | 3 | 10:14 | 9 |
| ქრიუ | 10 | 1 | 6 | 3 | 10:14 | 9 |
| პლიმუთი | 10 | 2 | 3 | 5 | 7:13 | 9 |
| მილუოლი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:16 | 8 |
| ბარნლი | 10 | 1 | 4 | 5 | 14:16 | 7 |
| უენსდი | 9 | 1 | 4 | 4 | 6:10 | 7 |

## პირველი ლიგა

### X ტური

ბარნსლი — დონკასტერი 0:2; ბლეკპული — დონსი 3:2; ბრენტფორდი — ბრისტოლი 2:3; ჩესტერფილდი — ჰარტლპული 3:1; კოლჩესტერი — ჰადერსფილდი 1:1; ოლდემი — ბორნმუთი 1:0; როტერჰემი — საუთენდი 2:4; სკანთორპი — უოლსოლი 1:3; სუონსი — ნოტინგემი 1:1; სუინდონი — ბრედფორდი 2:3; ტრანმერი — ჯილინგემი 2:2; იოვილი — პორტ ვეილი 1:0

## მეორე ლიგა

### X ტური

ბარნეტი — როჩდეილი 1:1; ბოსტონი — გრიმსბი 1:1; როვერსი — დარლინგტონი 1:0; კარლაილი — ლეიტონი 2:3; მენსფილდი — უიკომბი 2:3; ნორთჰემპტონი — ჩელტენემი 1:2; ნოტსი — რაშდენი 0:0; ოქსფორდი — ბერი 2:1; პიტერბრო — შრიუსბერი 0:2; სტოკპორტი — ჩესტერი 0:0; ტორკი — ლინკოლნი 2:1; რექსემი — მაკლსფილდი 1:1

## იტალია

# ბერეტამ ცეცხლი ამაოდ გახსნა



პარამ — იუვენტუსი 1:2. პატრიკ ვიეირამ ზედიზედ მეორე თამაშში გაიტანა

AFP ფოტო

### სერია A. V ტური

**პარმა 1:2 იუვენტუსი**

1:0 დელვეკიო (13), 1:1 კამორანეზი (44), 1:2 ვიეირა (82)

პარმა: ლუპატელი, კარდონე (კოუტო 47), ბონერა, პასკუალე, კონტინი, გრელა, ბრეშიანო (პ. კანავარო 76), სიმპლიციო, დელვეკიო (პისანო 59), მორფეო, კორადი

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

იუვენტუსი: აბიატი, ტურამი, პესოტო, ძამბროტა, ფ. კანავარო, კამორანეზი, ვიეირა ჯანიკედა (ემერსონი 46), მუტუ (ნედვედი 69), ტრეზეგე, ზალაიეტა (იბრაჰიმოვიჩი 56)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: კამორანეზი, ძამბროტა, ბონერა, პასკუალე, გრელა, ემერსონი

მსაჯი: პიერი

23 116 მაყურებელი

**რეჯინა 2:0 უდინეზე**

1:0 კოცა (43), 2:0 კავალი (77)

რეჯინა: პელიცოლი (პავარინი 86), ლანცარო, ფრანჩესკინი, დე როსა კანარსა (კანობიო 56), პარედესი, მესტო, ტედესკო, მოდესტო, ვიჯანი, კოცა (კავალი 68)

მწვრთნელი: ვალტერ მატარი

უდინეზე: დე სანქტისი, ნატალი, ბერტოტო, ფელიპე, დ. ძენონი, მაური, როსინი, მუნტარი (ობოდო 65), ვიდიგალი (ტირონე 78), ბარეტო (კანდელა 46), დი მიკელე

მწვრთნელი: სერსე კოზმი

გაფრთხილება: ნატალი, კოცა, დე როსა, ობოდო, ვიდიგალი, კანობიო, დ. ფრანჩესკინი

გაძევება: როსინი (90)

მსაჯი: გაბრიელე

14 000 მაყურებელი

**ტრევიზო 0:2 მილანი**

0:1 შევჩენკო (44პ), 0:2 ჯილარდინო (73)

ტრევიზო: ძანკოპე, ვიალი, ლორენცი, გალეოტო, კოტაფავა, ჯულიატო, ე. ფილიპინი (მუნტასერი 85), გალო, ა. ფილიპინი (პარავიჩინი 75), რეგინალდო (პინგა 67), ფავა

მწვრთნელი: ეციო როსი

მილანი: დიდა, ნესტა, მალდინი, სტამი (კაფუ 53), სერჯინიო, გატუზო, პირლო, ზეედორფი (კალაძე 71), კაკა, შევჩენკო (რუი კოშტა 75), ჯილარდინო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ფავა, გალეოტო

მსაჯი: პალანცა

25 000 მაყურებელი

**სიენა 4:2 მესინა**

1:0 ლოკატელი (10), 1:1 კპოლო (12), 2:1, 3:1 კიეზა (28, 41), 4:1 ლოკატელი (46), 4:2 დი ნაპოლი (67)

სიენა: მირანტე, ლეგროტალიე, პორტანოვა, ტუდორი, ალბერტო (კოლონეზე 89), დაიერსა, ვერგასოლა, ფალსინი, ლოკატელი (ვოლპატო 74), ბოგდანი, კიეზა (ნეგრო 55)

მწვრთნელი: ლუიჯი სიმონე

მესინა: სტორარი, რეზაი, ზორო (კრისტანტე 66), არონიკა, ფუსკო, მამედე, კოპოლა, დონატი (რაფაელი 53), ილიევი, მუსლიმოვიჩი (იანაგისავა 52), დი ნაპოლი

მწვრთნელი: ბორტოლო მუტი

გაფრთხილება: ფუსკო, ტუდორი, კოპოლა

მსაჯი: დე მარკო

6 892 მაყურებელი

**სამპდორია 1:2 კიევო**

0:1 დ. ფრანჩესკინი (36), 1:1 ფლაკი (50), 1:2 ობინა (60)

სამპდორია: ანტონიოლი, პავანი, ძენონი, კასტელინი, პისანო, დიანა (გასბარონი 67), ვოლპი, პალომბო, ტონეტო (ძაული 45), ფლაკი, ბონაცოლი (ბორიელო 73)

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

კიევო: ფონტანა, მორო, სკურტო (მალაგო 81), მანდელი, ლანა, ლუსიანო (სემიოლი 70), ჯუნტი, სამარკო, დ. ფრანჩესკინი, ამაური, ობინა (პელისიერი 70)

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

გაფრთხილება: დ. ფრანჩესკინი, ობინა, პავანი, პისანო

მსაჯი: კასარა

23 000 მაყურებელი

**ლივორნო 2:0 ასკოლი**

1:0 პალადინო (51), 2:0 კ. ლუკარელი (78პ)

ლივორნო: ამელია, ვარგასი, გრანდონი (მელარა 68), გალანტე, ბალერი (სეზარი 71), დე აშენტისი, რუტოლო, კოკო, ლაზეტიჩი (კოლუჩი 52), კ. ლუკარელი, პალადინო

მწვრთნელი: რობერტო დონადონი

ასკოლი: კომოლა, კუდინი, კარბონე, დომიცი, ტოსტო, ფოჯა (ფერანტე 66), გუანა (კორდოვა 75), პაროვა, ფინი, ბიელანოვიჩი (პაჩი 29), კალიარელა

მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო

გაძევება: კუდინი (27)

მსაჯი: ბრიგი

15 000 მაყურებელი

**ლაციო 4:2 პალერმო**

0:1 კარაჩოლო (36), 0:2 გონსალესი (49), 1:2 როკი (58), 2:2 პანდევი (60), 3:2 მანფრედინი (65), 4:2 როკი (86)

ლაციო: პერუცი, სტენდარდო, სივილია, ოდო, ძაური, ბეხრამი (ბელერი 90), ფირმანი, ლივერანი (დაბო 73), მანფრედინი, როკი, პანდევი (ს. ინძაგი 79)

მწვრთნელი: დელიო როსი

პალერმო: სანტონი, ბარძალი, ძაკარდო (მუტარელი 84), ტერლიცი, გროსო, სანტანა (ბრიენცა 70), კორინი, ბარონე, ბონანი (გონსალესი 46), მაკინვა, კარაჩოლო

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

გაფრთხილება: გროსო, პანდევი, ბარძალი, ბელერი

მსაჯი: საკანი

20 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:0 ლეჩე**

1:0 პოცი (65)

ემპოლი: ბერტი, კოდა, პრატალი, ლუჩინი, ბონეტო, ბუსკე, ალმირონი, ფიჩინი, ვანუჩი (მორო 46), რიგანო, ტავანო (პოცი 46; სერაფინი 71)

მწვრთნელი: მარიო სომა

ლეჩე: სიჩინიანო, დიამუტენი, კასეტი, სტოვინი, პოლენგი, ლედესმა, კამორანი (ჯორჯინო 58), მარიანინი, ერემენკო (პელე 67), პინარდი (ვალდესი 45), კონანი

მწვრთნელი: ანჯელო გრეგუჩი

გაფრთხილება: პინარდი, ფრატალი, ვალდესი, კამორანი, კონანი

მსაჯი: პანტანა

12 000 მაყურებელი

**კალიარი 0:0 რომა**

კალიარი: კარინი, ბეგა, ლოპესი, კანინი, აგოსტინი, კონტი (ფერარეზე 90), ბუდელი, გობი, ესპოზიტო, სუაზო (კონტიკიო 76), ლანჯელა (კაპონე 60)

მწვრთნელი: დანიელე არიგონი

რომა: კურჩი, კუფური, პანუჩი, კივუ, ბოვო, პეროტა (ხარია 88), დე როსი, აკილანი (ალვარესი 59), ტადეი (დაკური 74), ტოტი, ნონდა

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: პანუჩი, გობი, ბოვო, ბეგა

მსაჯი: დატილო

12 550 მაყურებელი

**ინტერი 1:0 ფიორენტინა**

1:0 მარტინსი (7)

ინტერი: სეზარი, მატერაცი, სამუელი, კორდობა, ფავალი, ფიგუ, ვერონი, კამბიასო, სტანკოვიჩი, ადრიანო, მარტინსი (კრუზი 89)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

ფიორენტინა: ფრეი, დი ლორეტო, უი ფალუში, გამბერინი, იორგენსენი, პანკარო (პასკუალი 46), დონადელი, ბროკი, ფიორე (მონტოლივო 69), ტონი, ბოჟინოვი (პაცინი 60)

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

გაფრთხილება: ვერონი, იორგენსენი, გამბერინი, მატერაცი, დონადელი

მსაჯი: ფარინა

58 000 მაყურებელი

**ესეც** ხუთიდან ხუთი — „იუვენტუსმა" მაურო კამორანეზისა და პატრიკ ვიეირას გოლებით პარმაში 0:1 ჩამორჩენა შემოატრიალა და სერია A-ს ცხრილში ლიდერობს.

ამ მატჩს ბევრი ტურის უმთავრეს შეხვედრად მიიჩნევდა. მიზეზი: ერთი მხრივ „იუვეს" ხუთიდან ხუთი მოგების წადილი და მეორე მხრივ „პარმას" ფინანსური გაძლიერება. მოგეხსენებათ, იტალიური კლუბი „რეალის" ყოფილმა მეპატრონემ, ლორენსო სანსმა იყიდა და პარმელებს ბუნებრივად გაუჩნდათ ამბიცია.

ფაბიო კაპელომ პარმაში „პარმას" ყოფილი გმირები ლილიან ტურამი, ადრიან მუტუ და ფაბიო კანავარო ათამაშა, ხოლო ზლატან იბრაჰიმოვიჩმა, ემერსონმა და ალესანდრო დელ პიერომ დაისვენეს. არ შედგა ძმები კანავაროების დუელი — მასპინძლებმა იუვენტუსელი ფაბიოს უმცროსი ძმა პაოლო სათადარიგოთა სკამზე დასვეს.

„მარიო ბერეტას გუნდმა პირველ ტაიმში არანორმალური ტემპი შემოგვთავაზა. ამის შემყურემ შესვენებისას ბიჭებს ვუთხარი საეჭვოა მათ ასე თამაში ბოლომდე შეძლონ, მეთქი. ჩვენ კი ყველაზე მეტად შეცვლები დაგვეხმარა. ჯერ ერთი დასვენებული მოთამაშეები ჩაერთნენ საქმეში და მეორეც, ეს მოთამაშეები ძალიან მაღალი კლასისანი იყვნენ. ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ შემადგენლობის ტრიალი აუცილებელია. ყველამ უნდა დაისვენოს რიგ-რიგობით"

მართლაც, „ბებერ ქალბატონს" მუხტი ვიეირას საგოლე ასისტენტის, ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ემერსონის მოედანზე შესვლამ შესძინა. შავ-ლურჯებმა თითქოს დამატებითი განზომილება შეიძინეს.

კაპელომ განაგრძო: „თავის მხრივ „პარმამაც" საუცხოო ფეხბურთი ითამაშა. ჩვენ კი თავიდან უფრო ნელა ვირჯებოდით"

ტრევიზოში, „მილანის" შემადგენლობაში, კახა კალაძემ კლარენს ზეედორფი 71-ე წუთზე შეცვალა, ხოლო ანდრეი შევჩენკომ შავ-წითელი მაისურით თავისი 150-ე გოლი გაიტანა. კიდევ [illegible] გოლი „პარმადან" წლეულს შეძენილმა ალბერტო ჯილარდინომ შეაგდო. იტალიელმა [illegible] კალაძის დასვენება, ისევე, როგორც კრისტიან ვიერისა და კაფუს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში „შალკესთან" შეხვედრის წინ ამ მოთამაშეთა ძალების დაზოგვად მიიჩნიეს. და კიდევ, პაოლო მალდინიმ დინო ძოფის სრულიად იტალიური რეკორდი მოხსნა, ამიერიდან სერია A-ს საუკეთესო შედეგი 571 მატჩია.

ვისაც „რომას" ამბები აინტერესებს, ჯალოროსი გუნდის მაინცა და მაინც კარგი თამაშით გულს ვერ გავუხარებთ. რომაელებს კალიარიში, „სტადიო სანტელიაზე" ჰონდათ მატჩი და მიუხედავად იმისა, რომ ბურთი თითოჯერ ძელს ორივე გუნდმა მიუჭახუნა, არც ერთი ექნა ამ დღეს გამჩენს და არც მეორე. გარდა თითო ძელ-მიგძიგისა მხარეებს საერთო ტაქტიკური სქემა, დღევანდელ იტალიაში მოდური 4-3-3 ჰქონდათ.

იყოჩაღა „ლაციომ", რომელიც შინ „პალერმოსთან" 0:2-ს აგებდა და 4:2 მოიგო.

**ბაკუნა ძიძია**

### სერია B

**VI ტური**

**ატალანტა 2:0 ტერნანა**

1:0 ლაცარი (53), 2:0 დეფენდი (76)

**ჩეზენა 3:2 აველინო**

0:1 მორეტი (22), 1:1 პიკოლი (25), 2:1 სალვეტი (43), 2:2 მარსელო (58), 3:2 ფატორი (71)

**არეცო 1:1 კრემონეზე**

0:1 მანუჩი (36), 1:1 ფლორესი (82)

**მანტოვა 3:1 რიმინი**

0:1 კარკლონე (18), 1:1 მასკარდელი (45ს.კ.), 2:1 პოჯი (61პ), 3:1 გრაციანი (90)

**კროტონე 3:1 კატანია**

0:1 სოტილი (35), 1:1 ჯედა (50), 2:1 ტარანტინო (72), 3:1 ფერარი (90)

**ტორინო 2:0 ვიჩენცა**

1:0 მუცი (45), 2:0 სტელონე (90)

**მოდენა 2:0 პესკარა**

1:0, 2:0 კ. ბუჩი (52, 58)

**ტრიესტინა 2:0 კატანძარო**

1:0 ბაუ (76), 2:0 გოდეასი (90)

**ვერონა 0:0 ბრეშა**

*ბარი — ბოლონია*

*პიაჩენცა — ალბინოლეფე*

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 6 | 5 | 1 | 0 | 11:4 | 16 |
| ატალანტა | 6 | 5 | 0 | 1 | 11:7 | 15 |
| მოდენა | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| კატანია | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| კროტონე | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 10 |
| ბრეშა | 6 | 2 | 3 | 1 | 8:5 | 9 |
| არეცო | 6 | 2 | 3 | 1 | 6:3 | 9 |
| ვერონა | 6 | 2 | 3 | 1 | 5:3 | 9 |
| ტრიესტინა | 6 | 2 | 3 | 1 | 4:2 | 9 |
| ბოლონია | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ტორინო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ვიჩენცა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| ჩეზენა | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 6 |
| რიმინი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 |
| კრემონეზე | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| ბარი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| პესკარა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:8 | 4 |
| პიაჩენცა | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| კატანძარო | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |
| ტერნანა | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | 4 |
| ალბინოლეფე | 5 | 0 | 3 | 2 | 3:5 | 3 |
| აველინო | 6 | 0 | 2 | 4 | 5:12 | 2 |

### სერია C1/A

**V ტური**

ჩიტადელა — პადოვა 1:1; ნოვარა — ჯენოა 1:1; პავია — ლუმეცანე 0:2; პიციგეტონე — ფერმანა 0:0; პრო სესტო — პრო პატრია 1:0; სალერნიტანა — მონცა 1:1; სამბენედეტეზე — სან მარინო 1:0; ტერამო — რავენა 2:1; *სპეცია — ჯულიანოვა დღეს გაიმართება*

### სერია C1/B

**V ტური**

ფოჯა — პიზა 2:0; ფროზინონე — მანფრედონია 1:0; სტაბია — ძირეალე 0:1; ლატინა — პერუჯა 1:1; ლუკეზე — ტორესი 2:1; მარტინა — გროსეტო 2:2; მასეზე — კროტი 1:0; პისტოიეზე — ნაპოლი 1:1; სანჯოვანეზე — ჯელა 5:3

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 5 | 5 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 15 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 |
| 2 ინტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 7 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 7 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 |
| 3 ლივორნო | 5 | 3 | 2 | 0 | 5:1 | 4 | 11 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 4 მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 |
| 5 ფიორენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 11:7 | 4 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:3 | 3 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 1 | 4 |
| 6 ლაციო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 5 | 9 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 7 პალერმო | 5 | 3 | 1 | 1 | 9:8 | 1 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 |
| 8 სამპდორია | 5 | 3 | 0 | 2 | 9:7 | 2 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 3 |
| 9 კიევო | 5 | 3 | 0 | 2 | 6:4 | 2 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 |
| 10 რომა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:2 | 5 | 8 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:0 | 3 | 5 |
| 11 სიენა | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 0 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 12 უდინეზე | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 13 ემპოლი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | -3 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | -2 | 0 |
| 14 პარმა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 15 მესინა | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | -3 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 1 |
| 16 კალიარი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:7 | -3 | 3 | 3 | 0 | 3 | 0 | 2:2 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 17 ასკოლი | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 18 რეჯინა | 5 | 1 | 0 | 4 | 5:10 | -5 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 |
| 19 ლეჩე | 5 | 0 | 1 | 4 | 2:9 | -7 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |
| 20 ტრევიზო | 5 | 0 | 0 | 5 | 1:11 | -10 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | -5 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 5 |
| შევჩენკო (მილანი) | 4 |
| ბონაცოლი (სამპდორია) | 4 |
| ტერლიცი (პალერმო) | 4 |
| კიეზა (სიენა) | 4 |

### VI ტური

1-2 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ასკოლი | : | პარმა |
| კიევო | : | ტრევიზო |
| ფიორენტინა | : | ლივორნო |
| იუვენტუსი | : | ინტერი |
| ლეჩე | : | კალიარი |
| მესინა | : | სამპდორია |
| მილანი | : | რეჯინა |
| პალერმო | : | ემპოლი |
| რომა | : | სიენა |
| უდინეზე | : | ლაციო |

## ესპანეთი

### პრემიერდივიზიონი. V ტური

#### ბეტისი 1:4 ბარსელონა

0:1 ვან ბომელი (19), 1:1 ხუანიტო (37), 1:2, 1:3 ეტოო (57, 76), 1:4 ესკერო (87)
მე-10 წუთზე ეტოომ ვერ გაიტანა პენალტი
ბეტისი: დობლასი, ხუანიტო, რივასი (ისრაელი 71), ო. ლოპესი, ვარელა, რივერა, ფერნანდო (ხისკო 68), ასუნსაო, ხოაკინი, მ. ანხელი, ოლივეირა
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, ბელეტი, ედმილსონი (ინიესტა 46), სილვინიო, ოლეგერი, ხავი, ვან ბომელი, ჟიული (ესკერო 68), ლარსონი (მაქსი 75), ეტოო
მწვრთნელი: ფრანკ რაიკაარდი
გაფრთხილება: რივასი, ოლივეირა, ოლივეირა, ბელეტი, ო. ლოპესი, ვალდესი, რივერა
გაძევება: ოლივეირა (21)
მსაჯი: პერეს ლასა
52 000 მაყურებელი

#### ატლეტიკო 0:1 ხეტაფე

0:1 პერნია (71)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ველასკო, პაბლო, ა. ლოპესი, კალვო, ლუჩინი, გაბი (გალეტი 63), მაქსი, პეტროვი, კელმანი, ფ. ტორესი
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
ხეტაფე: ლუისი, პულიდო, ბელენგერი, პერნია, დ. რივასი, ანიბალი, მ. კოტელო, სელესტინი, გავილანი (კუბილიო 89), რიკი (რედონდო 87), გუიზა (პაუნოვიჩი 86)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: მაქსი, ა. ლოპესი, რიკი, გავილანი, დ. რივასი, კალვო, რედონდო
გაძევება: მ. კოტელო (60)
მსაჯი: პერეს ბურული
45 000 მაყურებელი

#### ვალენსია 2:1 სოსიედადი

1:0 აიმარი (33), 2:0 ვილა (47), 2:1 ნიჰატი (61)
ვალენსია: კანისარესი, მარჩენა (რეგეირო 62), აიალა (კანეირა 28), მიგელი, მორეტი, ალბელდა, ბარახა, რუფეტე ვისენტე, აიმარი, ვილა (დი ვაიო 76)
მწვრთნელი: კიკე ფლორესი
სოსიედადი: რიესგო, ლაბაკა, კიფუ (აიტორი 30), ა. ნოვო, არანბური, მ. ალონსო, პრიეტო, მიკელი (გარიურანგა 84), გარიდო (გაბილონდო 30), ნიჰათი, კოვაჩევიჩი
მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ
გაფრთხილება: რუფეტე, ალბელდა, მიკელი,
მსაჯი: რუბინოს პერესი
44 000 მაყურებელი

#### ესპანიოლი 1:2 ვილიარეალი

0:1 ხოსიკო (43), 1:1 ლუის გარსია (59), 1:2 სენა (65)
ესპანიოლი: კამენი, დომი (ზაბალეტა 46), დ. გარსია, მორიესი, ხარკე, სა (როერა 59), ე. კოსტა, კორო, იტო (ხუანფრანი 71). დე ლა პენია, ლუის გარსია
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ვილიარეალი: ვიერა, არუაბარენა, სორინი (ტაკინარდი 68), ხავი ვენტა, ალავარესი, პენია, ხოსიკო, სენა (როხერი 87), რიკელმე, ხოსე მარი (ვალენსია 73), ფორლანი
მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი
გაფრთხილება: პენია, დ. გარსია
მსაჯი: პინო სამორანო
26 000 მაყურებელი

#### სარაგოსა 1:1 დეპორტივო

1:0 დ. მილიტო (13), 1:1 ტრისტანი (44)
სარაგოსა: სეზარი, ტოლედო, ალვარო, გ. მილიტო, მოვილია (სელადესი 70), პონციო, ოსკარი, საპატერი (ხენერლო 80), ევერტონი (კანი 59), სავიოო, დ. მილიტო
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
დეპორტივო: მოლინა, ანდრადე, კოლოჩინი, კაპდევილა, ექტორი, დუშერი, სერხიო, დე გუზმანი (სკალონი 65), მუნიტისი, ვალერონი (რუბენი 79), ტრისტანი (ტაბორდა 73)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: კოლოჩინი, ტოლედო, მოვილია
მსაჯი: მუნიოს ფერნანდესი
32 000 მაყურებელი

#### ალავესი 0:3 რეალი

0:1, 0:2 რონალდო (59, 82), 0:3 გუტი (89)
ალავესი: კოსტანცო, ხუანიტო, პელეგრინო, კარერასი, დე ლუკასი (მენა 74), კარპინტერო (არტურო 79), ედუ ალონსო, ასტუდილიო, ბოდიპო, ნენე, ალოიზი (რ. ნავარო 64)
მწვრთნელი: კუკი კოსი
რეალი: კასილიასი, რ. კარლოსი, მ. სალგადო, ს. რამოსი, ელგერა, ბაპტისტა (გრავესენი 79), პ. გარსია, გუტი, ბექემი (დიოგო 85), რაული (რობინიო 73), რონალდო
მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო
გაფრთხილება: კარპინტერო, პ. გარსია, რ. კარლოსი, ბექემი
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
19 000 მაყურებელი

#### მალიორკა 1:4 მალაგა

0:1 სალვა (28), 0:2, 0:3 დუდა (30, 56), 0:4 ედგარი (58), 1:4 იაგე (77)
მალიორკა: პრატსი, მასიელი, ფ. ნავარო, ბალესტეროსი (ტუნი 79), პოტენცა, კამპანო, იორდი (იაგე 75), ფარინოსი (ბორხა 57), პერალტა, არანგო, ოკუბო
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
მალაგა: არნაუ, ხერარდო, ვალკარსე, ჯ. ნავასი, დურანი, ნაჩო, ხ. როდრიგესი, ედგარი, დუდა (მ. სანჩესი 87), ჩ. მორალესი (იდალგო 67), სალვა (კუნაგო 89)
მწვრთნელი: ანტონიო ტაპია
გაფრთხილება: დუდა
მსაჯი: ველასკო კარვალიო
10 000 მაყურებელი

#### ოსასუნა 2:0 კადისი

1:0 დ. ლოპესი (26), 2:0 მოა (84)
ფლერკინმა ვერ გაიტანა პენალტი (50)
ოსასუნა: რიკარდო, მ. ფლანო, კლავერო, კუელვარი, ხ. ფლანო, რ. გარსია (პუნიალი 71), დ. ლოპესი, მ. სოსა, დელპორტე (მოა 69), მილოშევიჩი, რომეო (ვებო 59)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
კადისი: არმანდო, დე კინტანა, რ. ლოპესი (ესტოიანოფი 69), პასი, ვარელა, რ. სუარესი, მ. პავონი (ბესარესი 46), ფლერკინი, ენრიკე, ოლი (მედინა 61), ხონათანი
მწვრთნელი: ვიქტორ ესპარაგო
გაფრთხილება: რომეო, დელპორტე, რიკარდო, მ. სოსა, ფლერკინი, ბესარესი
მსაჯი: აისა გამესი
14 000 მაყურებელი

#### ბილბაო 0:0 რასინგი

ბილბაო: არანსუბია, კასასი, ლაკრუსი, ესპოზიტო (ირაოლა 61), პრიეტო, ორბაისი, ტიკო (გერერო 80), იესტე, გურპეგი, ეჩებერია, ლორენტე
მწვრთნელი: ხოსე ლუის მენდილიბარი
რასინგი: აუატე, აიოსე, პინილიოსი, მორატონი, ს. დალმა (სერანო 45), კასკერო, მატაბუენა, სამუელი, აგანსო (ვიტოლო 73), ვალე (ანტონიტო 59), რაული
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: კასასი, აიოსე, ესპოზიტო, ვალე, აგანსო, ორბაისი, სერანო, პინილიოსი, ვიტოლო
მსაჯი: ლისონდო კორტესი
38 000 მაყურებელი

#### სელტა 2:1 სევილია

1:0 ბაიანო (1), 2:0 ოუბინა (15), 2:1 მარესკა (53პ)
ლუის ფაბიანომ ვერ გაიტანა პენალტი (40)
სელტა: პინტო, პლასენტე, ანხელი, კონტრერასი, სერხიო, ოუბინა, ნუნიესი (დე რიდერი 78), სილვა (ლეკუ 83), ხორხე (გ. ლოპესი 59), ირინეი, ბაიანო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
სევილია: პალოპი, დავიდი, ხ. ნავარო, დ. ალვესი, რენატო (სავიოლა 46), ხ. ნავასი, ადრიანო (კანუტი 46), დრაგუნოვიჩი, მარტი, მარესკა, ლუის ფაბიანო (კეპა 63)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: პლასენტე, ადრიანო, მარესკა, სერხიო, კანუტი, დ. ალვესი, დრაგუნოვიჩი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
15 000 მაყურებელი

# განა ეტოო ამას დაუშვებდა?

## ყველას კი მაინც ხეტაფე სჯობს



AFP ფოტოქრონიკიდან

ალავესი — რეალი 0:3. მადრიდელებმა სიხარულისგან ფეხები აწიეს

**ტური** იმით დაიწყო, რომ „ბარსელონამ" „ბეტისს" გადაურბინა, ოღონდ ერთია, „ბეტისს" 21-ე წუთზე საუკეთესო თავდამსხმელი, რიკარდო ოლივეირა გაუძევეს მოედნიდან. ერთი სიტყვით, მასპინძლები თამაშის უმეტესი დროის განმავლობაში უმცირესობაში იყვნენ, მეორე მხრივ კი ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ბარსას" უპირატესობას რაიმე ჩრდილი ადგა. აღსანიშნავია, რომ სამუელ ეტოომ თამაშის დასაწყისში პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ კატალონიელთა ახალწვეულმა მარკ ვან ბომელმა მალე მაინც გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ მასპინძლებმა გაათანაბრეს, მაგრამ ეტოო რის ეტოოა მოედანი გოლების გარეშე დაეტოვებინა, მითუფრო იმ დღეს, როდესაც პენალტი გაუცუდდა — „ბარსამ" 3:1 მოიგო.

„რეალმა" კი გუშინ საღამოს სტუმრად 3:0 აჯობა „ალავესს". სამიდან ორი რონალდომ შეაგდო. თავიდან ბრაზილიელმა საჯარიმოში უპატრონოდ დარჩენილი ბურთი იხელთა და მიზანში გლიჯა, ხოლო შემდეგ, თამაშის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე, დევიდ ბექემის პასს გამოეხმაურა და მადრიდელთა გამარჯვება უეჭველი გახადა. მესამე და საბოლოო ვანდერლეი ლუშემბურგოს ხელში დავიწყებულმა გუტიმ მსაჯის წამატებულ წუთებში შეაგდო.

„ვალენსიამ" შინ „რეალ სოსიედადს" 2:1 აჯობა. „მესტალიაზე" გამართულ ამ შეხვედრაში მასპინძლებმა თამაშის სადავეები იმთავითვე ხელთ იპყრეს, მაგრამ გოლის შეგდება მხოლოდ ტაიმის მიწურულს მოახერხეს. მეორეს დასაწყისში „ვალენსიამ" მეორე გაიტანა, სან სებასტიანის გუნდმა კი მხოლოდ ამის შემდეგ შეამცირა სხვაობა.

კვლავ წაუგებლები დარჩნენ „ლა რომარედაზე" დაპირისპირებულები, „სარაგოსა" და „დეპორტივო ლა კორუნია". მათ ფრედ, 1:1 ითამაშეს. ანგარიში სარაგოსაში მოთამაშე არგენტინელმა დიეგო მილიტომ შეხვედრის დასაწყისშივე გახსნა, როდესაც ჩინებულად ნაწოდებულ ბურთს უხელთა კარისკენ, „დეპორმა" კი პედრო მუნიტისის ჩაკიდებული ჯარიმითა და დიეგო ტრისტანის თავურით გაათანაბრა.

მადრიდის „ატლეტიკომ" „ხეტაფესთან" წააგო 0:1. ბრავო „ხეტაფე"! ამ გუნდმა მადრიდულ დერბიში აქტიური ფეხბურთი ითამაშა და მეტიც, მეორე ტაიმის მეტი ხანი უმცირესობაშიც კი იყო, მაგრამ მაინც გაიტანა გოლი და სამი ქულა მიითვალა. გასაგდები კი მაური კოტელო ნამდვილად იყო. იგი ბულგარელ მეტოქეს, მარტინ პეტროვს საშინლად ეუხეშა და პირდაპირ გაწითლდა.

გოლი კი მარიანო პერნიამ საუცხოო გაიტანა, საჯარიმო ისე დაარტყა, რომ ბურთმა მეტოქის ცოცხალ კედელს შემოუფრინა და „ატლეტიკოს" კარში შევიდა.

ბილბაოს „ატლეტიკომ" გუშინ „სანტანდერთან" თვალნათლივი სათამაშო უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ უპირატესობას ტაბლოზე ვერ გამოხატავდა, ვერ მიაღწია — 0:0. ქება და დიდება „სანტანდერს" რომელმაც ბოლო ხუთ თამაშში ორი გოლი გაუშვა. ბასკებმა პირველ ტაიმში ერთხელ ძელს გაარტყეს ბურთი.

**პაპუნა კედია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვილა (ვალენსია) | 5 |
| ეტოო (ბარსელონა) | 5 |
| ბაიანო (სელტა) | 4 |
| რონალდო (რეალი) | 4 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სელტა | 5 | 4 | 0 | 1 | 9:5 | 4 | 12 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 |
| 2 | ხეტაფე | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 11 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:3 | 4 | 9 |
| 3 | რეალი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 4 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 1 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 6 |
| 4 | ვალენსია | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 2 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 | 2 | 0 | 2 | 0 | 4:4 | 0 | 2 |
| 5 | დეპორტივო | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 2 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 1 | 5 |
| 6 | ოსასუნა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:5 | 1 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 9 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 7 | ბარსელონა | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 4 |
| 8 | სარაგოსა | 5 | 1 | 4 | 0 | 6:4 | 2 | 7 | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 2 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 9 | მალაგა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 |
| 10 | რასინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:2 | 0 | 7 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 |
| 11 | ესპანიოლი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:6 | -2 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 12 | სოსიედადი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:13 | -5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 2 | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 3:10 | -7 | 0 |
| 13 | ბილბაო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 14 | ვილიარეალი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 0 | 4 |
| 15 | სევილია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | -1 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 16 | კადისი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | -2 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 4 |
| 17 | ბეტისი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:6 | -3 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 18 | ატლეტიკო | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 |
| 19 | მალიორკა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 4 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | -1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 20 | ალავესი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | -5 | 2 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |

### VI ტური

1-2 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| ვილიარეალი | : | ბილბაო |
| სევილია | : | ესპანიოლი |
| კადისი | : | სელტა |
| დეპორტივო | : | ოსასუნა |
| ბარსელონა | : | სარაგოსა |
| სოსიედადი | : | ბეტისი |
| ხეტაფე | : | ვალენსია |
| მალაგა | : | ატლეტიკო |
| რეალი | : | მალიორკა |
| რასინგი | : | ალავესი |

### სეგუნდადივიზიონი

#### V ტური

**ფეროლი 2:1 ელჩე**
1:0 კობასი (55), 1:1 ნინო (70პ), 2:1 ხუანიტო (84)

**ჰერკულესი 4:0 ნუმანსია**
1:0 მოირესი (23პ), 2:0 მატეო (68), 3:0 დანი (81), 4:0 ოჩოა (89ს.კ.)

**ეიბარი 2:1 უელვა**
1:0 ასკოიტია (12), 1:1 უჩე (27), 2:1 ასკოიტია (78)

**ლეიდა 0:1 ხერესი**
0:1 რიოსი (89)

**ლევანტე 1:1 ალბასეტე**
1:0 ნდიაე (46), 1:1 ბაუსა (67)

**სპორტინგი 1:1 რეალი B**
0:1 ვალერო (82), 1:1 ბიაჯინი (85)

**ვალიადოლიდი 1:1 მალაგა B**
1:0 კაპდევილა (61), 1:1 გონსალესი (82)

**პოლი ეხიდო 0:3 მურსია**
0:1 სიერა (58), 0:2 კარერა (70), 0:3 რიკი (78)

**ტენერიფე 2:1 ალმერია**
1:0 ტონიტო (11), 1:1 კრუსატი (48), 2:1 კრისტო (67)

**ლორკა 1:0 ხიმნასტიკი**
1:0 საგა (44)

**სიუდადი 0:0 კასტელონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტენერიფე | 5 | 4 | 0 | 1 | 11:8 | 12 |
| ლევანტე | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| მურსია | 5 | 3 | 1 | 1 | 5:1 | 10 |
| სიუდად მურსია | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| ხერესი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:6 | 10 |
| სპორტინგი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:3 | 8 |
| ჰერკულესი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 8 |
| ლეიდა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:3 | 7 |
| უელვა | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ლორკა | 5 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| ალმერია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ვალიადოლიდი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | 7 |
| ნუმანსია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:10 | 7 |
| ელჩე | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| პოლი ეხიდო | 5 | 2 | 0 | 3 | 6:10 | 6 |
| ხიმნასტიკი | 5 | 2 | 0 | 3 | 4:8 | 6 |
| მალაგა B | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ფეროლი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ალბასეტე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 |
| რეალ B | 5 | 1 | 1 | 3 | 7:7 | 4 |
| ეიბარი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 4 |
| კასტელონი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:6 | 1 |

## რუსეთი

**პრემიერლიგა. XXIV ტური**

**ლოკომოტივი 0:3 ტორპედო**

0:1 პანოვი (24), 0:2 ბუდულინი (48), 0:3 ლუცენკო (90)

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ლიმა, პაშინინი (კრუგლოვი 64), სენნიკოვი, **ასათიანი**, ბილიალეტდინოვი, გურენკო (ევსეევი 57), ხოხლოვი (კანენდა 46), იზმაილოვი, რუპოლო, ლოსკოვი

მწვრთნელი: ვლადიმირ ეშტრეკოვი

**დინამო 2:1 როსტოვი**

1:0 ენკახირე (21), 2:0 დერლეი (56), 2:1 ოსინოვი (58პ)

**როსტოვი:** ჩიჩკინი, გუტეროსი, კრუშჩიჩი, კალაშნიკოვი, ოლენიკოვი, დანცევი (პერესი 58), ზვანე (ბოჩკოვი 30), გორაკი, ბუზნიკინი, **აშვეთია** (ალხაზოვი 77)

**ალანია 0:1 ანკარი**

0:1 ვოლკოვი (85)

**ალანია:** რადიჩი, აგაევი, ოკორონკვო, ჯორჯევიჩი, გრუიჩი, მასილი, ხიმენესი, გ. ბაზაევი, ჟ. ბაზაევი, **ჟივზივაძე**, პიმენოვი

**თერეკი 1:5 რუბინი**

0:1 დომინგესი (9), 1:1 ატანგანა (42), 1:2 **ქინქლაძე** (63), 1:3 ჩიჟეკი (68), 1:4 **ქინქლაძე** (73), 1:5 დომინგესი (80პ)

**რუბინი:** კოლინკო, ფედოროვი, **სალუქვაძე**, სკოტი, კალისტო, აიუპოვი, ასტაფიევსი, კონვალოვი, ჩიჟეკი, **ქინქლაძე**, დომინგესი

**ცსკა 1:0 სპარტაკი**

1:0 კარვალიო (6)

**ტომი 3:2 მოსკვა**

0:1 კუზმინი (12), 0:2 მელეშინი (51), 1:2, 2:2 შიშკინი (72პ, 74), 3:2 ლეონოვი (84)

**კრილია 1:0 სატურნი**

1:0 ბულიგა (90)

**ზენიტი 0:0 შინიკი**

# ტორპედომ ლოკომოტივს სცემა



მოსკოვის „დინამოს" ლიდერმა დერლეი სილვამ (მარჯვნივ) მორიგი გოლი შეაგდო

**„ლოკომოტივი"**, რომელსაც ჩემპიონობას ნაადრევად უწინასწარმეტყველებდნენ, შინ „ტორპედოსთან" სამბურთიანი სხვაობით დამარცხდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცსკა-მ „სპარტაკს" მოუგო და „ლოკოს" ორი ქულით მიუახლოვდა, ჩემპიონატის ბოლო საინტერესო უნდა გამოვიდეს. „ზენიტი" „შინიკთან" ფრეს დასჯერდა, მაგრამ ნევისპირელებიც ოქროსმაძიებელთა შორის არიან და მათი ჩამოწერა არ ეგების, ისევე როგორც ცსკა-სთან დამარცხებული „სპარტაკისა".

„ტორპედოსთან" მატჩში „ლოკომოტივის" შემადგენლობაში გამოჩნდა დმიტრი ლოსკოვი, რომელსაც თითქმის ნახევარი სეზონი ტრავმის გამო გაუცდა. ლოსკოვით გუნდი თითქოს უფრო უნდა მოლონიერებულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ნახევარდაცვაში აბდაუბდად მოთამაშე „ლოკო" დაცვაშიც მისუსტებული იყო და სამი გოლი გაუშვა გუნდისგან, რომელმაც წინა ტურში „ზენიტთან" 0:4 წააგო.

„ტორპედო" პანოვმა დააწინაურა. მისი დარტყმული ბურთი მცველს მოხვდა და ოვჩინიკოვს გადააფრინდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ბუდილინმა იყოჩაღა — დაახლოებით 22 მეტრიდან გაიტანა, ბოლოწამს კი შეცვლაზე შესულმა კორმილცევმა იხეირა.

მატჩამდე მუშტი-კრივი გაიმართა. „ტორპედოს" „ულტრასები" სტადიონის ჭიშკართან მდგარ მოქალაქეებს დაერივნენ. ურტყეს ყველას, კაცს ქალსა და ბავშვს, ერთი დაზარალებულის თქმით, პოლიციამ დაი[illegible] ხალხის ცემა [illegible].

ცსკა-ს ოლიჩი, გუსევი და ჟირკოვი აკლდა, მაგრამ „სპარტაკის" დამარცხება შეძლო. დანიელ კარვალიუმ შეხვედრის დასაწყისშივე გაიტანა. „სპარტაკი" კი მეორე ტაიმის მიწურულს გამოფხიზლდა და გასათანაბრებლად დრო არ ეყო.

„კრილია სოვეტოვმა" 12 მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა. სამარელებმა ნავსი გატეხეს და თამაშის ბოლოწამს ბულიგას გოლით „სატურნთან" იმარჯვეს.

გუშინდელ მატჩებში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. მოსკოვის „დინამოს" ცოტა გაუჭირდა, მაგრამ მაინც მოგო აუტსაიდერ „როსტოვს". შინ მნიშვნელოვანი მატჩი წააგო „ალანიამ" და ქვედა ლიგას კიდევ უფრო მიუახლოვდა. იგივე ითქმის „ტერეკზეც", რომელიც „რუბინთან" განადგურდა. ყაზანელთა რიგებში გაილაღა გიორგი ქინქლაძემ და ორი გოლიც მიითვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 24 | 13 | 9 | 2 | 36:16 | 48 |
| ცსკა | 24 | 13 | 7 | 4 | 37:14 | 46 |
| ზენიტი | 24 | 12 | 8 | 4 | 40:19 | 44 |
| სპარტაკი | 24 | 12 | 6 | 6 | 39:23 | 42 |
| რუბინი | 24 | 11 | 8 | 5 | 34:24 | 41 |
| მოსკვა | 24 | 11 | 7 | 6 | 28:17 | 40 |
| შინიკი | 24 | 8 | 10 | 6 | 19:19 | 34 |
| ტორპედო | 24 | 8 | 9 | 7 | 27:25 | 33 |
| დინამო | 24 | 10 | 1 | 13 | 28:38 | 31 |
| ამკარი | 24 | 6 | 11 | 7 | 23:29 | 29 |
| სატურნი | 24 | 7 | 7 | 10 | 20:19 | 28 |
| ტომი | 24 | 5 | 9 | 10 | 18:28 | 24 |
| კრილია | 24 | 5 | 8 | 11 | 22:37 | 23 |
| როსტოვი | 24 | 4 | 7 | 13 | 15:32 | 19 |
| ალანია | 24 | 4 | 7 | 13 | 19:41 | 19 |
| ტერეკი | 24 | 4 | 4 | 16 | 16:40 | 16 |

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. IX ტური**

**რასინგი 2:4 ტულუზი**

0:1 ბატლე (2), 1:1 ჰაგუ (6), 1:2 მორეირა (8), 2:2 ჰაგუ (40), 2:3 დიუზე (64), 2:4 სანტოსი (75)

**ნანსი 2:1 ტრუა**

0:1 გრაქსი (27), 1:1, 2:1 კურბელო (55, 73)

**მარსელი 3:1 მეცი**

0:1 რენუარი (11), 1:1 დეუ (25), 2:1 რიბერი (47), 3:1 ნიანგი (69)

**ოსერი 3:0 სოშო**

1:0 ლუინდულა (19), 2:0 კალენბერგი (41), 3:0 ბ. შეირუ (52)

**ლილი 2:0 სენტ ეტიენი**

1:0 მუსილუ (25), 2:0 აბუშერუანი (65)

**ბორდო 1:0 აიაჩო**

1:0 დარშევილი (31)

**ლე მანი 0:0 პსჟ**

**მონაკო 0:0 ნიცა**

**ნანტი 0:1 ლიონი**

0:1 ფრედი (79)

გაძევება: დიატა (90, ლიონი)

**ლანსი 0:0 რენი**




AFP ნანტიდან

„ნანტის" კარში ერთადერთი გოლი ფრედის ამ თავურის შემდეგ გავიდა

# რიშერის ფოკუსი

**„ოსერმა"** მიჯრით მესამედ მოიგო და ცხრა ქულით ჭამდიდრებული ჟაკ სანტინის გუნდი ზედა ხუთეულში შეძვრა. „სოშოსთან" ოსერელთა გამარჯვება მეტწილად სტუმართა მეკარის, ტედი რიშერის ბრალია. მან მეოცე წუთზე გოლი გამოიგონა. ლიონელ პოტილონმა ბურთი დაუგორა, მეკარემ კი ფეხი ააცილა და მასპინძელმა პეგი ლუინდულამ „ნაჩუქარი" ბურთი ცარიელ კარში შეასრიალა. მალე გატანილით გალაღებულმა დამხვდურებმა შესვენებამდე „სოშოს" კიდევ ერთი დაუმატეს. საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა ტომას კალენბერგმა ისეთი ძალით დაჰკრა, რომ ცხრა რიშერი ვერას გახდებოდა. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ბრუნო შეირუმ იხეირა და სოშოელთა რბევა დაასრულა.

„სტრასბურს" „ტულუზთან" ორჯერ გასათანაბრებლად ეყო ძალა, მერე კი მეტოქის შეტევებს ვეღარ გაუმკლავდა. სტუმრები ლორენ ბატლემ დააწინაურა, მაგრამ ქარიმ ჰაჯიმ მალე გაათანაბრა. დანიელ მორეირამ მასპინძლებს გახარება არ აცალა და ორ წუთში „ტულუზი" კვლავ წინ გაიყვანა.

ტაიმის ბოლოს იმავე ჰაჯიმ მაინც მოახერხა გაქვითვა, თუმც შესვენების შემდეგ „ტულუზმა" დამხვდურები დაჩაგრა. ნიკოლა დიეზმა შეცვლაზე შესვლიდან რამდენიმე წამში მესამე გაუტანა „სტრასბურს", ხოლო სანტოსმა ათიოდ წუთში მეოთხეც მიაყოლა და მასპინძლები ორბურთიან სხვაობის გაბათილებას ამაოდ ეცადნენ.

ზედიზედ ოთხი ფრის მერე „ბორდომ" „აიაჩო" დაამარცხა. ჟან კლოდ დარშევილმა მარუან შამახის ჩაწოდებულ ბურთს თავი საგოლედ დაუხვედრა. ჟირონდელებმა იმარჯვეს, თუმც ვლადიმირ შმიცერი დაუშავდათ.

უკვე მიჯრით მეორე მატჩია, „სენტ ეტიენი" გოლის გატანას ვერ ახერხებს. წინა ტურში შინ „ნანსთან" დამარცხებულმა „მწვანეებმა" ამჯერად „ლილთან" წააგეს.

„მარსელი" „მეცთან" სებასტიენ რენუარის გოლით აგებდა, მაგრამ ფრედერიკ დეუმ პირველივე ტაიმში თავური დარტყმით გაათანაბრა. შესვენებს შემდეგ ფრანკ რიბერიმ ვილსონ ორუმის პასით მეორე გაუტანა მეცელებს, ბოლოს კი მეტოქის დაბნეულ მცველთა შეცდომით მამადუ ნიანგმა იხეირა და „ველოდრომზე" შეკრებილნი გაახარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 9 | 6 | 3 | 0 | 12:5 | 21 |
| პსჟ | 9 | 5 | 2 | 2 | 12:8 | 17 |
| ბორდო | 9 | 4 | 4 | 1 | 9:5 | 16 |
| ოსერი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:13 | 16 |
| ლილი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:7 | 15 |
| ლე მანი | 9 | 4 | 3 | 2 | 10:4 | 15 |
| ლანსი | 9 | 3 | 5 | 1 | 14:6 | 14 |
| სტ. ეტიენი | 9 | 3 | 4 | 2 | 7:5 | 13 |
| ნიცა | 9 | 3 | 3 | 3 | 8:10 | 12 |
| ნანტი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:6 | 11 |
| აიაჩო | 9 | 2 | 5 | 2 | 7:7 | 11 |
| მარსელი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:12 | 11 |
| მონაკო | 9 | 3 | 2 | 4 | 6:9 | 11 |
| ტულუზი | 9 | 3 | 2 | 4 | 7:11 | 11 |
| რენი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:19 | 11 |
| ნანსი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:8 | 10 |
| ტრუა | 9 | 2 | 3 | 4 | 8:10 | 9 |
| სოშო | 9 | 2 | 2 | 5 | 4:9 | 8 |
| სტრასბური | 9 | 0 | 5 | 4 | 4:9 | 5 |
| მეცი | 9 | 0 | 4 | 5 | 4:14 | 4 |

# მანჩესტერი გრავესენს უმიზნებს

**დანიელი** თომას გრავესენს „რეალიდან" ისევ ინგლისურ პრემიერლიგაში დაბრუნების მსურველი აქამდე მხოლოდ სკანდინავიელი მობურთალის ყოფილი კლუბი „ევერტონი" გახლდათ, გუშინ კი „სანმა" გრავესენის ბურთაობით მოხიბლული სხვა ალბიონური გუნდიც გაამჟღავნა — სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედი".

ჩანს, „წითელი ეშმაკები" ვეტერანი როი კინის ხშირტრავმიანობას შეუშფოთებია და „ოლდ ტრეფორდზე" ირლანდიელის ღირსეულ შემცვლელს დაეძებენ. კინი სავარაუდოდ „იუნაიტედს" მალე მიატოვებს, ხოლო ინგლისში თამაშის გამოცდილების მქონე გრავესენის ვინძლო „მანჩესტერის" ცენტრში სტაბილური ბერთაობა არ გაუჭირდეს.

სკანდინაველით დაინტერესებას სერ ალექსი და მისი თანაშემწეები ადრეც იჩენდნენ — „მანჩესტერი" „ევერტონში" მყოფი დანიელის კონტრაქტის ამოწურვას უცდიდა, რათა იგი 2004-ის ზაფხულში ხელში უფასოდ ჩაეგდოთ. თუმც მაშინ „წითლებს" გალაქტიკურმა „რეალმა" დაასწრო და გასულ ზამთარს საჭირო ნახევარმცველი 3,6 მილიონ ევროდ შეიძინა.

**ლადო ხომერიკი**

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. VI ტური

**აიაქსი 4:1 როდა**

1:0, 2:0 ხარისტიასი (27, 40), 3:0 პიენაარი (69), 3:1 სონკო (81), 4:1 გალაშეკი (86პ)

**ვალვაიკი 2:3 უტრეხტი**

1:0 კულარი (54), 1:1 ვან დერ ბერგი (56), 1:2 დუგლასი (81), 1:3 ფორტუნი (90), 2:3 ჰოოგენდორფი 90)

**ვიტესი 2:0 გრონინგენი**

1:0 სვერტსი (48), 2:0 ბენსონი (90)

**პსვ 2:0 როზენდალი**

1:0 სიმონსი (6), 2:0 ფარფანი (47)

**ტილბურგი 1:0 დენ ჰააგი**

1:0 რუსერი (90)

**ჰერენვენი 2:1 ნაიმეგენი**

1:0 სამარასი (1), 1:1 ტაკაკი (20), 2:1 პრანიჩი (69)

**ტვენტე 1:3 ფეიენოორდი**

0:1, 0:2 კასტელენი (26, 47), 1:2 ზომერი (85), 1:3 კუიტი (90)

**სპარტა 2:0 ჰერაკლესი**

1:0, 2:0 ვან დერ ბერგი (17, 61)

**ბრედა 2:1 ალკმაარი**

0:1 სეკტიუ (11), 1:1 სლოტი (60), 2:1 ვონლანტენი (75)

შოთა არველაძემ (ალკმაარი) შეუცვლელად ითამაშა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 6 | 6 | 0 | 0 | 18:4 | 18 |
| ალკმაარი | 6 | 5 | 0 | 1 | 22:5 | 15 |
| ვალვაიკი | 6 | 5 | 0 | 1 | 13:6 | 15 |
| პსვ | 6 | 4 | 1 | 1 | 9:3 | 13 |
| აიაქსი | 6 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 10 |
| ბრედა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| ჰერაკლესი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:8 | 10 |
| სპარტა | 6 | 3 | 1 | 2 | 6:7 | 10 |
| ტილბურგი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 |
| უტრეხტი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:8 | 7 |
| ჰერენვენი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:15 | 7 |
| ვიტესი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| გრონინგენი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:7 | 6 |
| დენ ჰააგი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | 5 |
| ნაიმეგენი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:9 | 5 |
| ტვენტე | 6 | 1 | 1 | 4 | 4:8 | 4 |
| როდა | 6 | 1 | 0 | 5 | 7:16 | 3 |
| როზენდალი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:14 | 2 |

### II დივიზიონი. IX ტური

დორდრეხტი — ექსელსიორი 1:0; ალმერე — ჰელმონდი 0:1; ჰაარლემი — სიტარდი 1:1; მაასტრიხტი — ვენლო 2:0; ოსი — ემენი 1:3; ვეენდამი — დენ ბოსხი 1:1; ეინდჰოვენი — აპელდორნი 0:1; ვოლენდამი — იგლსი 1:2; ზვოლე — კამბური 1:0; *გრააფსხაპი — ტელსტარი დღეს გაიმართება*

## პორტუგალია

### სუპერლიგა. V ტური

**პენაფიელი 1:3 ბენფიკა**

0:1 ნ. გომეში (4), 0:2 სიმაო (11), 1:2 მფერეირა (80), 1:3 ნ. გომეში (84)

**პორტუ 2:0 ბელენენსეში**

1:0 მაკარტი (17), 2:0 ჟორჟინიო (56)

**გიმარაეში 1:0 მარიტიმუ**

1:0 საგანოვსკი (16)

**ნავალი 1:0 რიუ ავე**

1:0 ვეიხა (35)

**ჟილ ვისენტე 2:0 ფერეირა**

1:0 გრეგორი (10), 2:0 უილიამსი (36)

**ლეირია 0:0 ნასიონალი**

**ამადორა 0:0 ბრაგა**

**სპორტინგი 1:0 სეტუბალი**

1:0 დეივიდი (35)

გაძევება: მორეტო (35, სეტუბალი)

***ბოავიშტა — აკადემიკა***

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 9:2 | 13 |
| სპორტინგი | 5 | 4 | 0 | 1 | 8:5 | 12 |
| ბრაგა | 5 | 3 | 2 | 0 | 4:0 | 11 |
| ნასიონალი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:3 | 11 |
| ბელენენსეში | 5 | 3 | 0 | 2 | 10:6 | 9 |
| ჟილ ვისენტე | 5 | 3 | 0 | 2 | 5:2 | 9 |
| რიუ ავე | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ბენფიკა | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| ნავალი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| სეტუბალი | 5 | 2 | 1 | 2 | 2:2 | 7 |
| ბოავიშტა | 4 | 1 | 3 | 0 | 7:4 | 6 |
| ფერეირა | 5 | 2 | 0 | 3 | 4:8 | 6 |
| ამადორა | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| გიმარაეში | 5 | 1 | 0 | 4 | 3:10 | 3 |
| აკადემიკა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| მარიტიმუ | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |
| ლეირია | 5 | 0 | 2 | 3 | 1:8 | 2 |
| პენაფიელი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

### II დივიზიონი. V ტური

ავეში — პორტიმონენსე 0:0; ბარეირენსე — შავეში 1:1; გონდომარი — მორეირენსე 1:1; ლეიშოეში — ვარზიმი 1:0; ეშტორილი — ოლიალენსე 0:1; მარკუ — ბეირა მარი 1:0; კოვილია — ოვაირენსე 2:0; მაია — სანტა კლარა 2:1; ვიზელა — ფეირენსე 0:2

## ბელგია

### იუპილერლიგა. VII ტური

**ბრიუგე 0:1 ლოკერენი**

0:1 კრისტიანსონი (28)

**სენტ ტრიუდენი 0:1 ვესტერლო**

0:1 დელენი (14)

**მუსკრონი 2:1 ლუვიე**

1:0 სილიაკი (19), 2:0 ფილეკოვიჩი (22), 2:1 იბარი (40)

**გენკი 3:1 სერკლი**

0:1 როია (1), 1:1 სოლი (8), 2:1 პიტერსი (76), 3:1 ვანდენბურგი (82)

გაძევება: სვეტლიჩიჩი, ვიანე (69, 87, სერკლი)

**ბევერენი 1:1 შარლერუა**

1:0 ზეზეტო (65), 1:1 შაბუდი (84)

**ბრიუსელი 1:1 ვარეგემი**

1:0 კამარგო (49), 1:1 ბრული (82)

**ლიერსი 0:0 ანდერლეხტი**

**რუზელარე 1:1 გენტი**

1:0 ვანდამე (57), 1:1 კორემანი (65)

გაძევება: მირვიჩი (13, გენტი)

**ბეერსხოტი 2:2 სტანდარდი**

0:1 კონსეისაო (34), 1:1 დე ვრე (38), 2:1 აგიემანი (40), 2:2 ცვიტანოვიჩი (47 ს.პ.)

გაძევება: ონიევო (21, სტანდარდი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტანდარდი | 8 | 6 | 1 | 1 | 18:9 | 19 |
| ანდერლეხტი | 8 | 5 | 3 | 0 | 23:7 | 18 |
| ვესტერლო | 8 | 5 | 2 | 1 | 10:2 | 17 |
| ვარეგემი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:11 | 14 |
| გენტი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:9 | 14 |
| ბრიუგე | 8 | 4 | 2 | 2 | 8:6 | 14 |
| გენკი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:11 | 13 |
| ლოკერენი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:8 | 13 |
| შარლერუა | 8 | 2 | 5 | 1 | 7:5 | 11 |
| ბევერენი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:9 | 10 |
| სენტ ტრუიდენი | 8 | 3 | 0 | 5 | 5:8 | 9 |
| რუზელარე | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | 8 |
| ბრიუსელი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:11 | 7 |
| ლიერსი | 7 | 1 | 4 | 2 | 4:8 | 7 |
| მუსკრონი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:15 | 6 |
| ბეერსხოტი | 8 | 1 | 2 | 5 | 7:15 | 5 |
| ლუვიე | 8 | 0 | 4 | 4 | 7:16 | 4 |
| სერკლი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:15 | 4 |

### II დივიზიონი. V ტური

რონსი — კორტრაიკი 1:0; დაინცე — მეხელენი 0:3; გეელი — ვაასლანდი 2:0; მონსი — ლომელი 2:2; ოსტენდე — ოუდ ჰევერლი 2:1; ტუბიცე — დესელი 2:0; ვირტონი — ჰეუსდენი 1:1; სენტ ჟილი — ეუპენი 2:1; ვიგორი — ანტვერპენი 3:0

# ალექს მაკლიში პენალტს მისტირის

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. VIII ტური

**ჰართსი 1:0 რეინჯერსი**

1:0 ბედნარი (14)

**სელტიკი 2:1 ინვერნესი**

0:1 ვინესი (51), 1:1, 2:1 ბიტი (57, 67)

**მოზერუელი 1:3 ჰიბერნიანი**

0:1 ბუზელინი (20), 0:2 სტიუარტი (68), 0:3 რიორდანი (80)

1:3 ფორანი (83პ)

**დანფერმლაინი 2:1 დანდი იუნ.**

0:1 მაკრაკენი (41), 1:1 ტოდი (60), 2:1 როსი (75)

**კილმარნოკი 1:1 ფოლკირკი**

0:1 გოუ (11), 1:1 ბოიდი (23პ)

„**ჰართსის**“ დამუხრუჭება „რეინჯერსმაც“ ვერ შეძლო. ედინბურგულმა კლუბმა გლაზგოური ბობოლა შინ ხელცარიელი გაუშვა და მიჯრით მოგებული რვა მატჩის შემდეგ ცხრილის თავში ნებივრობს.

„ჰართსის“ ჩეხმა ფორვარდმა რომან ბედნარმა პირველ ტაიმში თავით გაუტანა „ჩაფრებს“, რომლებიც ამაოდ ასკდებოდნენ მეტოქის საჯარიმო გაშვებული გოლის შემდეგ.

მატჩის ბოლოს „რეინჯერსმა“ შმაგად შეუტია და ორჯერ პენალტიც მოითხოვა. ჯერ ბარი ფერგიუსონმა გაუშალა ხელები მსაჯებს, წამაქციეს და პენალტს რატომ არ ნიშნავო, რის გამოც ყვითელი ბარათიც ნახა. მერე კი ჯეფერსმა დაარტყა საჯარიმოს გარედან და ბურთი რობი ნელსონს მოხვდა ხელში. მსაჯმა ამ შემთხვევაშიც წაუყრუა, რამაც სტუმართა პროტესტი გამოიწვია, თუმც კენი კლარკმა თითი თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მაინც არ გაიშვირა.

სწორედ მსაჯის შეცდომებზე ილაპარაკა ნამატჩევს დამარცხებულთა



რომან ბედნარი

მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა. ნაღდი პენალტი გვეკუთვნოდა

„ჰართსის“ კვლავ კვალში უდგას „სელტიკი“, რომელმაც ზედიზედ ნერვიულობისა და ძალის დახარჯვის გარეშე მოუგო „აბერდინს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 8 | 8 | 0 | 0 | 21:4 | 24 |
| სელტიკი | 8 | 6 | 1 | 1 | 19:9 | 19 |
| ჰიბერნიანი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:8 | 16 |
| კილმარნოკი | 8 | 4 | 2 | 2 | 17:14 | 14 |
| რეინჯერსი | 8 | 4 | 1 | 3 | 13:9 | 13 |
| აბერდინი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| მოზერუელი | 8 | 3 | 1 | 4 | 19:19 | 10 |
| ინვერნესი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:9 | 8 |
| დანდი იუნ. | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 |
| დანფერმლაინი | 8 | 1 | 2 | 5 | 6:14 | 5 |
| ფოლკირკი | 8 | 1 | 2 | 5 | 5:17 | 5 |
| ლივინგსტონი | 8 | 0 | 2 | 6 | 2:18 | 2 |

### I დივიზიონი. VII ტური

ერდრი — სტ. მირენი 0:1; ბრეჩინი — სტრენრარი 2:3; კლაიდი — სტ. ჯონსტონი 0:1; დანდი — როს ქაუნთი 0:0; ქუინ ოფ საუთ — ჰამილტონი 1:2

### II დივიზიონი. VII ტური

ალოა — გრეტნა 0:3; ეარი — მორტონი 0:1; დამბარტონი — სტირლინგი 2:0; პარტიკ თისლი — ფორფარი 1:0; პიტერჰედი — რეით როვერსი 0:1

### III დივიზიონი. VII ტური

ალბიონი — ბერიკი 0:2; არბოთი — ქოუდენბითი 0:3; ისტ ფაიფი — ქუინზ პარკი 1:0; ისტ სტირლინგი — ელგინი 0:2; მონტროუზი — სტენჰაუზმუირი 0:3

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. XII ტური

რიდი — პაშინგი 0:0; ადმირა — შტურმი 2:3; გრაცერი — აუსტრია 1:0; მატერსბურგი — ზალცბურგი 0:1; რაპიდი — ტიროლი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 12 | 7 | 1 | 4 | 18:15 | 22 |
| პაშინგი | 12 | 5 | 6 | 1 | 15:6 | 21 |
| რაპიდი | 12 | 5 | 4 | 3 | 21:13 | 19 |
| ზალცბურგი | 12 | 6 | 1 | 5 | 13:13 | 19 |
| გრაცერი | 12 | 5 | 3 | 4 | 14:11 | 18 |
| შტურმი | 12 | 4 | 5 | 3 | 18:17 | 17 |
| რიდი | 12 | 3 | 6 | 3 | 16:16 | 15 |
| ტიროლი | 12 | 2 | 7 | 3 | 11:15 | 13 |
| მატერსბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:20 | 12 |
| ადმირა | 12 | 1 | 2 | 9 | 13:25 | 5 |

## თურქეთი

### სუპერლიგა. VII ტური

ტრაბზონი — მანისა 0:2; დენიზლი — გაზიანთეფი 1:2; ფენერბაჩე — კაისერი 3:0; გენჩლერი — მალათია 2:0; ანკარა — ბეშიქთაში 2:0; დიარბაქირი — ანკარაგიუჯიუ 0:3; ერჯიესი — სივასფორი 0:0; რიზე — კონია 1:1; სამსუნი — გალათასარაი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 7 | 6 | 1 | 0 | 18:7 | 19 |
| ფენერბაჩე | 7 | 5 | 2 | 0 | 16:7 | 17 |
| ერჯიესი | 7 | 3 | 4 | 0 | 8:5 | 13 |
| კაისერი | 7 | 4 | 0 | 3 | 12:9 | 12 |
| სივასფორი | 7 | 3 | 3 | 1 | 6:5 | 12 |
| ტრაბზონი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 11 |
| გაზიანთეფი | 7 | 3 | 2 | 2 | 10:10 | 11 |
| კონია | 7 | 2 | 4 | 1 | 9:5 | 10 |
| ანკარა | 7 | 2 | 4 | 1 | 9:7 | 10 |
| მანისა | 7 | 2 | 2 | 3 | 12:10 | 8 |
| ბეშიქთაში | 7 | 2 | 2 | 3 | 7:7 | 8 |
| გენჩლერი | 7 | 1 | 4 | 2 | 4:6 | 7 |
| ანკარაგიუჯიუ | 7 | 1 | 3 | 3 | 8:9 | 6 |
| რიზე | 7 | 1 | 2 | 4 | 5:9 | 5 |
| სამსუნი | 7 | 1 | 2 | 4 | 12:17 | 5 |
| დენიზლი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:9 | 5 |
| დიარბაქირი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:15 | 5 |
| მალათია | 7 | 0 | 3 | 4 | 5:16 | 3 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. VII ტური

ბრნო — ტეპლიცე 1:2; პრჟიბრამი — სლავია 2:2; ლიბერეცი — ბლშანი 2:0; სპარტა — ბანიკი 0:2; ზლინი — პლზენი 0:0; იპლავა — სლოვაცკო 1:0; ბოლესლავი — იაბლონეცი 2:1; *მოსტი — სიგმა დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 19 |
| ტეპლიცე | 7 | 5 | 1 | 1 | 11:6 | 16 |
| ბოლესლავი | 7 | 4 | 1 | 2 | 15:12 | 13 |
| პრჟიბრამი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:10 | 11 |
| იპლავა | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| სპარტა | 7 | 3 | 1 | 3 | 7:9 | 10 |
| მოსტი | 6 | 3 | 0 | 3 | 11:7 | 9 |
| იაბლონეცი | 7 | 3 | 0 | 4 | 13:13 | 9 |
| სლავია | 7 | 2 | 3 | 2 | 11:11 | 9 |
| სიგმა | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | 9 |
| პლზენი | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 8 |
| ბანიკი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | 8 |
| ზლინი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| სლოვაცკო | 7 | 2 | 1 | 4 | 8:10 | 7 |
| ბლშანი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:14 | 7 |
| ბრნო | 7 | 0 | 3 | 4 | 7:11 | 3 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XXIV ტური

ალიანსი — იარო 1:2; ტამპერე — კტპ 2:0; მიუპა — ჰაკა 2:3; ტპ 47 — ტურკუ 3:5; პიკ — კუოპიო 0:1; მარიეჰამნი — ინტერი 0:2; *ინტერი — ტამპერე დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 23 | 15 | 5 | 3 | 43:17 | 50 |
| ჰიკ | 24 | 13 | 7 | 4 | 40:25 | 46 |
| ჰაკა | 24 | 11 | 11 | 2 | 42:19 | 44 |
| ტამპერე | 22 | 12 | 6 | 4 | 32:18 | 42 |
| ინტერი | 22 | 11 | 7 | 4 | 33:14 | 40 |
| ლაჰტი | 24 | 10 | 4 | 10 | 36:36 | 34 |
| ტურკუ | 25 | 9 | 5 | 11 | 32:35 | 32 |
| ალიანსი | 24 | 7 | 10 | 7 | 30:38 | 31 |
| კტპ | 24 | 8 | 6 | 10 | 33:40 | 30 |
| კუოპიო | 24 | 7 | 4 | 13 | 27:42 | 25 |
| იარო | 24 | 6 | 6 | 12 | 19:29 | 24 |
| მარიეჰამნი | 24 | 6 | 5 | 13 | 25:36 | 23 |
| როვანიემი | 24 | 3 | 8 | 13 | 18:45 | 17 |
| ტპ 47 | 24 | 4 | 4 | 16 | 22:38 | 16 |

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XXII ტური

ლინი — ბრანი 1:0; ვიკინგი — ჰამ კამი 1:3; რუსენბორგი — ოდ გრენლანდი 6:0; ფრედრიკსტადი — ალესუნდი 1:4; ლილესტრიომი — ტრომსიო 1:2; სტარტი — ვოლერენგა 3:0; *ბოდიო გლიმტი — მოლდე დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტარტი | 22 | 13 | 5 | 4 | 40:23 | 44 |
| ვოლერენგა | 22 | 13 | 5 | 4 | 38:22 | 44 |
| ლინი | 22 | 10 | 7 | 5 | 29:19 | 37 |
| ლილესტრიომი | 22 | 11 | 4 | 7 | 32:27 | 37 |
| ვიკინგი | 22 | 11 | 4 | 7 | 33:29 | 37 |
| ბრანი | 22 | 9 | 5 | 8 | 37:24 | 32 |
| ოდ გრენლანდი | 22 | 9 | 3 | 10 | 22:41 | 30 |
| ჰამ კამი | 22 | 8 | 4 | 10 | 27:30 | 28 |
| რუსენბორგი | 22 | 7 | 3 | 12 | 40:40 | 24 |
| ტრომსიო | 22 | 5 | 9 | 8 | 24:28 | 24 |
| მოლდე | 21 | 7 | 3 | 11 | 32:40 | 24 |
| ფრედრიკსტადი | 22 | 6 | 5 | 11 | 28:40 | 23 |
| ბოდიო გლიმტი | 21 | 5 | 5 | 11 | 25:33 | 20 |
| ალესუნდი | 22 | 4 | 8 | 10 | 23:34 | 20 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XXIII ტური

გეფლე — კალმარი 1:2; ჰეკენი — იურგორდენი 1:0; ჰალმსტადი — ჰელსინგბორგი 2:0; ჰამარბი — ასირსკა; *გიოტებორგი — მალმიო; ლანდსკრონა — იორგრიტე დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 23 | 14 | 4 | 5 | 46:24 | 46 |
| გიოტებორგი | 22 | 11 | 7 | 4 | 27:14 | 40 |
| მალმიო | 22 | 11 | 5 | 6 | 31:22 | 38 |
| კალმარი | 23 | 9 | 9 | 5 | 30:20 | 36 |
| ჰელსინგბორგი | 23 | 11 | 3 | 9 | 30:34 | 36 |
| ჰამარბი | 22 | 9 | 7 | 6 | 36:25 | 34 |
| ჰეკენი | 23 | 10 | 2 | 11 | 27:25 | 32 |
| იორგრიტე | 22 | 9 | 4 | 9 | 31:32 | 31 |
| ელფსბორგი | 22 | 8 | 7 | 7 | 28:30 | 31 |
| ჰალმსტადი | 23 | 8 | 5 | 10 | 32:30 | 29 |
| გეფლე | 23 | 7 | 4 | 12 | 21:30 | 25 |
| ლანდსკრონა | 22 | 6 | 6 | 10 | 22:35 | 24 |
| სუნდსვალი | 22 | 4 | 7 | 11 | 24:41 | 19 |
| ასირსკა | 22 | 4 | 2 | 16 | 15:38 | 14 |

## საბერძნეთი

### ნაციონალლიგა. IV ტური

ოლიმპიაკოსი — აკრატიტოსი 2:0; პანათინაიკოსი — პანიონიოსი 3:0; ლარისა — აეკ 0:1; იონიკოსი — კალითეა 2:1; ოფი — ირაკლისი 0:1; ქსანთი — ლევადიაკოსი 1:0; პაოკ — ეგალეო 2:0; *კალამარია — ატრომიტოსი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 4 | 0 | 0 | 12:0 | 12 |
| ქსანთი | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| აეკ | 4 | 2 | 2 | 0 | 4:1 | 8 |
| იონიკოსი | 4 | 1 | 3 | 0 | 7:6 | 6 |
| ატრომიტოსი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| პანათინაიკოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| პაოკ | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| ლარისა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| ეგალეო | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| აკრატიტოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| კალამარია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ირაკლისი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ლევადიაკოსი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | 3 |
| პანიონიოსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:12 | 2 |
| კალითეა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ოფი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. X ტური

შაფჰაუზენი — ბაზელი 1:2; აარაუ — თუნი 2:1; იანგ ბოისი — ქსამაქსი 3:2; ივერდონი — გრასჰოპერი 2:0; ციურიხი — სენტ გალენი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 10 | 6 | 3 | 1 | 23:14 | 21 |
| ციურიხი | 10 | 6 | 2 | 2 | 25:13 | 20 |
| იანგ ბოისი | 10 | 5 | 3 | 2 | 16:11 | 18 |
| გრასჰოპერი | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 17 |
| თუნი | 10 | 5 | 2 | 3 | 17:12 | 17 |
| სენტ გალენი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:17 | 14 |
| აარაუ | 10 | 3 | 3 | 4 | 10:17 | 12 |
| შაფჰაუზენი | 10 | 2 | 3 | 5 | 8:18 | 9 |
| ივერდონი | 10 | 2 | 1 | 7 | 9:18 | 7 |
| ქსამაქსი | 10 | 1 | 1 | 8 | 10:21 | 4 |

## პოლონეთი

### პირველილიგა. VIII ტური

ლეგია — პოლონია 1:0; არკა — კორონა 0:2; ბელხატოვი — ოდრა 0:3; გურნიკი — პლოცკი 4:0; გროცლინი — კრაკოვია 4:1; ლეხნა — პოგონი 0:1; ვისლა — ლეხი 5:1; ამიკა — ზაგლებე 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 7 | 5 | 2 | 0 | 17:6 | 17 |
| ამიკა | 8 | 4 | 2 | 2 | 15:9 | 14 |
| ლეხი | 8 | 4 | 2 | 2 | 18:17 | 14 |
| გურნიკი | 8 | 3 | 4 | 1 | 13:6 | 13 |
| გროცლინი | 8 | 3 | 4 | 1 | 15:11 | 13 |
| ლეგია | 8 | 3 | 4 | 1 | 9:6 | 13 |
| პოგონი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:12 | 12 |
| ოდრა | 8 | 2 | 4 | 2 | 7:8 | 10 |
| პლოცკი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:15 | 10 |
| კორონა | 8 | 2 | 3 | 3 | 12:13 | 9 |
| კრაკოვია | 7 | 2 | 3 | 2 | 6:10 | 9 |
| ზაგლებე | 8 | 1 | 4 | 3 | 13:16 | 7 |
| ლეხნა | 8 | 0 | 6 | 2 | 4:7 | 6 |
| ბელხატოვი | 8 | 1 | 3 | 4 | 6:14 | 6 |
| პოლონია | 8 | 1 | 2 | 5 | 6:10 | 5 |
| არკა | 8 | 0 | 5 | 3 | 5:9 | 5 |

## დანია

### სუპერლიგა. XI ტური

ოდენსე — ბრონდბიუ 1:3; ორჰუსი — ნორდსიელანდი 0:2; სონდერილანდი — ჰორსენსი 1:3; ვიბორგი — ოლბორგი 2:0; კოპენჰაგენი — ესბიერგი 5:1; მიდტიულანდი — სილკებორგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 11 | 9 | 2 | 0 | 22:6 | 29 |
| ვიბორგი | 11 | 7 | 2 | 2 | 25:12 | 23 |
| ბრონდბიუ | 11 | 7 | 2 | 2 | 21:12 | 23 |
| ოდენსე | 11 | 5 | 3 | 3 | 17:13 | 18 |
| ნორდსიელანდი | 11 | 4 | 4 | 3 | 18:12 | 16 |
| მიდტიულანდი | 11 | 4 | 3 | 4 | 17:19 | 15 |
| ოლბორგი | 11 | 3 | 4 | 4 | 14:15 | 13 |
| ჰორსენსი | 11 | 2 | 5 | 4 | 6:14 | 11 |
| ორჰუსი | 11 | 2 | 3 | 6 | 15:22 | 9 |
| სილკებორგი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:19 | 9 |
| ესბიერგი | 11 | 2 | 2 | 7 | 12:21 | 8 |
| სონდერილანდი | 11 | 2 | 1 | 8 | 14:25 | 7 |

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:00 | 1 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.55 | 3.50 | 5.90 | 1.07 | 1.22 | 2.19 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 135 | ჰანზა-ალემანია | 2.25 | 3.30 | 2.70 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 197 | ბარი-ბოლონია | 2.45 | 2.70 | 2.90 | 1.28 | 1.32 | 1.39 |
| 22:45 | 198 | პიაჩენცა-ალბინოლეფე | 1.80 | 2.90 | 4.60 | 1.11 | 1.29 | 1.77 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 609 | სპეცია-ჯულიანოვა | 1.95 | 2.70 | 3.90 | 1.13 | 1.29 | 1.59 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 261 | სეტე-მონპელიე | 2.45 | 2.80 | 2.90 | 1.30 | 1.32 | 1.42 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 300 | გრააფსხაპი-ტელსტარი | 1.55 | 3.50 | 5.20 | 1.07 | 1.19 | 2.09 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 610 | ბოავიშტა-აკადემიკა | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 611 | კალამარია-ატრომიტოსი | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 18:40 | 612 | მოსტი-სიგმა | 2.30 | 2.90 | 2.95 | 1.28 | 1.29 | 1.46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 434 | გიოტებორგი-მალმიო | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 21:00 | 435 | ჰამარბი-ასირისკა | 1.25 | 5.00 | 8.50 | 1.00 | 1.08 | 3.14 |
| 21:00 | 436 | ლანდსკრონა-იორგრიტე | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 445 | იოსტერსი-ვესტეროსი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **26 სექტემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 454 | ინტერი-ტამპერე | 2.15 | 3.20 | 2.95 | 1.28 | 1.24 | 1.53 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **27 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 552 | ბაიერნი-ბრიუგე | 1.20 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.91 |
| 22:45 | 553 | იუვენტუსი-რაპიდი | 1.15 | 6.50 | 15.00 | 1.00 | 1.06 | 4.53 |
| 22:45 | 554 | აიაქსი-არსენალი | 2.65 | 3.20 | 2.50 | 1.44 | 1.28 | 1.40 |
| 22:45 | 555 | თუნი-სპარტა | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 22:45 | 556 | ბარსელონა-უდინეზე | 1.40 | 4.30 | 7.00 | 1.05 | 1.16 | 2.66 |
| 22:45 | 557 | მანჩესტერი-ბენფიკა | 1.35 | 4.50 | 8.50 | 1.03 | 1.16 | 2.94 |
| 22:45 | 558 | ლილი-ვილიარეალი | 2.45 | 3.00 | 2.85 | 1.34 | 1.31 | 1.46 |
| 22:45 | 559 | პანათინაიკოსი-ვერდერი | 2.65 | 3.10 | 2.55 | 1.42 | 1.29 | 1.39 |
| | | **28 სექტემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 560 | შალკე-მილანი | 2.95 | 3.00 | 2.35 | 1.48 | 1.30 | 1.31 |
| 22:45 | 561 | ფენერბაჩე-პსვ | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:45 | 562 | რეალი-ოლიმპიაკოსი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 22:45 | 563 | როზენბორგი-ლიონი | 4.60 | 3.30 | 1.75 | 1.92 | 1.26 | 1.14 |
| 22:45 | 564 | ლივერპული-ჩელსი | 3.10 | 3.00 | 2.30 | 1.52 | 1.32 | 1.30 |
| 22:45 | 565 | ანდერლეხტი-ბეტისი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 22:45 | 566 | ინტერი-რეინჯერსი | 1.30 | 4.80 | 9.00 | 1.02 | 1.13 | 3.13 |
| 22:45 | 567 | პორტუ-პეტრჟალკა | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |

### I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.80 | 2.20 | 5.50 | 1.00 | 1.35 | 1.57 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ტოტენჰემი-ფულემი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16001 ტოტენჰემი-ფულემი - 1.20 ------------------- 3.20

### გოლი: ლუწი-1, კენტი-2. (0:0 ითვლება ლუწად)

17001 ტოტენჰემი-ფულემი - 1.85 ------------------- 1.95

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

14001 ტოტენჰემი-ფულემი - 1.30 ------------------- 2.50

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ტოტენჰემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------- კი ------------------- არა

13001 ტოტენჰემი-ფულემი - 1.70 ------------------- 1.90

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

------------------- კი ------------------- არა

12001 ტოტენჰემი-ფულემი - 1.70 ------------------- 1.90

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# საჭიდაო კვირეული დღეს სამი ქართველი იწყებს

**დღეს** უნგრეთის დედაქალაქში დიდი საჭიდაო კვირეული იხსნება. ბუდაპეშტში კვირის ბოლომდე ხალიჩაზე გასვლას მსოფლიოს უძლიერესი თავისუფალი და ბერძნულ-რომაელი სტილის მოჭიდავეები მოასწრებენ და 2 ოქტომბრისთვის ორივე ამ სახეობის საუკეთესო ფალავნები გამოვლინდებიან.

ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატი ორი წლის წინათ გაიმართა და ქართული გუნდების ტრიუმფით დასრულდა. ბეგი დარჩიას და ზაზა თურმანიძის ნაკრებებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობა გაინაღდეს, პირად პირველობაში კი მანუჩარ კვირკველიამ (66კგ) და ლუკა კურტანიძემ (96კგ) იმარჯვეს.

26-28 სექტემბერს ბუდაპეშტური ხალიჩა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს დაეთმობათ, დღეს კი საჭიდაოდ სამი უმსუბუქესი წონის ფალავნები გავლენ. საქართველოს ღირსებას გოჩა კირკიტაძე (55კგ), ლევან ჩაბრაძე (60კგ) და ოთარ თუშიშვილი (66კგ) დაიცავენ. ხვალ დავით ახალმოსულიშვილი (74კგ), რეზო მინდორაშვილი (84კგ) და ლუკა კურტანიძე (96კგ) იჭიდავებენ, ზეგ კი მძიმეწონოსანი ლექსო მოდებაძე.

ორი განსხვავებული სტილის მოჭიდავეების ჩემპიონატებს შორის ერთი თავისუფალი დღე იქნება. უფრო სწორედ, ამ დღეს — 29 სექტემბერს, ხალიჩა ქალებს დაეთმობათ და ქართველებს საქომაგო იქაც გვეყოლება. პირველად ქართული ჭიდაობის ისტორიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი ქალიც — ელა გიგოლაშვილი — ცდის ბედს თავისუფალ ჭიდაობაში.

უნგრეთში 29 სექტემბერსვე ჩავლენ ბეგი დარჩიას შეგირდები, 30-ში კი მხოლოდ ირაკლი ჭოჭუა (55კგ) დაიწყებს. 1 ოქტომბერს მუხრან მაჭუტაძე (66კგ), მანუჩარ კვირკველია (74კგ) და ბადრი ხასაია (84კგ) იჭიდავებენ, ხოლო 2-ში — დავით ბედინაძე (60კგ), მუხრან ვახტანგაძე (96კგ) და მირიან გიორგაძე (120კგ).

**ოთარ მაღლაკელიძე**

### საქართველოს ნაკრები

*თავისუფალი ჭიდაობა*

55 კგ გოჩა კირკიტაძე
60 კგ ლევან ჩაბრაძე
66 კგ ოთარ თუშიშვილი
74 კგ დავით ახალმოსულიშვილი
84 კგ რეზო მინდორაშვილი
96 კგ ლუკა კურტანიძე
120 კგ ლექსო მოდებაძე

*ბერძნულ-რომაული*

55 კგ ირაკლი ჭოჭუა
60 კგ დავით ბედინაძე
66 კგ მუხრან მაჭუტაძე
74 კგ მანუჩარ კვირკველია
84 კგ ბადრი ხასაია
96 კგ მუხრან ვახტანგაძე
120 კგ მირიან გიორგაძე



## ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

იტალია. სენტ-ვისენტი. 18-24 სექტემბერი

VII ტური

### ვაჟები

ია (საქართველო) 3:3 აშოდ სიტი ქლუბ (ისრაელი)

| | | |
|---|---|---|
| ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ილია სმირინი (ისრაელი) |
| ზვიად იზორია (საქართველო) | 0,5:0,5 | პაველ ელჯანოვი (უკრაინა) |
| მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო) | 1:0 | ალექსანდრ მოისეენკო (უკრაინა) |
| მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) | 0,5:0,5 | ბორის კანცლერი (ისრაელი) |
| ლევან ფანცულაია (საქართველო) | 0,5:0,5 | ანდრეი კოვალიოვი (ბულგარეთი) |
| ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო) | 0:1 | დიმიტრი ტიომკინი (კანადა) |

### ქალები

ნტნ (საქართველო) 1,5:2,5 პოდგორიცა (სერბია ჩერნოგორია)

| | | |
|---|---|---|
| მაია ლომინეიშვილი (საქართველო) | 0:1 | ალისა მარიკი (სერბია ჩერნოგორია) |
| ნანა ძაგნიძე (საქართველო) | 0:1 | პია კრამლინგი (შვედეთი) |
| ლელა ჯავახიშვილი (საქართველო) | 1:0 | იზაბელა პეპტანი (რუმინეთი) |
| ანა მათნაძე (საქართველო) | 0,5:0,5 | ანა ბენდერაჩი (სერბია ჩერნოგორია) |



ევროპის ჩემპიონი ნტნ

# ნტნ-მ ევროპა აწია

**ქართველ** მანდილოსანთა გუნდი „ნტნ" ევროპის საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულია! 10 ქულა კიდევ სამმა კლუბმა მოაგროვა, თუმც ჩვენმა ქალებმა ინდივიდუალური მოგებებით ყველას გაუსწრეს და პირველობაც ასე დაიბევეს.

ბოლო ორ ტურში წარუმატებლად ითამაშეს ქართველებმა, მხოლოდ ერთი ქულის მოპოვება შეძლეს და წინა ტურებში დაგროვილი ქულათა სოლიდური მარაგის წყალობით აჯობეს კონკურენტებს.

ბოლო ტურში „ნტნ" სერბეთის „პოდგორიცას" შეხვდა. პირველ დაფაზე მაია ლომინეიშვილმა სერბ ალინა მარიკთან წააგო, ხოლო მეორეზე მოთამაშე ნანა ძაგნიძემ ევროპის 2003 წლის ჩემპიონ შვედ პია კრამლინგთან იმარჯვა. მხოლოდ ლელა ჯავახიშვილმა და მის მიერ მოპოვებულმა ქულამ მოუტანა პირველი ადგილი ჩვენებს.

მესამე დაფაზე ჯავახიშვილი კორინა-იზაბელა პეპტანტს დაუპირისპირდა. დებიუტში ქართველმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშა, მარცხენა ფლანგზე პაიკები გამოიყვანა და G2 უჯრაზე კუ სნაიპერივით დასვა. მე-7 სვლაზე ჯავახიშვილი იერიშებს შეუდგა, მარჯვნიდან პაიკებით მიაწვა სერბს, ცენტრი მოუსუფთავა და ახალი იერიშისთვის მოემზადა. მეტოქეები დაფაზე მანევრირებას შეუდგნენ, ჯავახიშვილმა იოლად გატეხა პეპტანი და ორი პაიკიც აცალა. ქართველმა პაიკები ჩასათვლელი ხაზისკენ „დაქოქა" თან შავებს მანევრირების საშუალება არ მისცა და 51-ე სვლაზე ოქროს გამარჯვება იზეიმა.

ყაიმით დაასრულა შეხვედრა ანა მათნაძემ და მისი ნახევარი ქულაც მეტად ძვირფასი მონაგარი გამოდგა ჩვენთვის, საბოლოოდ კი ნტნ-ს ინდივიდუალური მოგებით 18,5 ქულა დაუგროვდა და 0,5 ქულით აჯობა მეორეზე გასულ რუსულ „ურალს".

ბოლო ორ ტურში ვერც ვაჟებმა იყოჩაღეს, მხოლოდ ქულას გამორჩნენ და მეშვიდეობას დასჯერდნენ. არადა, გაცილებით მეტი შეეძლოთ, მეხუთე ტურის შემდეგ მათ მხოლოდ ქულა აშორებდათ პირველ ადგილთან.

**ლაშა გეგეჭკორი**

### კაცები

| | |
|---|---|
| 1 ტომსკ-400 (რუსეთი) | 12 ქულა |
| 2 პოლონია (პოლონეთი) | 12 |
| 3 ნაო ჩეს კლუბი (რუსეთი) | 12 |
| 7 ია თბილისი (საქართველო) | 10 |

### ქალები

| | |
|---|---|
| 1 ნტნ თბილისი (საქართველო) | 10 |
| 2 ურალი (რუსეთი) | 10 |
| 3 პოდგორიცა (სერბია ჩერნოგორია) | 10 |


ჯავახიშვილმა 51-ე სვლაზე მოიგო

# ჰერცეგ-ნოვიში ქართული დროშა ფრიალებს


სალომე მელია


ქართული საპატიო კვარცხლბეკი: ნაზი პაიკიძე, ნინო ანჯიძე და მერი არაბიძე

**ქართველმა** მოზარდებმა ბოსნიურ ჰერცეგ-ნოვიში დასრულებულ ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე შვიდი მედალი მოიპოვეს — სამ-სამი ოქრო-ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 12-წლამდელ გოგონათა შეჯიბრი, სადაც სამივე საპრიზო ადგილს ქართველები დაეუფლნენ. ჩემპიონი 7,5 ქულით ნაზი პაიკიძე გახდა, მეორე-მესამე ადგილები კი 7-7 ქულით მერი არაბიძემ და ნინო ანაკიძემ გაიყვეს.

18-წლამდელებში ოქრო 7,5 ქულით სალომე მელიამ მოიპოვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა მაკა ფურცელაძე და საბოლოოდ ვერცხლს დასჯერდა.

14-წლამდელებში ივაჟკაცა დავით ბენიძემ. მან 7,5 ქულა მოაგროვა, ყველა მეტოქე ჩამოიტოვა და ევროპულ ოქროს დაეუფლა. 16-წლამდელებში კარგად გამოვიდა დავით ჯოჯუა. იგი სომეხ ზარენ ანდრიასიანთან ერთად (7-7 ქულა) პირველ ადგილზე გავიდა, თუმც შემდეგ დამატებითი მაჩვენებლებით ჩამორჩა და მეორეობა არგუნეს.


დავით ბენიძე ჩემპიონია

ყველა გამარჯვებულმა ქართველმა საპატიო კვარცხლბეკზე საქართველოს დროშა საკუთარი ხელით აიტანა და ააფრიალა. მსგავსი რამ სხვა ქვეყნის არც ერთ გამარჯვებულ მოჭადრაკეს არ გაუკეთებია.

### ვაჟები

10-წლიანები

| | |
|---|---|
| 7 გიგლა ბენიძე | 6 ქულა |
| 21 ირაკლი ბერაძე | 5 |
| 56 ალექსანდრე ებრალიძე | 4,5 |

12-წლიანები

| | |
|---|---|
| 4 ნოდარ ლორთქიფანიძე | 7 |

14-წლიანები

| | |
|---|---|
| 1 დავით ბენიძე | 7,5 |
| 4 ლევან ბრეგაძე | 6,5 |

16-წლიანები

| | |
|---|---|
| 2 დავით ჯოჯუა | 7 |
| 11 გიორგი მარგველაშვილი | 6 |

18-წლიანები

| | |
|---|---|
| 11 შოთა აზალაძე | 5,5 |

### გოგონები

10-წლიანები

| | |
|---|---|
| 18 დეა გოგიშვილი | 5 |
| 31 მარიამ სამურკაშოვა | 4,5 |

12-წლიანები

| | |
|---|---|
| 1 ნაზი პაიკიძე | 7,5 |
| 2 მერი არაბიძე | 7 |
| 3 ნინო ანაკიძე | 7 |
| 14 ნათია ჯალაბაძე | 5,5 |

14-წლიანები

| | |
|---|---|
| 7 სალომე ზაქრაძე | 6 |

16-წლიანები

| | |
|---|---|
| 12 მირანდა მიქაძე | 5,5 |
| 20 მერი ჟორჟოლიანი | 4,5 |
| 26 თამარ გახოკიძე | 4,5 |
| 27 მადონა პოკუჩავა | 4,5 |

18-წლიანები

| | |
|---|---|
| 1 სალომე მელია | 7,5 |
| 2 მაკა ფურცელაძე | 7 |
| 13 ნინო მაცაშვილი | 5,5 |

# ევროპის ჩემპიონატი 2005
## ნახევარფინალები. 24 სექტემბერი

*ამ სტრიქონებს რომ კითხულობთ, უკვე იცით ჩემპიონის ვინაობა, თუმც შაბათს ისეთი ნახევარფინალები გაიმართა, ძალიან მაგარი რომ ეთქმის და არ იქნება, მათზე ორი სიტყვა არ ვთქვათ. რაც ამ ტურნირზე ნახევარფინალებამდე მატჩები გაიმართა, ახლოსაც ვერ მივა ფინალში გასასვლელ შეხვედრებთან. ორივე თამაშში დიდი ბრძოლა გაჩაღდა და გამარჯვებული ბოლო წამებზე შესრულებულმა ერთმა ტყორცნამ გამოავლინა*

# ელინთა ელვა
## დიამანტიდისმა საბერძნეთს ფინალის მანტია მოახურა



**საფინალო** სირენას 3 წამი აკლდა, საფრანგეთი 67:66 იგებს და ბურთით დიმიტრის დიამანტიდისია. მანამდე ბერძნების ამ უკანასკნელს 26 წუთში 4 ქულა ჩაეგდო და ფრანგებსაც გული საგულეში აქვთ — იმის კი არ ეშინიათ, რომ დიამანტიდისი ტყორცნის და ჩააგდებს, უფრო იმაზე ფიქრობენ, სადმე პაპალუკასი ან სხვა სნაიპერი არ გაიხსნას, რომელთა ნატყორცნი უფრო სახიფათოა. ამასობაში დიამანტიდისი არავის აძლევს პასს, დაუფიქრებლად ტყორცნის შორიდან და ზუსტი სამქულიანით ბერძენთა გამარჯვების ბურთს აგდებს.

აი, სასწაული, საბერძნეთი ფინალშია. სასწაულია არა იმიტომ, რომ ელადელებმა ფრანგები დაამარცხეს, არამედ იმის გამო, რომ მათ ერთ წუთში შვიდქულიანი ჩამორჩენა გააბათილეს და ქულით იმარჯვეს — 67:66.

„მადლობა ღმერთს — აღმოხდა ნამატჩევს ტრიუმფატორ დიამანტიდისს — ტყორცნისას არაფერზე ვფიქრობდი, საერთოდ არაფერზე. არც იმაზე ვიყავი ჩაფიქრებული, რომ ეს ბურთი ჩამეგდო, უბრალოდ ვტყორცნე, ალალ ბედზე და ღმერთმა გამიმართლა“.

„დიამანტიდისის გმირობის გამოსახატად სიტყვები არ იკმარებს, იმდენად დიდი რამ გააკეთა მან ჩვენთვის და მთლიანად ბერძნული კალათბურთისთვის“ — თქვა ნიკოს ზისისმა, დიამანტიდისის თანამებრძოლმა.

ძალიან ძნელია იმის გაკეთება, რაც ბერძნებმა მოახერხეს თამაშის უკანასკნელ წუთზე როგორც ვთქვით, მათ 7-ქულიანი დეფიციტი აღმოფხვრეს მოკლე დროში, თან ეს ყველაფერი ზუსტი შორეული ტყორცნით დააგვირგვინეს.

მაინც, როგორ მოახერხეს ფრანგებმა ამხელა უპირატესობის განიავება? როგორ და, ბერძნების ტაქტიკური, დროის მოგების მიზნით აღებული ჯარიმები ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ კიდეც.

ფრანგთა სანქტონიოელმა ვარსკვლავმა 20 ქულას კი მოუყარა თავი და მატჩის ბომბარდირიც გახდა, მაგრამ უჯობდა, ბოლო წუთზე უფრო დაკვირვებული ყოფილიყო. მან სირენამდე 38 წამით ადრე, როცა საფრანგეთი 4 ქულას იგებდა, ორივე საჯარიმო გააცუდა და ესეც არ „იკმარა“, 8 წამში ბურთიც დაკარგა.

შეხვედრის დასრულებამდე 26 წამით ადრე ლაზაროს პაპადოპულოსი მოხდენილი ჩატენვით ბერძენთა ჩამორჩენას ორ ქულამდე ამცირებს, რის შემდეგაც პარკერი უკვე ზუსტად ისვრის საჯარიმოებს — 65:62.

თუმც რად გინდა, სირენამდე 11 წამით ადრე უკვე ენტონი რიგოდო აცუდებს ორიდან ერთ საჯარიმოს და ფრანგები სამქულიან სხვაობას ვერ ინარჩუნებენ — 66:64.

აი, მივადექით კიდეც დიამანტიდისის გმირობას, ვისი ჯადო-სამქულიანის შემდეგაც რიგოდოს თამაშის გადარჩენის მისხალი შანსი მიეცა, მაგრამ ბერძენმა მცველებმა ისე შებოჭეს ფრანგი ფორვარდი, დროის ამოწურვამდე ტყორცნა ვერ მოახერხა.

### საბერძნეთი 67:66 საფრანგეთი
16:14 13:16 15:15 23:21

| საბერძნეთი | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| პაპალუკასი | 10 | 1 | 1 | 3 | 1 |
| სნაპულისი | - | 1 | 1 | - | - |
| ზისისი | 11 | 2 | 1 | 1 | - |
| ფოცისი | 4 | 6 | - | 1 | 2 |
| ხაძივრეტასი | 3 | 2 | - | - | - |
| დიკუდისი | 14 | 11 | 1 | 2 | - |
| დიამანტიდისი | 7 | 2 | 3 | 2 | 2 |
| კაკიუზისი | 3 | 4 | 1 | - | - |

| საფრანგეთი | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| ჟენაბლი | 7 | 4 | 1 | 1 | 1 |
| რიგოდო | 6 | - | 2 | 2 | - |
| ჟუნიანი | 2 | 1 | - | - | 1 |
| მ. პიეტრუსი | 6 | 4 | - | 3 | - |
| პარკერი | 20 | 3 | 3 | 2 | - |
| ფ. პიეტრუსი | 8 | 9 | 1 | 3 | - |
| შმიტი | 2 | 3 | - | 1 | - |
| დიავი | 14 | 4 | 3 | 5 | - |
| ვეისი | 1 | 9 | - | 4 | 1 |

შენიშვნა: ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

# გერმანია თუ ნოვიცკომანია?
## ვის ჰყავს დირკი ჩვენისთანა

### გერმანია 74:73 ესპანეთი
16:23 18:12 20:22 20:16

| გერმანია | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| დემირელი | 5 | - | 6 | 2 | - |
| გარეტი | 4 | - | 1 | 1 | 1 |
| გრინი | 3 | 1 | - | - | - |
| პეშიჩი | 8 | - | 1 | - | - |
| ვუხერერი | 6 | 2 | 2 | 1 | 2 |
| როლერი | 9 | 4 | 3 | 4 | - |
| ნიკაგბატსე | - | 1 | - | - | - |
| შულცე | 3 | - | - | 1 | - |
| არიბაბუ | 2 | 3 | - | - | 1 |
| ნოვიცკი | 27 | 7 | 3 | - | 1 |
| ფემერლინგი | 7 | 1 | 2 | 1 | - |

| ესპანეთი | ქ | მ | პ | ჩ | დ |
|---|---|---|---|---|---|
| ფერნანდესი | - | 4 | - | 2 | - |
| კაბეზასი | 4 | 2 | - | 1 | 1 |
| ნავარო | 27 | 4 | 2 | 3 | 1 |
| კალდერონი | 10 | - | 1 | 1 | - |
| რეიესი | 5 | 6 | - | 3 | - |
| ხიმენესი | 7 | 9 | 2 | - | 1 |
| დე მიგელი | 1 | - | - | 2 | 1 |
| ვასკესი | 15 | 4 | - | 1 | 1 |
| გარბახოსა | 4 | 6 | - | 1 | - |

შენიშვნა: ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; დ — დაკარგვა

**არც** ერთი გუნდი ამ ჩემპიონატზე ისე არაა დამოკიდებული ერთი კაცის მარიფათზე, როგორც გერმანია. დირკ ნოვიცკი — აი, ნამდვილი არიელი ზეკაცი, რომელსაც ბოლო წლებია ზურგზე ჰყავს მოკიდებული თავისი ქვეყნის ეროვნული ნაკრები და ჰა, ევროფინალამდეც მიიყვანა.

ნოვიცკიმ 27 ქულა ხომ მოქაფა და გადამწყვეტი, ფინალში გამყვანი სროლაც მისი იყო. სირენამდე ოთხი წამით ადრე... თუმც ცოტა წინიდან დავიწყოთ:

შეხვედრის დასრულებამდე 14 წამით ადრე ესპანელთა „ნოვიცკიმ“, კარლოს ნავარომ ზუსტი ორქულიანით 73:72 დააწინაურა „ინჩასები“.

„როცა ნავარომ ჩაგვიგდო, ჩემთვის ვიფიქრე, რომ ცოტა ხანს ბურთს დავიჭერდი და სირენამდე დაახლოებით 6 წამით ადრე შევუტევდი ესპანელთა კალათს, რათა აცილების შემთხვევაში ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოსახსნელად დრო დაგვრჩენოდა. ხორხე გარბახოსამ ამის საშუალება არ მომცა, ის კარგად იდგა დაცვაში და როცა სატყორცნად ხელსაყრელი მომენტი შევარჩიე, სირენამდე 4 წამი რჩებოდა“.

ნოვიცკის ტყორცნა ზუსტი აღმოჩნდა და გერმანია ქულით დაწინაურდა. ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა ხორხე პესკუერამ წუთშესვენება აიღო, შეტევა ტაქტიკურად დაგეგმა, მაგრამ ხოსე კალდერონის ნატყორცნმა არ გაამართლა.

არადა, გერმანელებს სულაც არ უნდა მიეყვანათ საქმე ბოლო ტყორცნამდე, რადგან სირენამდე 2 წუთით ადრე ისინი 5 ქულით იგებდნენ.

თამაშის დასაწყისში და მერეც ძირითადად ესპანელები ლიდერობდნენ. მესამე მეოთხედის საწყის ხუთწუთეულში გერმანელებმა მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდეს და „ინჩასების“ ყველაზე დიდი უპირატესობაც ამ დროს დაფიქსირდა — 48:39.

სწორედ აქ აბობოქრდა დირკ ნოვიცკი, რომელმაც მოკლე მონაკვეთში 13:2 მოაგებინა გერმანელებს და საწყისი წუთების შემდეგ თავისიანები პირველად დააწინაურა — 52:50.

ახლა გერმანელებს, უფრო სწორედ კი ნოვიცკის ნაბიჯი აკლიათ ევროჩემპიონამდე. საბერძნეთიც და გერმანიაც თითოჯერ არიან ამ ტიტულის მფლობელები. ელადელებს 1987-ში, გერმანელები კი 1993-ში უჩემპიონიათ.

**ირაკლი პერტაია**



მსოფლიოს ჩემპიონატი. XIII ეტაპი

# დოქტორი აკადემიკოსი გახდა

**ფენომენალურმა** იტალიელმა მოტომრბოლმა ვალენტინო როსიმ წლევანდელ სეზონში ფანტასტიკური შედეგიანობით გუშინ, ვადამდე ოთხი ეტაპით ადრე გაინაღდა მეშვიდე საჩემპიონო ტიტული.

კუალა ლუმპურის სუპერტრეკზე 26 წლის „მოტოშუმახერმა“ შაბათს კვალიფიკაცია ჩაფლავა, როცა სამი ცდიდან საუკეთესოში მხოლოდ მეშვიდე დრო აჩვენა. პოული მისმა თანამემამულე ლორის კაპიროსიმ მოიგო. ჩემპიონს მესამე რიგიდან მოუხდა ბრძოლის დაწყება და თავიდანვე შეეცადა წინმყოფთა წამოწევას. სამს თავად გაასწრო, ორიც ურთიერთშეჯახებამ გამოთიშა რბოლას. ასე რომ, დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ იგი უკვე მხოლოდ ლიდერ კაპიროსის ჩამორჩებოდა, თუმც მალე ისიც მცირე შეცდომაზე „დაიჭირა“ და თავად მოექცა ქარავანს თავში.

კაპიროსი არ მოეშვა, ჩამორჩენა შეამცირა და ფინიშამდე ორმოციოდე კილომეტრით ადრე მოახერხა „დოქტორის“ უკან ჩამოტოვება. ეს 32 წლის მხედრის ზედიზედ მეორე გამარჯვებაა „ჰეთ თრიქით“ (რბოლისა და კვალიფიკაციის მოგება და უსწრაფესი წრე).

როსიმ კი ქულათა თითქმის ორმაგი სხვაობით მოიპოვა „სამეფო კლასში“ ზედიზედ მეხუთე ტიტული. წლეულს 13 ეტაპიდან მან ცხრა მოიგო, ორჯერ მეორე მივიდა ფინიშთან, ერთხელაც — მესამე. თითოჯერ მოიპოვა აგრეთვე ჩემპიონობა 125 და 250 კუბურ სანტიმეტრიან კატეგორიებში.

ვალენტინო დაიბადა 1979 წლის 16 თებერვალს პროვინციულ ურბინოში. ბოლო ხანს ლონდონში ცხოვრობს. იგი ცნობილ იტალიელ მოტომრბოლ გრაციანო როსის შვილია.



AFP კუალა ლუმპურიდან

## მალაიზიის დიდი პრიზი. სეპანგი — 5548 მ

### მოტო გრან პრი — 116,5 კმ

1 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი) — 43 წთ; 27,5
2 ვალენტინო როსი (იტალია, გალუაზ იამაჰა) ჩამორჩა 2,0
3 კარლოს ჩეკა (ესპანეთი, მარლბორო დუკატი) — 2,1

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 281 ქულა; 2 მაქს ბიაჯი (იტალია, რეპსოლ ჰონდა) 159; 3 კაპიროსი 142; 4 კოლინ ედვარდსი (აშშ, გალუაზ იამაჰა) 139; 5 მარკო მელანდრი (იტალია, მოვისტარ ჰონდა) 137

### 250 სმ³ — 111,0 კმ

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, აპრილია) — 43 წთ; 23,1
2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, აპრილია) ჩამორჩა 3,1
3 სებასტიან პორტო (არგენტინა, აპრილია) — 4,1

**საერთო ჩათვლა**

1 დანიელ პედროსა (ესპანეთი, ტელეფონიკა ჰონდა) 226 ქულა; 2 სტოუნერი 188; 3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) 144; 4 ჰიროსი აოიამა (იაპონია, ტელეფონიკა ჰონდა) 134; 5 დე ანჯელისი 129

### 125 სმ³ — 105,4 კმ

1 ტომას ლუტი (შვეიცარია, ჰონდა) — 43 წთ; 02,2
2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) — ჩამორჩა 0,002
3 მატია პასინი (იტალია, ტოტი აპრილია) — 9,7

**საერთო ჩათვლა**

1 ლუტი 189; 2 კალიო 181; 3 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, რედ ბულ KTM) 131; 4 პასინი 127; 5 მარკო სიმონჩელი (იტალია, ნოსაბლე აპრილია) 124



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1. 56-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეჩვიდმეტე ეტაპი



AFP სან პაულუდან

# აბსოლუტური ალონსო

**ბრაზილიური** ეტაპის წინა დღეებში ორი-სამი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა და ჩვენც ამით ვაპირებდით წერილის დაწყებას, მაგრამ რა დროს, ვთქვათ, ჰაიდფელდ-სატოს სატრანსფერო თემაა, როცა გუშინ სან პაულუში წლევანდელი ჩემპიონატის უმთავრესი საკითხი — ჩემპიონის ვინაობა გაირკვა.

24 წლის ესპანელმა ფერნანდო ალონსომ 19-ეტაპიანი ზემარათონული სეზონის გასრულებამდე ორი რბოლით ადრე გაინაღდა ტიტული. 20 მარტს მალაიზიის დიდი პრიზის მოგების შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს და ერთხელაც აღარ დაუთმია მეწინავეობა.

ისე, ნანდოს გუშინ სულაც არ ესაჭიროებოდა „ინტერლაგუშზე“ გამარჯვება. მთავარი იყო, ერთადერთ კონკურენტ კიმი რაიკონენთან ოთხ ქულაზე მეტი არ წაეგო. შაბათს კვალიფიკაციის მოგების შემდეგ მისთვის ეს „პრობლემა“ უიოლესად მოსაგვარებელი ჩანდა. მით უფრო, რომ პოულის მოსაპოვებლად დაგეშილ ფინელს პირველივე მოსახვევში შეეშალა და კინაღამ ტრასიდან გავარდა. შედეგად — მხოლოდ მეხუთე სასტარტო პოზიცია, ალონსოს გვერდით კი კიმის თანამაკელი ხუან-პაბლო მონტოია მოკალათდა, რაც იმედს იძლეოდა, რომ დაწინაურების შემთხვევაში კოლუმბიელი ლიდერს შეაფერხებდა.

სტარტზე ალონსომ ლიდერობა ადვილად შეინარჩუნა, რაიკონენმა ჯანკარლო ფიზიკელას და ჯენსონ ბატონს გაასწრო და მესამე გახდა. მიხაელ შუმახერმაც ორი მეტოქის გვერდის ავლა შეძლო.

დასაწყისშივე მოხდა ავარია „უილიამსში“ ნიკ ჰაიდფელდის შემცვლელ ანტონიო პიცონიას მიზეზით. „ჯუნგლების ბიჭმა“ თანაგუნდელ მარკ ვებერსა და დევიდ კულჰარდს შორის მოინდომა გაძრომა, მაგრამ ვერ მოზომა და სამივე ბოლიდი ერთმანეთს მიეხეთქა. ამის გამო ორი წრე ქარავანს უსაფრთხოების მანქანა უძღვებოდა. დატოვა თუ არა ტრასა პეის-კარმა, მონტოიამ სასტარტო მონაკვეთის ბოლოს უპრობლემოდ გაასწრო ალონსოს. გვიანი პიტსტოპის ხარჯზე რაიკონენიც ესპანელის ცხვირწინ დაბრუნდა ტრასაზე, მიხაელმაც კიდევ ერთი პოზიცია მოიგო. ეს იყო და ეს, მეორე პიტსტოპს დაწინაურებულთა განლაგებაში ცვლილება აღარ შეუტანია.

ამრიგად, დარჩენილი [illegible] ვად, ალონსო მოუწვდომელია [illegible] და „სამეფო რბოლების“ 56-წლიანი ისტორიაში 28-ე და ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. ფერნანდო გუშინ 24 წლის, ერთი თვის და 26 დღის იყო. 33 წლის წინანდელი რეკორდი ბრაზილიელ ორგზის ჩემპიონ [illegible] ფიტიპალდის ეკუთვნოდა. თავისი პირველი [illegible] უმფისას „ემო“ 25 წლის, რვა თვისა და 2[illegible] დღის გახლდათ.

გარდა ამისა, ალონსო არის [illegible] წვილ-პილოტი, ვისაც რბოლა და [illegible] ცია მოუგია და წრეც უსწრაფესად [illegible] ლია. ერთი სიტყვით, აბსოლუტური ჩემპიონი.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

**ბრაზილიის დიდი პრიზი**
**25 სექტემბერი. სან პაულუ**

დისტანცია 71 წრე — 306,902 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (2) | მონტოია (მაკლარენი) | [illegible] |
| 2. | (5) | რაიკონენი (მაკლარენი) | [illegible] |
| 3. | (1) | ალონსო (რენო) | [illegible] |
| 4. | (7) | მ.შუმახერი (ფერარი) | [illegible] |
| 5. | (3) | ფიზიკელა (რენო) | [illegible] |
| 6. | (9) | ბარიკელო (ფერარი) | [illegible] |
| 7. | (4) | ბატონი (B.A.R) | [illegible] |
| 8. | (10) | რ.შუმახერი (ტოიოტა) | [illegible] |
| 9. | (6) | კლიენი (რედ ბული) | [illegible] |
| 10. | (20) | სატო (B.A.R) | [illegible] |
| 11. | (8) | მასა (ზაუბერი) | [illegible] |
| 12. | (11) | ვილნევი (ზაუბერი) | [illegible] |
| 13. | (19) | ტრული (ტოიოტა) | [illegible] |
| 14. | (17) | ალბერსი (მინარდი) | [illegible] |
| 15. | (16) | კარტიკეიანი (ჯორდანი) | [illegible] |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (12) | მონტეირო (ჯორდანი) | გაიარა [illegible] |
| (13) | ვებერი (უილიამსი) | [illegible] |
| (18) | დორნბოსი (მინარდი) | [illegible] |
| (15) | კულთარდი (რედ ბული) | 0 |
| (14) | პიცონია (უილიამსი) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო [illegible]

**პოული**
ალონსო — 1:11,988 (215,5 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
რაიკონენი — 1:12,268 (214,6 კმ/სთ)

| F1 | ავსტრალია 6 მარტი | მალაიზია 20 მარტი | ბაჰრეინი 3 აპრილი | სან მარინო 24 აპრილი | ესპანეთი 8 მაისი | მონაკო 22 მაისი | ევროპა 29 მაისი | კანადა 12 ივნისი | აშშ 19 ივნისი | საფრანგეთი 3 ივლისი | დ. ბრიტანეთი 10 ივლისი | გერმანია 24 ივლისი | უნგრეთი 31 ივლისი | თურქეთი 21 აგვისტო | იტალია 4 სექტემბერი | ბელგია 11 სექტემბერი | ბრაზილია 25 სექტემბერი | იაპონია 9 ოქტომბერი | ჩინეთი 16 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო (რენო, ესპანეთი) | 6 | 10 | 10 | 10 | 8 | 5 | 10 | – | – | 10 | 8 | 10 | – | 8 | 8 | 8 | 6 | | | 117 |
| 2 რაიკონენი (მაკლარენი, ფინეთი) | 1 | – | 6 | – | 10 | 10 | – | 10 | – | 8 | 6 | – | 10 | 10 | 5 | 10 | 8 | | | 94 |
| 3 მონტოია (მაკლარენი, კოლუმბია) | 3 | 5 | – | – | 2 | 4 | 2 | – | – | – | 10 | 8 | – | 6 | 10 | – | 10 | | | 60 |
| 4 მ. შუმახერი (ფერარი, გერმანია) | – | 2 | – | 8 | – | 2 | 4 | 8 | 10 | 6 | 3 | 4 | 8 | – | – | – | 5 | | | 60 |
| 5 ფიზიკელა (რენო, იტალია) | 10 | – | – | – | 4 | – | 3 | – | – | 3 | 5 | 5 | – | 5 | 6 | – | 4 | | | 45 |
| 6 ტრული (ტოიოტა, იტალია) | – | 8 | 8 | 4 | 6 | – | 1 | – | – | 4 | – | – | 5 | 3 | 4 | – | – | | | 43 |
| 7 ბარიკელო (ფერარი, ბრაზილია) | 8 | – | – | – | – | 1 | 6 | 6 | 8 | – | 2 | – | – | – | – | 4 | 3 | | | 38 |
| 8 რ. შუმახერი (ტოიოტა, გერმანია) | – | 4 | 5 | – | 5 | 3 | – | 3 | – | 2 | 1 | 3 | 6 | – | 3 | 2 | 1 | | | 38 |
| 9 ბატონი (BAR, დ.ბრიტანეთი) | – | – | – | – | – | – | – | – | – | 5 | 4 | 6 | 4 | 4 | 1 | 6 | 2 | | | 32 |
| 10 ვებერი (უილიამსი, ავსტრალია) | 4 | – | 3 | 2 | 3 | 6 | – | 4 | – | – | – | – | 2 | – | – | 5 | – | | | 29 |

ჰაიდფელდი — 28, კულთარდი — 21, ვილნევი — 9, მასა — 8, მონტეირო — 7, ვურცი — 6, კარტიკეიანი, კლიენი — 5, დე ლა როსა, ალბერსი — 4, ფრიზახერი — 3, პიცონია — 2, ლიუცი — 1 ქულა

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | სან მარინო | ესპანეთი | მონაკო | ევროპა | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ. ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | ბრაზილია | იაპონია | ჩინეთი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მაკლარენი | 4 | 5 | 10 | 6 | 12 | 14 | 2 | 10 | – | 8 | 16 | 8 | 10 | 16 | 15 | 10 | 18 | | | 164 |
| 2 რენო | 16 | 10 | 10 | 10 | 12 | 5 | 13 | – | – | 13 | 13 | 15 | – | 13 | 14 | 8 | 10 | | | 162 |
| 3 ფერარი | 8 | 2 | – | 8 | – | 3 | 10 | 14 | 18 | 6 | 5 | 4 | 8 | – | – | 4 | 8 | | | 98 |
| 4 ტოიოტა | – | 12 | 13 | 4 | 11 | 3 | 1 | 3 | – | 6 | 1 | 3 | 11 | 3 | 7 | 2 | 1 | | | 81 |
| 5 უილიამსი | 4 | 6 | 3 | 5 | 3 | 14 | 8 | 4 | – | – | – | – | 5 | – | 2 | 5 | – | | | 59 |

BAR — 33, რედ ბული — 27, ზაუბერი — 17, ჯორდანი — 12, მინარდი — 7 ქულა



ანა ტიმოტიჩი და სანდრა ზაჰლავოვა

# ცალმხრივი ფინალი

ქართულ თასი. თიხნარი.
საპრიზო 25 000

ფინალი

სანდრა ზაჰლავოვა (2, ჩეხეთი) ანა ტიმოტიჩი (სერბეთი) 6:0 6:3

**„ქართულ თასის“** ცხრაწლიან ისტორიაში ქართველს ჯერ არ გაუმარჯვნია. უსიამოვნო ტრადიცია ამჯერადაც რომ არ დაირღვეოდა, ეს ჯერ კიდევ მეორე წრეში გაირკვა. მაკა ჩახნაშვილი ტურნირს სერბმა ანა ტიმოტიჩმა გამოთიშა. მანვე შემდგომ ეტაპებზე სხვა განთესილებსაც დაახრევინა ჩოგანი, თუმც ფინალში ჩეხ სანდრა ზაჰლავოვასთან ვერარას გახდა.

თამაში ფინალისთვის უჩვეულოდ ცალმხრივი გამოდგა. ტიმოტიჩმა მეტოქის აქტიურობას ვერაფერი დაუპირისპირა. უჩვეულოდ ბევრი შეცდომა დაუშვა და პირველსავე სეტში ისე ანერვიულდა, თამაშის შემომტრიალებელი აღარ ჩანდა. პირველი გეიმი სერბმა მხოლოდ მეორე სეტში აიღო, სულ კი ეს სამჯერ მოახერხა.

ტურნირის დასრულებისთანავე ფინალისტები აჭარის გზას დაადგნენ. ხვალიდან ბათუმის კორტებზე ახალი ტურნირი დაიწყება, რომლის საპრიზო ფონდიც 50 ათასი დოლარია.

# აღარც უილიამსები, აღარც შარაპოვა

პეკინი. ჩინეთი
მაგარსაფარი
საპრიზო 500 000 $

1/2 ფინალი

მარია კირილენკო (რუსეთი) მარია შარაპოვა (1, რუსეთი) 6:4 2:1 (შეწყდა)
ანა-ლენა გრენეფილდი (9, გერმანია) მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი) — 7:5 6:3

ფინალი

მარია კირილენკო (რუსეთი) ანა-ლენა გრენეფილდი (9, გერმანია) 6:3 6:4

**WTA** ტურის მორიგი ტურნირი, რომელსაც ჩინეთის დედაქალაქმა უმასპინძლა, საკმაოდ საინტერესო სცენარით წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ მასში მონაწილეობდნენ თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის ისეთი ლიდერები, როგორებიც არიან მარია შარაპოვა და დები უილიამსები, ტურნირის გამარჯვებული მაინც 18 წლის რუსი თინეიჯერი მარია კირილენკო გახდა.

ტურნირი რამდენიმე მოულოდნელი ამბით აღინიშნა. ჯერ იყო და პირველ წრეში გამოეთიშა ასპარეზობას სერენა უილიამსი, რომელიც ორ სეტში დამარცხდა მასპინძელ ჟენგ ჟისთან, შემდეგ კი, მეოთხედფინალში თამაშზე ტრავმის გამო უარი თქვა სერენას უფროსმა დამ — ვინუსმა.

საერთოდ, ტრავმები ტურნირის ფავორიტებისთვის უმთავრეს პრობლემად იქცა. მარია შარაპოვამაც სწორედ ტრავმის გამო განაცხადა



მარია კირილენკო

უარი ნახევარფინალური მატჩის გაგრძელებაზე. ამ დროისთვის მას უკვე წაგებული ჰქონდა პირველი სეტი თანამემამულე მარია კირილენკოსთან. თუმცა, შარაპოვამ მაინც მიაღწია თავის უმთავრეს მიზანს — ტურნირზე მოპოვებული სარეიტინგო ქულებით მან მინიმუმ ერთი კვირით მაინც შეინარჩუნა პირველი ადგილი WTA რეიტინგში.

რაც შეეხება ფინალს, აქ კირილენკოს მეტოქე იყო 20 წლის გერმანელი ჩოგბურთელი ანა-ლენა გრენეფილდი, რომელმაც ნახევარფინალში იოლად დაამარცხა პოლონეთის წარმომადგენელი მარტა დომაჩოვსკა, უშუალოდ ფინალი კი რუსი ჩოგბურთელის უპირატესობით წარიმართა და მან თავისი გერმანელი მეტოქე ორ სეტში დაამარცხა — 6:3 6:4.

**კახა ლომინეიშვილი**



# სამჯერ ნოკდაუნში, და მაინც გამარჯვება

**უკრაინელმა** ვლადიმერ კლიჩკომ IBF-სა და WBO-ს ვერსიებით მოიპოვა ჩემპიონის ტიტულისთვის სავალდებულო პრეტენდენტის სტატუსი.

შაბათისა და კვირა ღამის გასაყარზე თუ შესაყარზე ატლანტიკ სიტიში მას მსაჯებმა ერთხმად მიანიჭეს ნიგერიელ სამუელ პიტერსზე გამარჯვება.

ბრძოლას კრივის მოყვარულნი დიდი ინტერესით ელოდნენ. კლიჩკოთაგან უმცროსმა რამდენიმე დამარცხების შემდეგ წამყვანი საკრივო ორგანიზაციების რეიტინგში ლიდერის პოზიციებზე დაბრუნება დაიწყო. თუმცა, პიტერი, რომელსაც ამ ბრძოლამდე არცერთი მარცხი არ ეწვნია, ასევე შეუპოვრად მიიწევდა ზემოთ.

ბრძოლის დაწყებამდე მოკრივეებმაც და გულშემატკივრებმაც პატივი მიაგეს ლევანდერ ჯონსონის ხსოვნას, რომელიც რამდენიმე დღის წინ ბრძოლის შემდეგ საავადმყოფოში ჩემპიონის ტიტულის დაკარგვის შემდეგ გარდაიცვალა.

მაგრამ დავუბრუნდეთ კლიჩკოსა და პიტერის ბრძოლას. პირველ რაუნდში პიტერი უმალ ჯიქურ გადავიდა შეტევებზე.

ნიგერიელს ძალზე ძლიერი დარტყმა აქვს და შეხვედრის წინ ვადამდე გამარჯვებას ვარაუდობდა, მაგრამ სასტარტო მონაკვეთმა შედარებით თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, თუმცა მცირეოდენი უპირატესობა კლიჩკოს მხარეს იყო.

ვლადიმერი მეორე რაუნდშიც ცოტა უკეთ გამოიყურებოდა მეტოქეზე. იგი უფრო ხშირად ურტყამდა მიზანში, მაგრამ ეს პიტერზე არაფრით არ მოქმედებდა.

მესამე რაუნდში უფრო ახალგაზრდა ნიგერიელი გააქტიურდა. მან მოუხშირა მიზანში მოხვედრა და უკრაინელს სულ უფრო ხშირად უწევდა კლინჩში შესვლა. კლიჩკო ჯებებით ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ ამით მეტოქეს სერიოზულ ზიანს ვერ აყენებდა. რაუნდი პიტერის მცირედი უპირატესობით დამთავრდა.

მეოთხე რაუნდში უკრაინელის სისწრაფემ იკლო, პიტერი კი უფრო გაშმაგდა. კლიჩკომ რამდენჯერმე გვარიანად მოსდო მეტოქეს, მაგრამ ინიციატივას მაინც სამუელი დაეუფლა, რომლის დარტყმებიც სულ უფრო მიზანში მიდიოდა.

მეხუთე რაუნდში ნიგერიელმა შტურმი განაგრძო. მისი ერთ-ერთი დარტყმის შედეგად ვლადიმერი იატაკზე აღმოჩნდა.

ნოკდაუნი!

უკრაინელი ადგა და გამოჩნდა, რომ კლიჩკო სულაც არ იყო ამით შეცბუნებული. მაგრამ პიტერი იმ წამსვე მარჯვნიდან ძლიერად ურტყამს და



კლიჩკოს კვლავ იატაკზე ვხედავთ.

ვლადიმერი დგება. მას სულ უფრო ხშირად უწევს კლინჩში შესვლა, რათა ამოისუნთქოს. რაუნდის ბოლოს კვლავ რამდენჯერმე ძლიერად ურტყამს, მაგრამ უფრო მეტი უსიამოვნებისგან უკრიანელს გონგი შველის.

მეექვსე რაუნდში ტემპი რამდენამდე დავარდა. ნათელი გახდა, რომ მეტოქეები ძალზე დაიღალნენ, მაგრამ პიტერმა მაინც გააგრძელა შეტევები და ძალიან ხშირად კორპუსში ურტყამდა. კლიჩკო უკან იხევდა და თავისი საფირმო ჯებებით პასუხობდა, ოღონდ მათ აშკარად ძალა აკლდათ.

ბრძოლის ნახევრის შემდეგ გამოჩნდა, რომ პიტერს ღონე აღარ ჰყოფნიდა. ალბათ მას ხანგრძლივი ბრძოლების გამოცდილება არ ჰყოფნიდა — იგი ხომ ყველა შეხვედრას ვადამდე ამთავრებდა.

მეშვიდედან და მეცხრე რაუნდამდე კლიჩკო მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, თუმცა რაიმე მნიშვნელოვანი არ გაუკეთებია.

მეათე რაუნდში პიტერი შესამჩნევლად გააქტიურდა, მან უფრო სწრაფად დაიწყო მოძრაობა და რაუნდის ბოლოს ლამის ვადამდე გაიმარჯვა. ნიგერიელმა კლიჩკო კუთხეში მიიმწყვდია და რამდენიმე დარტყმის შემდეგ უკრაინელი მესამედ აღმოჩნდა იატაკზე. სამუელმა წარმატების გაგრძელება სცადა, მაგრამ ვერ მოასწრო — რაუნდი დასრულდა.

შესვენებისას კლიჩკოს გუნდი მიხვდა, რომ ბრძოლა ჯერჯერობით მათ სასარგებლოდ არ ვითარდებოდა. ვლადიმერს უფრო აქტიურობა ურჩიეს. ვლადიმერი მართლაც ინიციატივას დაეუფლა და მეთერთმეტე რაუნდში მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ პიტერი, რომელსაც რამდენჯერმე კარგა გემრიელად მოხვდა, არაფრით არ დავარდა.

ბოლო რაუნდში ახლა პიტერი გააქტიურდა, მაგრამ კლიჩკომ რამდენჯერმე მისი შემოტევა ძლიერი ჯებებით მიანავლა.

ვლადიმერი ძლიერად ურტყამს, მაგრამ მეტოქე არ ვარდება.

გონგი!

მეტად ძნელი ჩანს რომელიმე მეტოქისთვის უპრატესობის მინიჭება. ოდნავი უპირატესობით მგონი პიტერმა გაიმარჯვა... მაგრამ, სამივე მსაჯმა უკრაინელს ერთნაირი ანგარიშით — 114:111 ერთხმად მიანიჭა გამარჯვება.

ახლა უკრაინელს ელის შეხვედრა ან IBF-ის ვერსიით ჩემპიონ კრის ბერდთან ან WBO-ს ვერსიით ქამრის მფლობელ ლეიმონ ბრიუსტერთან.

პიტერთან შეხვედრის შემდეგ ვლადიმერმა განაცხადა, რომ მას უხარია ტიტულისთვის ბრძოლის უფლების მოპოვება.

პიტერი უხასიათოდ იყო იმის გამო, რომ ვერ შესძლო კლიჩკოს ნოკაუტში ჩაგდება. პიტერმა თქვა, დღეს ჩემი დღე არ იყოო.

„მე კლიჩკოს ყველაზე ძლიერ დარტყმებს გავუძელი, იგი სამჯერ გავისტუმრე ნოკდაუნში, მაგრამ ბოლოს მაინც მან გაიმარჯვა.

კლიჩკომ აჩვენა ყოველივე კარგი, რაც კი რინგზე შეუძლია. როცა ჩემი დღე დადგება, იქნებ მაშინ მოვერიო მას, დღეს კი პირიქით გამოვიდა.

ასე იყო თუ ისე, პიტერმა თავისი მარცხი აღიარა. ამ ბრძოლისთვის ნიგერიელმა 900 ათასი დოლარი მიიღო, ხოლო უკრაინელმა — 1,5 მილიონი დოლარი.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ჩანოიაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიძერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფიფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge